

კართლის უნივერსიტეტის ქართველ სფუძვებით  
სამყდომო არის გამოცხა.

# პრეზული.

იგ. კავასიშვილის რედაქციით.

ვინარსი:

- 1) ქართველი ქალები, ისტორიულ წყაროების—  
და „ვეფხის ტყაოსნის“-და მიხედვით.—  
შ. დადიანისა.
- 2) ყმების მფლობელობის ხასიათი საქართვე-  
ლოში.—ი. ანთაძისა.
- 3) ქართულ ხატების მოჭედილობის სახეები.—  
დ. კაგაბაძისა.
- 4) სასამართლოს წარმოება საქართველოში.—  
გ. თარხნიშვილისა.
- 5) წყლის მფლობელობა და სარწყავი წყალი  
საქართველოში—ი. ანთაძისა.
- 6) მოქალაქეობრივი პანგლი ილია ჭავჭავაძის  
ნაწარმოებში.—გ. ჭუბაბრიასი.
- 7) ქართული კილოები მთაში—ა. შანიძისა.

ფფილისი

შემადგენლობისა და განვითარების № 2 ცისახ.

1915 წ.

## წინაშიტევებობა

წინამდებარე კრებული პეტრეს-ქალაქის საიმპერატორო უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის წევრების მოხსენებებს შეიცავს. ამ წრის არსებობის ისტორია 1908 წელს თებერვალში იწყება და იმ დროითგან მოყოლებული ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით მოქმედობს.

ამ სამეცნიერო წრის უმთავრესი მიზანი იყო და ეხლაც არის, რომ მისი წევრები საქართველოს წარსულისა და აწ-მყოს შეცნიერულს შესწავლას თითონაც შესჩვეოდენ და შეძლებისდა გვარად ისეთი საქმის განხორციელებაც უკისრათ, რომელსაც ქართულ ფართო საზოგადოებისათვისაც მნიშვნელობა ექმნებოდა და სარგებლობას მოუტანდა.

ასეთ აუცილებლად საჭირო საქმედ სამეცნიერო წრის ხელმძღვანელს სრულ (რასაკვირველია შეძლებისდა გვარად) ბიბლიოგრაფიის შედგენა მიაჩნდა საქრთველოსა და ქართველების შესახებ. ამ ბიბლიოგრაფიაში მოთხვესებული უნდა იყოს ყველა ცნობები ქართულად და უცხო უნებზე დაწერილ თხზულებათა შესახებ, რომელნიც ქართველთა წინანდელისა და აწინდელის მიწაწყალის, ბუნებისა თუ ყოფაცხოვრების, ენისა და მწერლობის, სამართალის თუ ხელოვნების და მრავალ სხვის აღწერილობას, გამოცემას, ან შესწავლას შეიცავენ და შესწავლისათვის მასალად გამოდგებიან, ერთი სიტყვით, ყველა იმ თხზულებებისა, თუ ცნობების სრული ნუსხა, რაც-კი რამე საქართველოსა და ქართველთა შესახებ დაწერილი.

განსაკუთრებით საჭირო იყო ქართულ ქურნალ-გაზეთებში გაბნეულ მრავალ საყურადღებო მასალების, აღწერილობათა და გამოკვლევების ნუსხა, რომ ქართველს თანამედროვე

ვე მკვლევარს მუშაობა გააღვილებოდა და ხელმეორედ არ მოხდომოდა იმის გაკეთება, რაც უკვე გაკეთებული იყო (ამ-გვარი საქმე ბიბლიოგრაფიის უქონლობის გამო ჩვენში არა ერთსა და ორს მკვლევარს დაჰმართვია).

ეს საქმე სამეცნიერო წრის ხელმძღვანელს ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს ჰქონდა დაწყობილი და 1897 წელს მან შეადგინა გაზეთ ივერიაში 1886—1896 წ. ათი წლის განმა-ვლობაში მოთავსებულ წერილებისა, გამოკვლევებისა, ლე-ქსებ—მოთხრობებისა და მასალების ნუსხა. სრული ბიბლიო-გრაფიის განხორციელებისათვის საჭირო იყო მრავალი მონა-წილეს ერობლივი მუშაობა. როდესაც წრე არსდებოდა, ხელ-მძღვანელმა ურჩია, რომ მის წევრებს ერთ-ერთ მიზნად ქარ-თულ სრულ ბიბლიოგრაფიის შედგენა დაესახათ.

სამეცნიერო წრემ ხელმძღვანელის რჩევა ბიბლიოგრა-ფიის შედგენის შესახებ მიიღო, 1908 წელსვე საქმე დაიწყო და ექვსი წლის ერთობლივ მუშაობის შემდგომ ბიბლიო-გრაფიის პირველი და უმნელესი, ამასთანავე უსაჭიროესი ნა-წილის შედგენა დაამთავრათ.

უკვე შედგენილია სრული ნუსხა უკველა მასალებისა, გამოკვლევებისა, ლექსებისა და მოთხრობებისა, მეთაურ წერი-ლებისა და კორესპონდენციებისა, რომელიც-კი მეXIX-ე საუ-კუნის განმავლობაში და მე-XX-ე საუკ. პირველს ათეულში ყველა ქართულ უურნალ-გაზეთებში, თუ ალმანახებში და-ბეჭდილი იყო. სულ 184 დროგამოშვებითი გამოცემის მთე-ლი შინაარსი ეხლა უკვე აღნუსხულია.

ეს უზარმაზარი შრომა სამეცნიერო აკადემიამ აკად. ნ. მარტის წინადაღებით ქართულ სამეცნიერო წრისაგან შეი-ძინა გამოსაცემად და ამ უამად მისი პირველი ნაწილი, რო-მელიც ენათმეცნიერებისა, ეთნოგრაფიისა, არქეოლოგიისა, პალეოგრაფიისა, სამოქალაქო ისტორიისა და მწერლობის ისტორიის შესახებ ცნობებს შეიცავს, ამ ბიბლიოგრაფიის ერთ-ერთ შემდგენელთაგანის, აწ პეტრ. უნივერსიტეტის დო-

ცენტის იოს. ა. ყიფშიძის ზედამხედველობით იბეჭდება და ამ რამდენიმე თვის ზემდგომ გამოვა კიდევ. სარჩევიანად ეს პირველი ნაწილი დაახლოვებით წერილად დაპეტდილი 160 გვერდიანი დიდი ტანის წიგნი გამოდის. მერე თანდათან და-ნარჩენი ნაწილებიც დაიბეჭდება.

ამ დიდ ერთობლივ შრომას გარდა სამეცნიერო წრის წევრები მოხსენებებსა სწერდნენ სხვადასხვა საკითხის შესახებ და კითხულოდნენ წრის წევრთა კრებებზე. წინამდებარე წიგნი სამეცნიერო წრის წევრთა საუკეთესო მოხსენებათა პირველი კრებულია. ერთის გარდა ამ მოხსენებათა ყველა თემები და წყაროები წრის ხელმძღვანელის მიერ არის დასახელებული და თვით კვლევის სამზღვებიც მის მიერვეა დადგებული. ამისგამო თუ მყითხველს ან თემა არ მოეწონა, ანუ მეტად ვიწროდ და შეზღუდვილად ეჩვენა, ამისი ბრალი ახალგაზრდა მკვლევართ-კი არ ედებათ, არამედ მხოლოდ მათ ხელმძღვანელს.

აკ. შანიძეს, აწ უკვე ქართულ ფილოლოგის მაგისტრანტს, თემა თვით აქვს არჩეული და მისი მოხსენებაც ქართულ კილოების საენათმეცნიერო კვლევის ნაყოფია, რომლისათვისაც აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტის მინდობილობით იგი საგანგებოდ მთაში იყო წასული.

რაკი მრავალი დიდმნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს წარსულისა და აწმყოს შესახებ ჯერ შესაფერისიც შესწავლილი და გამორკვეული არ არის, დიდ და ფართო თემების არჩევა მოხსენებისათვის წრის წევრებს ვნების მეტს სარგებლობას არას მოუტანდა. ამის გამო პატარა, ვიწროდ შემოფარგლული კვლევა-ძიებანი და მონოგრაფიები საუკეთესო საშუალებად უნდა იყოს ცნობილი და ახალგაზრდა მკვლევარნიც ამ გზით უფრო აღვილად შეეჩვევიან სამეცნიერო მუშაობის ფაქტზე და შეაცნა მეთოდებს.

პირველი მოხსენება „ქართველი ქალები ისტორიული წყაროებისა და „ვეფხის-ტყაოსნის“-და მიხედვით“, რომელიც

შ. დაღიანს ეკუთვნის, 1913 წ. 27 თებერ. იყო წაკითხული. ამ მოხსენებაში გამორკვეული და განხილული უნდა ყოფილიყო, თუ რაღარა თვისებისა და ხასიათის ქალები არიან მოხსენებული ძეველ ქართულ წყაროებში, ამგვარადვე რუსთველის ქალ-გმირები უნდა ყოფილიყვნენ შესწავლილი და შედარებული. თუმცა მომხსენებელმა ყველა იმ ცნობებით ვერ ისარგებლა, რომელიც კი ძეველ ქართულ ისტ. წყაროებში მოიპოვება, „ვეფხის-ტყაოსნის“ გმირების შესახებაც ყველა აზრს ვერ დაეთანხმება ადგმიანი, მაგრამ მაინც ამ მოხსენებაში არა ერთი და ორი ისეთი სიკითხია წამოყენებული და ზოგიერთი მათგანი შეძლებისდა გვარად გადაწყვეტილი, რომელთათვისაც წინად არავის მიუქცევია ყურადღება.

მეორე მოხსენება „ყმის მფლობელობის ხასიათი საქართველოში მე-XVIII-ე საუკ. მეწინავე სადროშო“ ი. ანთაძის მიერ წაკითხული იყო 1912 წ. 5 მარტის სხდომაზე. ეს საკითხი საქართველოს ეკონომიკურ ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ურთულეს საკითხთაგანია და მის შესასწავლელად შედარებით ბევრი მასალები მოიპოვება, მათ შორის სტატისტიკურიც. კარგა ხანია რაც ამ საკითხის გამოსარკვევად ვმუშაობ და მონოგრაფიული გამოკვლევები ზოგი უკვიდ დამთავრებული მაქს, ზოგი მხოლოდ დაწყობილია. სხვათა შორის დაწყობილი მქონდა გამოკვლევა იმ მოწინავე სადროშოს შესახებაც, რომელიც ჩემ მიერ გამოცხადებულ თემათაგან ი. ანთაძემ სამოხსენებოდ აირჩია და შეისწავლა.

ძეველ სტატისტიკურ მასალების შესწავლა ძნელი და ამასთანავე წინასწარ მუშაობის დროს, სანამ შრომა არ დამთავრდება, მოსაწყენიც არის, მაგრამ ი. ანთაძემ ამ დიდს დაბრკოლებას სძლია და ნაკისრი გამოკვლევა ღირსეულად დაამთავრა. გამოცდილი მკითხველი ამ მოწოდებათაში ბევრს საგულისხმიეროსა და საყურადღებოს ამოიკითხავს. მაგრამ მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ი. ანთაძის მოხსენება რთული და დიდ მნიშვნელოვან საკითხის მხოლოდ ნაწილედი,

მონოგრაფიული გამოკვლევაა და საკითხის ფართოდ და საზოგადოდ დაყენება ვერ მოეთხოვება.

მესამე—დავით კაკაბაძის მოხსენება „ქართულ ხატების მოჭედილობის სახეები“, 1912 წ. 25 ოკტ. წაკითხული, არ-კვებს ქართულ ხელოვნების ისტორიის ერთს თუმცა პატარას, მაგრამ მაინც საყურადღებო საკითხს იმის შესახელ, თუ რა და რა სახეები მოიპოვება ქართულ მხატვრულ მჭედლობის ხელოვნებაში, და სახელდობრ რაში გამოიხატება მათი განვითარება.

მომხსენებელმა შეისწავლა ყველა ცნობილი მასალები და გამოცემული სურათები, მოჭედილობის სახეები გადმო-ზატა და გამოარკვია ქრონოლოგიურად და მოხაზულობის მხრივაც, თუ რაში გამოიხატება ამ სახეების განვითარება. ამ საკითხის საბოლოოოდ და არსებითად გადაწყვეტისათვის ჯერ კიდევ სხვა, ამგვარადვე სპეციალური პატარა გამოკვლევებია საჭირო და დ. კაკაბაძის მოხსენება ამ საქმის დასაწყისი და პირველი საფეხურია. ამ მოხსენების ღირსებას და სამკაულს აგრძელვე ავტორის მიერ ქართულ ხატების მოჭედილობით გან გადმოლებული სახეების სურათები შეადგენს. დ. კაკა-ბაძემ ვითარცა მხატვარმა ეს საქმეც ჯეროვანის ღირსებით შეასრულა და მისი შრომის ეს ნაწილი თავის პირდაპირ და-ნიშნულებას გარდა იმედია ქართული ხელოვნების სახეების განახლებას და გამოცემულებას ხელს შეუწყობს.

გ. თარხნიშვილის მოხსენება „სასამართლოს წარმოება საქართველოში ვახტნგ მე-VI-ის კანონების წიგნის—და მიხე-დვით“ წაკითხული იყო 15 მარტს 1912 წელს და პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს ამ ფრიად საყურადღებო საკითხის შესახებ. გამოკვლევა თუმცა პატარაა, მაგრამ კვლევის საგანი მკაფიოდ და ზედმიწევნით არის. შე-სწავლილი და არსებითი არა ჯულია რა. შეიძლებოდა თემა უფრო ფართოდაც ყოფილიყო აღებული და სასამართლოს წარმოება შესწავლილი ყოფილიყო ვახტანგ VI დროინდელ

სხვა საბუთებისა და წყაროებისდა მიხედვით, მაგრამ თემის  
ასეთი გართულება საჭიროდ არ მჩანცდა იმტომ, რომ ახალ-  
გაზრდა მკვლევარს საკითხეს შესწავლას გაუძრელებდა, ამასა  
თანავე უმთავრესი ცნობები სასამართლოს წაომიების შეს ხებ-  
მაინც სწორედ ვახტანგის სასამართლო წიგნე შია შენახული.

მეხუთე მოხსენება „წყლის მულობელობა და სარწყავი  
წყალი საჭართველოში ძველ საბუთებისა და კანონებისა და მი-  
ხედვით“, რომელიც ისევ ი. ანთაძეს ეკუთვნის, ესება საჭარ-  
თველოსათვის აწ საჭირბორიოტო საკითხს. იმ პრაკტიკულს  
მუშაობას, რომელიც ჩვენს დროს ამა თუ იმ მოთხოვნილების და-  
საქამაყოფილებლად საჭართველოში სწარმოებს, უნდა წინ უძ-  
ლოდეს საკითხის ისტორიულ-მეცნიერული შესწავლა. იმ ღრმა  
რწმენაშ შეატანინა სამეცნიერო წრის ხელმძღვანელს სამოხსე-  
ნებო თემათა სიაში ეს საკითხი. მისი შესწავლა ი. ანთაძემ  
იკისრა და წაიკითხა 1913 წ. გაზაფხულს სამეცნიერო წრის  
ერთ-ერთ სხდომაზე. მომხსენებელს ეს საკითხი თვალსაჩინო  
საფუძვლიანობით აქვს შესწავლილი და მკითხველი იქ არა  
ერთს და ორს საგულისხმიერო ცნობას იპოვის. იმ მასალებს  
გარდა, რომელიც მომხსენებელს თვის გამოკვლევაში შეტა-  
ნილი აქვს, კიდევ სხვაც არსებობს, მაგრამ აქა-იქ, ცალკალ-  
კე საბუთებშია განხული, მათი ამოკრეფა დიდი და ხან-  
გრძლივი შრომას მოითხოვს და შეიძლება შემდეგშიაც თვით  
ი. ანთაძემვე განახორციელოს.

გ. ქუბაბრიას მოხსენებას „მოქალაქობრივი ჰანგები  
ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებში“, 20 თებერვალს 1912 წ. წა-  
კითხულს, მიზნად აქვს იმ მოღვაწის სულიერ შემოქმედების  
განვითარების გათვალისწინება, რომლის ღვაწლი ახალ სა-  
ჭართველოს წინაშე განუზომელია. მოხსენება დაწერილია  
იმ დროს, როდესაც ი. ჭავჭავაძის პოეტურ თხზულებების  
ბ. მ. გედვევანიშვილის სრული გამოცემა ჯერ არ იყო და-  
ბეჭდილი და მომხსენებელს არც საჭირო ბიოგრაფიული  
ცნობები ჰქონდა, განსვენებულ პოეტის პირადობასთან და:

კავშირებული მასალები, ილიას მიწერ-მოწერაც, ქხლანდელ-  
სავით გამოუცემელი იყო. დედააზრი ავტორს მაინც მკაფი-  
ოდ გამორკვეული და დასაბუთებული აქვს. მომავალში იმე-  
დია თვით მომხსენებელივე ყველა საჭირო მასალებს შეაგრო-  
ვებს და თავის თემას ხელმეორედ შეისწავლის და შეიმუშავებს.

13 თებერვალს 1912 წ. წაკითხული აკ. შანიძის მოხსე-  
ნება, როგორც აღნიშნული იყო, ავტორის იმ საენომეცნი-  
ერო კვლევის დასაწყისია, რომელიც ქართულ კილოების  
შესწავლას ეხება. ამგვარ კვლევის დიდი სამეცნიერო მნი-  
შვნელობა თავისდა თავად ცხადია. მოხსენება შემოკლებით  
იძექდება.

რამდენადაც შესაძლებელი იყო ვცდილობდი, რომ თვი-  
თოეული ავტორის მოხსენების ენას პირადი თვისებები შერჩენო-  
და და მათ მეობის დამახასიათებელი იქრი არ წარხოცილოყო.  
ბეჭედას თვალყურს ადენინგბდა ი. ანთაძე. გული სიხარულით  
მევსება, როდესაც ვრწმუნდები, რომ ქართული სამეცნიერო  
წრის მუშაობამ არამცუუ ამაოდ არ ჩაიარა, არამედ თავისი  
ნაყოფიც გამოიღო და იმედი მაქვს, რომ ამ პირველ კრებუ-  
ლის თანამშრომელთა უმეტესი ნაწილი, თუ ყველანი არა,  
მომავალშიც სამეცნიერო მუშაობას თავს არ დაანებებს და  
შეძლებისდა გეარად ქართულ ლარიბ სამეცნიერო მწერლო-  
ბის გამდიდრებას ხელს შეუწყობს. ამასთანავე დარწმუნებუ-  
ლი ვარ, რომ ქართულ სამეცნიერო წრის ეს კრებული მხო-  
ლოდ პირველია და არა უკანასკნელი და მას თავის დროზე  
შემდეგი წიგნებიც მოჰყვება.

ივ. ჯავახიშვილი.

ՃՐԵՍԹՈՅԱՑԱԲՈ.

ნა მის თანა, და ზენონ გულს ეტყოლა, რამთამცა მამული და დედული მონაგები დასა თვისისა დაუტევა ნებისაებრ მისისა და თვითმცა იქმნა მონაზონ უცხოებასა შინა. და ვითარ ამას განიზრახვიდა ზენონ, და იგი მისი ეშმაკისა განმარჯუებითა შეაცოტუნა ვინ-მე უკეთურმან კაცმან. და ლამე ყოველ წარვიღის შავშეთსა ხოლო ზენონ ვითარცა ცნა, შეიქურა საჭიროელითა მარტოდ და ამხედრდა ცხენსა და დევნა უყო“... მაგრამ მერე გაიფიქრა: „ვარ მე ჭაბუქ სასელოვან და რომელსა ესდევ ფრიად შეურაცს არს. დადაცათუ ვეწიოდ და მოვედა, საბრძე არს სულისა ჩემისად და უკეთუ ცუდად უკუნ გიქცმუ სახედ ჩემდა, სირცხვილ არს ჩემდა“... და ისევ ამჯობინა აესრულებია ალთქმა, ე. ი. ალიკვეცა მონაზონად.

აქ ჩვენ თვალშინ არის ძმა, რომელიც დის შეურაცხყოფისათვის შურის საძიებლად ამხედრებულა.. იგი კაბუკია, რაინდი და არ შეშვენის შეურაცხმყოფელის დაუსჯელად მიტოვება. მაგრამ ეს გრძნობა ჯერ კიდევ ძლიერი არ არის. ან უკეთ რომ ვსთქვათ, მიტევება დანაშაულისა, რჯულის მიერ ნაკარნახევი, იმარჯვებს და შურისძიება უთმობს ადგილს პატივებას, რადგან ქრისტემ აგრე ბრძანა, რადგან სარწმუნოება ამას მოითხოვს.

მაგრამ იგივე ეპიზოდი ჩვენთვის მეორე მხრითაა საინტერესო. აქ ჩვენ აშეარად ვხედავთ თავისუფალ სიყვარულს, რომელიც სასტიკად იღევნებოდა იმ დროს. ზენონის და არავითარ დაბრკოლებას არ აქცევს ყურადღებას. მას უყვარს და ამ სიყვარულისათვის იგი მზადაა ყოველგვარი დამაბრკოლებელი მიზეზი სძლიოს, არაფერს არ შეუშინდეს. რა უყოთ რომ ეს სარწმუნოებრივ ზნეობას არ შეეფერება, რა უყოთ რომ საღვდელოება სდევნის ასეთ გრძნობას. მისთვის მისი გრძნობა უფრო ძვირფასია, უფრო ძლიერი, ვიდრე ხელის შემულელი მიზეზები:

ასეთ თავისუფალ სიყვარულს ჩვენ ვხედავთ აგრეთვ, უკვე ზევით მოხსენებულ „ცხორების“ 55 და 56 თავში.

მეფე აშოტ კურაპალატს შეუყვარდა ერთი „დედაქაცი“ სიძვისახ ციხეს მას შინა“. ჩაერევა ამ დროს მეფესა და ქალს შორის სასულიერო პირი და მეფემ ჯერ პირობა მისცა, რომ თავს დაანებებდა „მეძავს“ და ისევ კანონიერ მეუღლეს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ისე ძლიერი იყო მეფის გრძნობა, რომ ვერ შესძლო სიტყვის ასრულება. ერთხელ, როცა მეფე თავის დარბაზში არ იყო, გრიგოლმა იხელთა მარჯვე დრო და გამოიტყუა მეფის საყვარელი ციხედან. ქალმა არ იკოდა არაუერი და დიდის სიხარულით ეახლა წმინდანს. მაგრამ აქ ვა იგონა გრიგოლისაგან ისეთი რამ, რასაც არ მოელოდდა: ლოცვა-კურთხევის მაგიერ გრიგოლი ეუბნება: „ჭიაწერალი ჭია! რადასათვის შერის ცოლე-ქმართა შთაჭრილ. ხარ წარსაწევმედე-ჭად შენდა საუკუნიდ ბოროტითა შით ცოდვითა, რომელითა დამოწებულ ხარ ეშმაკისადა და ცუდითა რახთ-შე შიზეზითა საფრხე ქმნეულ ხარ დიდისა ხელმწიფისადა“. „წმიდათ დმრთისათ, უპასუხა ქალმა,— მე თავსა ჩემსა ზედა გერ თავის-უფრავ გარ, ვინახთგან გარდარეული სიყვარული აქუს ჩემდა მომართ კურაპალატსა“. შემდეგ გრიგოლ ხანძთელმა ეს ქალი ჩაბარი ნეტარს ფეხრონიას და ამგზით, თუმცა „გარდარეულ სიყუარულით“ შებყრობილმა მეფემ ერთგვარი ხერხი იხმარა, მაგრამ მაინც იძულებული იყო ქალს სამუდამოდ დაშორებოდა.

როგორც ვხედავთ, სასულიერო წოდებას მეფეებისათვის საც კი არ უპატიებია თავისუფალი სიყვარული და ყოველ ლონეს ხმარობდა დაეშორებიათ ერთმანეთისათვის.

ადარნერსე მეფის სიყვარულიც თავისუფალი იყო და ამიტომაც გამოიწვია გრიგოლის მრისხანება. მაგრამ ამ შემთხვევაში კიდევ სხვა გარემოებას აქვს აღილი. ადარნერსეს საყვარელმა აიძულა მეფე კანონიერი მეუღლე გაეგდო და მისი აღგილი დაეჭირა. იგი ხმარობდა ყოველგვარ საშუალებას სამუდამოდ ხელში ჩაეჭირა მეფე და ამისათვის არაფერს ზოგავ-

და: ცბიერობა და დაბეჭდება არაფრად მიაჩნდა. სისხლის და-  
ლვრა უდანაშაულო ადამინისა მისთვის მაინც და მაინც დიდად  
საძრახისი არ იყო. „დედაკაცი იგი შემასმენელი ბოროტად  
ეშმაკეულ იქმნა და განცოფნა და სხუანიცა განსაცდელნი  
მიიწივნეს მის ზედა საქმეთაებრ მისთა უკეთურთა“... „რამე-  
თუ განთქუა სახელი მისი ვითარცა მეძავისა და კუალად სის-  
ხლი უბრალოსა ჭაბუკისა დასთხია“ ამბობს „ცხოვრება“.

ასე რომ თავისუფალ სიყვარულის გავრცელებასთან ერ-  
თად თავს იჩენს სიძვა. ასეთი ქალის ლიტერატურულ ტიპს  
ჩვენ შემდეგ „ვ. ტ.“-ში შევხვდებით, როცა ფატმანზე გვექნება  
საუბარი. შემდეგ შიც გვხდება ჩვენს ისტორიაში ასეთი ქალები;  
მაგალითად თამარ ცბიერი, ან და დარეჯანი ლევან დადიანის  
სატრფო და სხ.

სხვათაშორის დიდად დამახასიათებელია და საყურადღე-  
ბო თავისუფალი არჩევანი. „გრიგოლ მთაწმინდელის“ ცხოვ-  
რებაში, ჩვენ უტყუარ საპუთს ვხედავთ თავისუფალი არჩევა-  
ნისას ზევით მოყვანილ მაგალითებში, სახელდობრ: ზენონის  
დის სიყვარული, ადარნერსეს გრძნობები და სხვა, გამოდგები-  
ან სწორედ თავისუფალ არჩევანის არსებობის დასამტკიცე-  
ბლად. ასეთი მოვლენა არ ყოფილა იშვიათი ჩვენში; თუმცა,  
რასაკეირველია, ეს საერთო კანონი არ ყოფილია, არც საერთო  
ჩვეულება, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო ისაა, რომ აკრძა-  
ლულიც არ იყო და „თავისუფალი არჩევანი“ შეიძლებოდა  
თავისუფლად.

ამ რიგად ჩვენ ზემო ნათქვამიდან შემდეგი დასკვნის გამო-  
ტანა შეგვიძლია: სასულიერო წოდება სდევნის ყოველგვარ  
უკანონო კაფშირს, რადგან იგი ეშმაკისაგან გამოგონილია  
და რჯულის წინააღმდეგია, ამასთანავე დიდ მფარველობას  
უწევს მორწმუნეთ, სათნოიან ქალებს. სასულიერო წოდება  
ცდილობს რაც შეიძლება მეტი გავლენა მოიპოვოს საერთოდ  
და ქალთა შორისაც, რადგან შეუძლებელია არ სცოდნოდა-  
თუ რა ძლიერი იარაღი იქნებოდა ქალი ახალი საჩმენოეპ-

ბის გასაძლიერებლად, გასავრცელებლად. ამას დიდი გავლენა ჰქონდა საზოგადოებაში და ძალაუნებურადაც კი პატივის ცემა, თაყვანისცემა მატულობლა.

მაგრამ ამავე ხანაში იწყება ქალისათვის თავგანწირვა შეურაცხყოფილ ქალთა დაცვის სურვილი, იწყება ჭაბუკობაც, რომელიც ჯერ კიდევ სუსტია. ეს ორი მხარე ებრძვის ერთმანეთს. მაგრამ სანამ სასულიერო წოდების გავლენა ძლიერი იყო, სანამ ყოველი დარგი ეროვნული კულტურისა ვითარდებოდა მათ გავლენის ქვეშ, გამარჯვება სასულიერო წოდების ხელთ იყო.

მწერლობამ მაინც თანდათან დააღწია თავი მათ გავლენას; ამას ბუნებაც უწყობდა ხელს და აი მე—XI-XII საუკუნეში ჩვენ ვხედავთ უკვე ქალის თაყვანის ცემას უმწვერვალესად განვითარებულს. ყოველივე გარემოება ხელს უწყობდა ასეთი მიმართულების გაჩენას და თვით ქართველი ქალის სილამაზესაც უმნიშვნელო ადგილი არ უნდა სჭეროდა ამ საკითხის გადაწყვეტაში.

ნიადაგი შზად იყო და მხოლოდ შესაფერი მოშენტი იყო საჭირო. და განა თამარ მეფის ეპოქა საუცხოვო არ არის ამისათვის? თამარმა თვის პიროვნებაში შეაერთა საარაკო სილამაზე და საჩრდინოებრივი, ქრისტიანული მცნება. იგი თითონ სათაყვანო იყო როგორც ერის ისე სამღვდელოების კაცთათვის. თვით პოლიტიკური მდგომარეობაც ხელს უწყობდა ამ გარემოებას და აკი საუკეთესო ნიმუში ქართველი ქალის გაღმერთების, ამ ეპოქამ მოგვცა.

თამარ მეფე ის პირია „რომლის სახელი ზენარს შერავანდედით მოსილი, ლამაზ და გონების წარმტაც ლეგენდებით შემქული, საუკუნეების განშავლობაში იქების და იდიდების ქართველ ხალხის მიერ. თამარი ჩვენი, ხალხის წარმოდგენის ჩვეულებრივი ისტორიული პიროვნება როდი არის, ის არის გაღმერთებული პიროვნება, უკვდავებით მოსილი“—ო ამბობს ს... კაკაბაძე თავის ლექციაში თამარის შესახებ. ეს სრული

კეშმარიტებაა, მაგრამ რატომ? რა იყო ასეთი თამარი, რომ ქართველი ერის ბედის წალმა—უკულმა ტრიალმა ოდნავადაც ვერ შეამცირა ამ ღიღებულ ადამიანის სიღიადე?

თამარის დროს გაძლიერდა პალიტიკურად საქართველო. იგი ერთ ოჯახად შეიქმნა. მართალია დავით აღმაშენებელმა საქართველოს შეერთება ერთ სამეფოდ თითქმის დასრულა, მაგრამ „შინაური კონსოლიდაცია ქართველი ტომებისა ჯერ კიდევ შორს იყო“\*).

თამარმა ტახტზე ასვლისათანავე ჩააჭრო ფეოდალთა ამბოხება, მის წინააღმდეგ მიმართული. ამის შესახებ ზევითაც გვქონდა ლაპარაკი. დაამარცხა გარედან შემოსეული მტრები, და შორს გაუთქვა ქართველ ხალხს სახელი. შინაურ მართველობაში იჩენდა საოცარ ისტატობას და ნიჭს, რისი შედეგიც იყო ძლიერ ფეოდალთა დამორჩილება. აუარებელი ნადავლი, რომელიც ხელთ უგარდებოდა ქართველებს ეკონომიურად მათ წინ სწევდა. მეურნეობის ალორძინებას დიდის ურადღებით ეცყრობოდა, განათლებას მფარველობას უწევდა, მგოსნებს და მეცნიერთ ჰკრებდა სასახლის გარშემო და ბოლოს თავის სილამაზის წყალობით ყველას ხიბლავდა, ყველას იმორჩილებდა. „ქართლის ცხოვრება“ თამარის მეფობა, მისი პიროვნება, აღტაცებით აღწერილი აქვს და ყოველ სიტყვაში სჩანს უზომო სიყვარული, პატივისცემა, პირდაპირ გაღმერთება, სამაგალითო მეფისა. აღწერილი აქვს თვითოვეული მისი ნაბიჯი, ყოველი მისი სიტყვა და ამიტომაც ხშირად მატიანეს ისტორიის თვისებაც კი ეკარგება და მხატვრულ ნაწარმოებს უფრო მოგაონებთ.

აქამდის ჩვენ ლაპარაკი გვქონდა მხოლოდ ისტორიულ ტიპებზე, უფრო გარკვევით რომ ვსოდებათ ისეთ ქართველ ქალებზე, რომელნიც მოხსენებულნი არიან ჩვენს საისტორიო წყაროებში. მხატვრულ ნაწარმოებზე ჩვენ ჯერ არაუერი გვითქვამს. ის რაც ჩვენ აქ დავინახეთ, გვამცნობს თუ რა და რა

\*.) იხ. კავაბაძის ლექცია „თამარ მეფე“.

გვარი ქალი არსებობდა ჩვენში მაშინ, რასაკვირველია, დაახლოვებით. სახელმწიფო ეროვნული წყობილების განვითარებასთან, ეკონომიკურ კეთილდღეობის ზრდასთან, მძლავრობის და თავისუფლების მოპოებასთან ერთად კულტურული წინსვლა აუცილებელი შედეგი უნდა ყოფილიყო, და რადგან თამარ მეფის ეპოქისათვის მომზადებული ხანა ისე ბრწყინვალე იყო, როგორც დავით აღმაშენებლის, ცხადია სულიერი განწყობილება მშვიდება და შიში ჰქენება.

ასეთ პირობებში სასახლეს გარშემო გროვდება საუკეთესო ნაწილი ქართველობისა და თამარს გარს არტყია მრავალი მგოსანი, მწერალი, მეცნიერი და სხვა თამარის ზღაპრული სილამაზის პიროვნება, რასაკვირველია, ხდება ხოტბის მასალად. მგოსანი ერთი მეორეს ეჯიბრებიან ამ საქებურ და სასახელო საქმისათვის. მაგრამ სხვებს შორის მკაფიოდ ბრწყინვას რუსთაველი, რომელმაც „ვ-ტ“ ში. მოგვცა მხატვრული, ლიტერატურული ტიპი ქალებისა და ჩემის აზრით ქართველი ქალებისა.

„კადემიკოსი ნ. მარი, თავის მე XII. წიგნში, „ვ-ტ“. შესახებ ამტკიცებს რუსთაველისავე სიტყვების მიხედვით, რომ „ვ. ტ.“ ეს ორიგინალური ნაწარმოები არაა, ე. ი. სიუჟეტი უწინ თარგმნილა ქართულად პროზით და მერე კი რუსთაველს „ხელი-ხელ საგოგმანებელ მარგალიტად“ შეუქმნია. ამ შემთხვევაში ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას თუ საიდან არის აღებული სიუჟეტი, ქართულია თუ სპარსული, მაგრამ ერთი ეჭვს გარეშეა და ეს დანამდვილებით შემიძლია ვალვიარო: ამ პოემაში ზოგი რამ მაინც ქართულია, წმინდა ეროვნულ ნიაღაგზე აღმოცენებული: „ქალის კულტი“ს შესახებ პატივცემულმა ნ. მარმა ხომ დაბეჯითებით აღიარა ეს და თუმცა დასავლეთ ევროპაში სწორედ ასეთივე კულტი. იყო იმ დროს, მაგრამ გავლენაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. რაინდობა, ქალის კულტი—ეს წმინდა ქართულ ნიდაგზეა აღმოცენებული და ამ მხრივ სხვებს, რაიმე გავლენა ისიც იმ-

დროში შეუძლებელია ჰქონდათ. აკად. მარი ამბობს „რაინდობის მსგავსი რამ შეიძლებოდა ყოფილიყო სპარსეთში, მაგრამ ამის და მიუხედავად მაინც გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ძევლ საქართველოში „ყმა“ ან „ჭაბუკი“ ნაყოფია აღგილობრივი ცხოვრების, მშობლიური ინსტიტუტია და არა შემოტანილი სოციალ კულტურული ცნება, რომელსაც ქართველები ეცნობოდენ მხოლოდ სპარსულიდან ნათარგმნ ლიტერატურული მასალებით.

ამის შემდეგ ჩვენ თამამად შეგვიძლია „ვ. ტ.“ მოვკიდოთ ხელი, როგორც ძლიერ საგულისხმო მასალას.

როდესაც მე „ვ. ტ.“ ქალებზე ვამბობ რამეს, მხედველობაში არ მყავს, არც ერთი განსაზღვრული სახე, არც ერთი განსაზღვრული პირი, პირი—ისტორიული. მე არ ვატყვი, რომ ნესტანი, ან თინათინი თამარი ან სხვა ვინმება, მაგრამ შეიძლება თამარი ერთიც იყოს და შეორეც, რადგან წარმოუდგენელია რუსთაველს არ ყოლოდა სახეში თამარი, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა როგორც გრძნობა ისე აზრი მთელი საქართველოსი. რუსთაველმა ჩემის აზრით მხატვრულ ნაწარმოებში მოგვცა ქართველი ქალის ტიპი, იმ ისტორიული ქალის, რომელსაც ვიცნობთ ჩვენ. ნესტან დარეჯანი, თინათინი, რომ სრულებით უცხო იყოს ჩვენთვის, თუ გონება არა, გრძნობა მაინც გვეტყოდა სიმართლეს, რადგან სადაც ხშირად აზრი, თვალი სცდება, იქ გული არ სტყუვდება.

მე აქ არ შევუდგები კვალ და კვალ „ვ. ტ.“ გმირების გარჩევას და მხოლოდ არამდენიმე მხარეს შევეხები.

სიყვარული ძლიერი, წმინდა, რომელიც უწინ ეშმაკის მანქანებათ მიაჩნდათ სულიერ მამათ დღეს აქ წმინდა რამედ არის აღიარებული. სიყვარულისაოვის ტარიელი აფართოებს სახელმწიფოს საზღვრებს, შიშის ზარსა სცემს მტერს, მერე ველადაც გაიჭრება, მხეცებთან ერთად სცხოვრობს და ექებს თავის მზეს და მთვარეს. ნესტანი სთხოვს თავის მიჯნურს „საქმეს საგმიროს“. ამ გზით იგი სამეფოსაც აძლიერებს, თავ-

მოყვარეობასაც იკმაყოფილებს. ტარიელიც ხომ მზად არის ყველაფრისათვის. მისთვის არ არსებობს არავითარი დაბრკოლება, არ არსებობს შიში, ძრწოლა რაღან იგი ერთია და მიჯნურია, მაშასადამე სწორედ ისეთი პირია, რომელიც აკმაყოფილებს მიჯნურობის ყოველ მოთხოვნილებას ე. ი.

„მიჯნურისა თვალად სიცურთეს, მართ ვითა მზეობა, სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიუმე და მოცალეობა, ენა, გრძება, დათმობა, მძღეთა მებრძოლთა მძღეობა“.

ეს ყველაფრი „ჰმართებს“ და აქვს კიდეც ტარიელს, წინააღმდეგ შემთხვევაში, რუსთაველი იტყოდა „აკლია მიჯნურთ ზენობა“ დ.

მეორედ კი ტარიელი რაინდია — ჭაბუკი და ვითარცა ჭაბუკი, ვალდებულია „საყვარელსა უჩვენოს საქმენი საგმირონია“.

ნესტანი გამზედავია, პირდაპირი, სიყვარულში ნაზი, ნარნარი, წყნარი, შეუბრალებელი და მრისხანე არის როცა ეს საჭიროა და მაშინ კი ტარიელსაც უძნელდება მისი თვალების დანახვა. მკაფიოდ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ნესტანის სახე მაშინ, როცა რუსთაველი ამბობს „ქვე წვა ვით კლდისა ნაშინსა ვეფხი პირ გამეხებული“. ნესტანი როცა გზავნის ტარიელს საომრად განა იგი დარწმუნებულია, რომ ტარიელი, რომელიც მას უყვარს ცოცხალი დაბრუნდება? არა. მაგრამ ის კმაყოფილი იქმნება, თუ მისი მიჯნური გმირულად დალევს სულს, რაღანაც ნესტანი ვერ შეიყვარებს ლაჩარს, მშიშარას. მისი მიჯნური უნდა იყოს „მძღეთა მებრძოლთა მძღე“ . თუ მოკვდა რა უყოთ: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ასეთი ტიპის ქალი ჩვენში ძველად სანთლით საძებარი არ იყო. ასეთი მაგალითები ჩვენ ბევრი ვიცით და ზოგი თუ ლეგენდარულია ეს არაფერს ნიშნავს, რაღან თქმულებას ხომ საფუძვლად რაიმე რეალური შასალა აქვს.

ესეც რომ არ იყოს განა თამარი არ არის საკმარისი ნესტანის შესაქმნელად?

თინათინი რაღას წარმოადგენს? ისიც ნესტანიფით განხორციელებული მშვენიერებაა, მაგრამ უფრო ნაზი. თინათინი ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია მრისხანედ, პირგამეხებულად. თინათინი ნაზია, ნარნარი, ჰაეროვანი, უფრო სუსტი. იგი მებრძოლი არაა. მაგრამ მას ხომ მიჯნური ჰყავს და თუ ეს ესეა ყოველივე წესი მიჯნურობისა აღსრულებულ უნდა იქნას. ავთანდილი მაც უნდა უჩვენოს სატრფოს საქმენი საგმირონი. ავთანდილიც მზად არის და, რაკი დარწმუნდება თინათინის სიყვარულში, მიღის, შორდება სატრფოს სამის წლით. მას ანუგეშებს თინათინის უკანასკნელი სიტყვები და არაფრად მიაჩნია ამდენი ხნის განშორება, ოღონდ ბოლოს აღსრულდეს სატრფოს სურვილი: „შერე შოდი დომო შესეს შეგერება შემიუარე“ და განა ეს უკეთესი ჯილდო არა ჭაბუკისათვის!?

მაგრამ თინათინს ჩვენ ვხედავთ არა მარტო ტრფობის დროს, არამედ როგორც უზარმაზარ სამეფოს გამგეს, მბრძანებელს. თინათინი „— ვზეებრ უტერეტს უგველთა ცნობითა ზე-შედეველითა“. იგი გრძნობს რა მძიმე მოვალეობა აწევს კი-სერზე, მაგრამ „დეკვი დომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხეა-დია“. განა ვინმე დაიწუნებს მის აზრს, მის ბრძნულ რჩევას? განა თითონ მეფე როსტევანი არ უჯერებს თინათინს? ბრძნული რჩევა მისგან წარმოთქმული, ანიჭებს მოხუცებულს სულის სიმშვიდეს და ამასთან კი თინათინი უჩენს ავთანდილს საგმირო საქმეს. ამ შემთხვევაშიც ისეთივე გარემოებაა, როგორც ნესტან და ტარიელს შორის.

თინათინიც მაშასაღამე შეიძლება გამოდგეს ქართველი ქალის სურათად და განა ამ შემთხვევაშიც მართალი არ იქნებოდა რუსთაველი, თამარი ჰყოლოდა სახეში? თამარი სამეფოს გამგე, თამარი ბრძნი, თამარი ნაზი, ჰაეროვანი, თამარი საუცხოვო სილამაზის პატრონი?! გამოდის რომ რუსთაველს თამარის პიროვნება: ორად გაუყვა.. დიახ!.. და მეტსაც ვიტუვი ამ შემთხვევაში რუსთაველმა არა მარტო თამარი, ყველა ქართველი ქალი ორად გაჲყო და თუმცა მდგომა-

რეობით ისინი ერთმანეთს გვანან ძლიერ, მაგრამ განირჩევიან ხასიათით. მე რასაკვირველია არ ვამტკიცებ დაბეჯითებით, რომ თამარი ნესტანია ან თინათინი, ან წინაუკმო, მაგრამ რომ თამარის თვისება, პიროვნება არ გადმოეცა რუსთაველს ეს შეუძლებლად მიმართა. ეს შეუწყნარებელი იქნებოდა როგორც ლოლიკის ისე შემოქმედების კანონის მხრით.

„ვ. ტ.“ კიდევ არის ორი ქალი, რომელთა უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ერთი არის ასმათი. ასმათი განხორციელებაა ერთგულების, თავგანწირვის. მისთვის პირადი ბეღნიერება, პირადი ცხოვრება არ არსებობს: მისი ბეღნიერება ნესტანის და ტარიელის ბეღნიებაა, მისი სიხარული ტარიელის და ნესტანის სიხარულია. როცა ნესტანი გაჰქრება, ასმათი გაჰყვება ტარიელს და მასთან ერთად იზიარებს მის მწუხარებას, გაჭირებას, ტანჯვას. იგი მზათაა თავი სიკვდილს მისცეს, მაგრამ არ იქნება რომ ან უღლალატოს ტარიელს, ან გასცეს მისი საიდუმლო. იგი მზადაა მოკვდეს ავთანდილის ხელით, მაგრამ ტარიელს მაინც აბა როგორ უღლალატებს? ასეთი ტიპი იშვიათი არ იყო ჩვენში და დღესაც კი ხშირად შეხვდებით მსგავს ქალებს აფხაზეთში და სამეგრელოში განსაკუთრებით, სადაც ძიძაობა არა საფასურით, არამედ ნებისყოფლობით, კეთილი სურვილით ჯერ კიდევ არ გადავარდნილა. დღესაც კი ოდისში ძიძა გაზღილს ფიცულობს და არა თავის შვილებს ან ქმარს.

ახლა სანამ ფატმანზე ვიტყოდე რამეს, მინდა ყურადღება მივაკუიო კიდევ ერთ ჩვეულებას, რომელიც აღნუსხულია „ვ. ტ.“-ში.

დღევანდელი შეხედულობით ეს ჩვეულება უზნეობაა, მრუშობაა, რაღაც არანორმალურია. მაშინ კი ეტყობა ეს ჩვეულებრივი ყოფილა, და არავის აზრად არ მოუვიდოდა. იგი დაეძრახა, ეგმო.

ჩვენ დღეს ასე ვმსჯელობთ: მე თუ ვინმე მიყვარს, თუ ვისმეს ვეტრფი ე. ი. მიჯნური ვარ, მთელი ჩემი არსება, აზ-

რი, გონება, სურვილი ჩემი სიყვარულის საგნისაკენ უნდა მიისწრაფოდეს. ის ერთი უნდა იყოს ჩემი ღმერთი, ხატი, ანგელოზი, ერთის სიტყვით, ყველაფერი სქესობრივი დაახლოვება სხვასთან, ისეთ ქალთან რომელიც არ მიყვარს, ჩემს აზრშიც კი არ უნდა დაიბადოს. მაგრამ მაშინ აგრე არ ყოფილა. მე არ გამოუღები აქ იმის განმარტებას თუ რატომ, მაგრამ ცხადია რომ აგრე არ იყო.

როცა ტარიილი უკვე მიჯნური იყო ნესტანის, შუამავლად მათ შორის ასმათი ხდება. და აი სწორედ, ხატაეთს გალაშქრების წინ, როცა უკვე მორჩა და ცხენზე ჯდომა შეიძლო, ერთი ნადირობის შემდეგ ნადიმი გამართა ტარიელმა თავის დარბაზში. ნადიმის დროს,

„მოფარებან შინაურშან უურსა მითხრა ნაუბარი:  
ქალი ვინმე იგითხსავს: „ინახვისცა ამითბარი“?  
ზეწარითა მოუბურავს პირი, ბრძენთა საქებარი.  
გარეჭი: „საწოლს წაიუვანე, ჩემგან არის ნახშიბარი“.

ავდებ, მსხდომნი ნადიმობით აემზადნეს ასაურელად;  
უქაცრავად „შალი“ — ვუთხარ — ნუ ადგებით, მოვალ სანსა დაუზმედად“;  
გამოვე და საწოლს შეეგლ, მონა დადგა კანსა მცირელად;  
გული მიგეც თმობა-ქმნათა აუგისა საკრძალველად.

კანსა შევდებ, ქალი წინა მომეგება თაუვანი შცა;  
მითხრა: „მასვალა თქვენს წინაშე კურთხეულ ა რამან დიოსმცა“.  
გამიგვირდა მიჯნურისა თაუვანება ექმნა ვისმცა?  
ვთქვი: „არ იცის აშიობა: თუმც იცოდა, წენარად ჰესიმცა“.

მითხრა: „დღე ეგე სირცხვილად შედების გულსა ალობა:  
გგონია, ჩემგან წინაშე მაგისთვის მომავალობა;  
მაგრამ აწ მიღებს იმედსა შენგან ცდისა-და მალობა;  
ამას თუ გლიცევარ, გერ ვატუვი, მაკლია ღვთისა წეალობა“.

აქედან აშკარად სჩანს თუ ტარიელს რა ეგონა? რისთვის ეგონა მოსული ქალი და რა აზრით შეაღო მან საწოლის კარი.

ავთანდილიც გვაძლევს ერთს. ასეთს მაგალითს. ავთანდილი თუმცა გრძნობს, რომ არ უნდა მისდიოს ფატმანის სურვილს, მაგრამ ეშმაკურად იმართლებს თავს იმით, რომ ფატმანმა იქნებ რამე იცის ნესტანის და თუ იცის მიამბობსო.

სთქვა: ჟვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია! მაგრამ მას ზედა ბულბულსა ჯერ ტეპილად არ უმდერია; უზარესო საქმე უფეხლი მოკლეა, მით თხერია, რა უთქვაშის, რა მოუჩემხავს რა წიგნი მოუწერია!“

მაგრამ ამისდა მიუხედავად მინც განაგრძობს:

მერე იტყვის: „შენგან კაცი ჩემი შემწე არავინ ა, რასათვისცა გამოვჭრა რეალურან, მისი ძებნა რაღვან მინა; რათაცა ჭით გვიკვებ, მას ვიქმ, გულმან სხევაშცა რა ისშინა!

ისი დაცრი აქა ზის გაცთა მნახავი მრავალითა, მთსადგური და მოუგარე შგზაფრთა უფეხლებნით მავლითა მიგვევე, მიამბობს უგელასა, რაზომცა ცეცხლი მწვავს ალთა, ნუ თუ რა მარგოს მე მისი, გარდახდა ჩემგან გცნო გალთა“.

სთქვა: „დაცსა ვინცა უევარს, გაექვსის და მისცემს გულსა, აუგი და მოუიგნება არად შესწონს უოლედ ქულსა; რაცა იცის გაუცხადებს, ხფაშიადსა უთხრობს სრულსა, მიჯობს, მიგვევე, განლასადმე გცნობ საქმესა დამაღულსა.

გულავ იტყვის: „ვერვინ გერას იქმს, თუ ეტლი არ მოსმით რაცა მინდა არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მოშინდების;

ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ ამად ბინდების,  
კოგასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების“.

ფატმანი განკერძოვებულად დგას ზევით მოყვანილ პი-  
რებს შორის. თუ კი რუსთაველს თინათინის და ნესტანის სიმ-  
შვენიერის აღწერის დროს, სურდა ჩვენს გულში აღეძრა უზო-  
მო პატივისცემა, სიყვარული, თითქმის სათნოება მათლამი,  
სულ სხვაგვარ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე ფატმანის  
დახასიათება. ფატმანი, ქალაქის შვილია, ვაჭრულ ატმოსფერა-  
ში აზრდილი, იქაურ ზნე ჩვეულების მიხედვით მცხოვრები.  
ვნებათა ლელვის დაკმაყოფილების სურვილი ლამაზი ვაჟკაცის  
შეხვედრის დროს, არავითარ დაბრკოლების წინ არ დაახევი-  
ნებს მას. ფატმანი აღვიძებს თქვენში სქესობრივ დაახლოვე-  
ბის სურვილს და ეს მაინც და მაინც დად ცოდვად არ მიაჩ-  
ნია მას.

ავთანდილის მოსვლა მას „შეგითვატებევ არ ეჭიინათ“ ამ-  
ბობს რუსთაველი და შემდეგ ასე აქვს აწერილი მას:

„ფატმან სათუნ თვალად მარჯვე, არ ქმაწვილი, მაგრა მზმელი  
ნაგვთად გარგი, შევგერებანი, პირმსუქანი, არ პირხმელი.  
შუტრიბთა და მთმდერალთა შოშებრული, დგინდის-შეშელი;  
და ედვა სასალუქო, დასაბურავ ჩასაცმელი“.

ფატმანი ქმრიანია, მაგრამ საყვარელი ჰყავს და ამისდა  
მიუხედავად ავთანდილთან კიდევ აბამს აშიკობის ქსელს. ასე-  
თი ზნის ქალი ყოველ დროს ყოფილა ყოველგან და გასაო-  
ცრად, ან შეუძლებლად არ მიმაჩნია, რომ ქართველობაშიც  
ყოფილიყოს. თუ შეიძლება ასე ითქვას, უკანონო „სიყვარულ“ ს  
ჩვენ ზევითაც გავეცანით და „ვ. ტ.“ ში კი მხატვრულ ტიპად  
არის იგი ჩამოყალიბებული.

ამ რიგად „ვ. ტ.“ ჩვენ ვხედავთ ლიტერატურულ ტიპებს  
და ჩვენ ვცდილობდით ამ ტიპებში დაგვენახა როგორმე ქართ-


კელი ქალების დახასიათება; თავის თავად ცხადია, რომ ეს ძნელი რამ არის, რადგან რუსთაველი დიდის ასტატობით იფარავს თავს რათა არ გადასცილდეს იმ საზღვარს და იმ გეგმას, რომელსაც აღგა თავიდანვე.

შეიძლება „ვ. ტ.“-ში ქართული ცხოვრება არ იყოს მოქმედული, მაგრამ მაინც დაკვირვების შემდეგ ბევრი რამეს გამოტანა შეიძლება. ჩვენ რომ დღეს „ვ. ტ.“ გვაინტერესებდეს, სხვა მხრივაც კიდევ რამდენიმე შაგალითის მოყვანა შეიძლებოდა იმის დასამტკიცებლად, რომ „ვ. ტ.“-ში ცოტად თუ ბევრად მოიპოვება ძველი საქართველოს კვალი.

#### დავასკვნათ:

ჩვენ ვამბობდით რომ „ქალის კულტის“ გაჩენას ძლიერ შეუწყო ხელი სასულიერო წოდებამ, ჩვენ ვამბობდით აგრეთვე, რომ თვით ქალი დიდ სამსახურს უწევდა ქრისტიანობას, იჩენდა ხასიათის სიმტკიცეს, სათნოებას, თავგანწირვას, სამზობლოს სიყვარულს და ამან კიდევ ხელი შეუწყო ქართველი ქალის იდეალიზაციას. ჩვენ ვამბობდით, რომ განხილულ წყაროებში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ ისტორიულ ქალებს, რომლის გვირგვინს შეადგენს თამარ მეფე და ბოლოს, რომ „ვ. ტ.“-ში რუსთაველმა მოგვარ მხატვრული ტიპები ქართველი ქალებისა-იმ ქალებისა, რომლებსაც იცნობდა იგი თითონ და იცოდა გადმოცემით ან მატიანეს წყალობით. ამით ვასრულებ ამ მოკლე მიმოხილვას დიდი საკითხისას და თუმცა მე თითონ ვგრძნობ, რომ ბევრი რამ აკლია ამ მოხსენებას, მაგრამ ნათქვამია: „ერთგულის გულით მოძლვნილი მცირედიც შეიწირების“.

შოთა დადიანი.



# ყავნის მფლობელობის ხასიათი საქართველოში მე-XVIII საუკ.

მეწინავე სადროშო.

## I

ჩვენი გამოქვლევის მიზანია ყმების მფლობელობის ხასიათის გამორკვევა ე. ი. გამორკვევა იმისა მსხვილი თუ წვრილი მფლობელობა იყო გავრცელებული ჩვენში, ამიტომ არც ბატონყმობის წესწყობილების და არც ბატონ-ყმათა განწყობილების განხილვას ჩვენ არ შევუდგებით. მფლობელობის ხასიათის გამოსარკვევად საჭიროა ვრცელი სტატისტიკური ცნობები მფლობელთა და მათ ყმათა შესახებ. ასეთი ცნობები კი ჯერ-ჯერობით ხელთ გვაქვს, მხოლოდ მეწინავე სადროშოს შესახებ, შედგენილი 1721 წელს შეფე ვაზტანგ VI ღროს და ყმების მფლობელობის ხასიათის გაგებაც ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ მეწინავე სადროშოსი, რომელიც, მართალია, არ იქმნება ნამდვილი დამახასიათებელი საქართველოს სხვა კუთხეთა მფლობელობისა, მაგრამ, როგორც ნიმუშს—მაჩვენებელს ქართლის ერთი მეოთხედის მფლობელობისა, მაინც დიდი მნიშვნელობა ექმნება. საქართველოს მფლობელობა, როგორც ყმათა ისე მიწისა იმდენად განსხვავდება სხვა ქვეყნების მფლობელობისა—გან და იმდენად თავისებურია, რომ მისი რომელიმე მხარეს შესასწავლად სხვა ქვეყნებთან შედარებითი მეთოდით სარგებლობა შეუძლებელია და თავისებურივე თვალსაზრისით უნდა ვიხელ-

მძღვანელოთ. ეს მით უფრო საჭიროა, რომ ხშირად ქართლის, რომელიმე გეოგრაფიული ერთეულის სხვა და სხვა ნაწილში, სხვა და სხვა ხეობებში, მფლობელობის სხვა და სხვა სურათს ვხედავთ. (დბანის ხეობა და ორივე ბოლნისის ხეობა — წვრილი მფლობელობა; ტაშირი, ლოქი, ყარაბულახის ხეობა — მსხვილი მფლობელობა).

აღწერილობა მეწინავე სადროშოსი, რომლითაც მე ვსარგებლობი გამოცემულია ბ-ნ ე. თაყაიშვილის მიერ 1907 წელს შემდეგი სათაურით: „სტატისტიკური ცნობები საქართველოს შესახებ მე-XVIII საუკ.“ მე არ შევუდგები განხილვას თუ რა დროიდგან და რა მიზნით ხდებოდა საქართველოში ასეთი აღწერა და მოკლედ მოვიყვან პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევის აზრს („Народные переписи въ Грузии“ Записки Восточного Отдѣленія Импер. Русск. Археолог. О-бщ. томъ XIV). პროფ. ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით ხალხის აღწერა საქართველოში შვიდ წელიწადში ერთხელ ხდებოდა, ერთი და იმავე გეგმით. პირველი აღწერა იხსენიება მეცამეტე საუკუნეში, როდესაც ქართლი აღიწერა მონლოლთა ვეზირის არღუნის ბრძანებით. თუმცა ამაზე ადრე მომხდარ აღწერის შესახებ ცნობები არ მოიპოვდა, მაგრამ პრ. ჯავახიშვილის აზრით, ეჭვს გარეშეა, აღწერილობანი წინედაც ხდებოდენ. მნიშვნელობა აღწერილობისა იყო ორ ნაირი: სამხედრო და ფისკალური, რასაც სხვათა შორის გვიჩვენებს აღწერის წინა-სიტყვაობა მდივნნ გივი თუმანიშვილისა: „აღვწერეთ ამა დავთართა შინა, რომელთა ძალ ედვა აბჯართა და ცხენთა ხმარებანი გინა სამეფოთა ხარჯთა და ბეგარათა გამოლებანი, ხოლო რომელთა არ ძალ ედვის ყოვლისა რასმესი ქმნა და გამოლება, განუტევეთ წიგნსა ამასა. შინა, რათა არა მწუხარე იქმნეს, მადლობდეს ღმერთსა და აქებდენ და ლოცვიდენ მეფესა ჩეკნსა მრავალ უამიერ დღეთა სიგრძეთა მეტყველებითა“.

როგორც ვიცით ქართლი აღმინისტრატიულად ითხ

სადროშოდ იყოფებოდა. ყოველი სადროშოს სათავეში იდგა სარდალი, რომლის მოვალეობაში სხვათა შორის აღწერის შონედენაც შედიოდა. თვით აღწერა სარდალს მეფის ან დედოფლის მდივნის თანხლებით უნდა ეწარმოებინა. 1721 წელს მეწინავე სადროშოს სარდალი იყო ბატონიშვილი ვახუშტი და აღწერილობაც შომხდარა მისი ხელმძღვნელობით, მდივანი გივი თუმანიშვილის მიერ. სადროშო გეოგრაფიულად საბარათიანოდ და სომხითად იყოფებოდა, გარდასახადის მხრით კი სამეფო და სადედოფლო სახასოებად. საბარათიანოს მცხოვრებთა სახასოებად დანაწილებას დავთარუში ნათლად ვხედავთ, რაც შეეხება სომხითს აქ რამდენიმე შემთხვევაში არ არის აღნიშნული რომელ სახასოს ეკუთვნის ესა თუ ის მფლობელი. დანარჩენ შემთხვევებში კი ორივე გეოგრაფიული ნაწილის აღწერა მარტივია. ჯერ აღწერილია საბარათიანოს მფლობელები ცალკე სამეფო და ცალკე სადედოფლო სახასოები და მერმე სომხითი, ამის მიხედვით მფლობელთა და ყმათა რიცხვის გაეხდა დიდ სიძნელეს არ წარმოადგნს. მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში გვხდება ცოტაოდგნი დაბრკოლება მაგალითათ: არ არის ნათლად ნაჩვენები თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის ყშა (ოთარ ბუჭყიაშვილი-180 გ); არ არის მოსხენებული მფლობელის გვარი (გვ. 259 და სხვა), სხვათა შორის არ არის მოყვანილი გვარი არც ერთი მდივნისა (სულ 8 მდივანია) და არც ერთი ნაზირისა. არ არის აგრძელვე ნაჩვენები რიცხვი ორბელიანთა გვარის წევრთა, რომელთა მამული გაუყოფელია, და ყველგან მოყვანილია როგორც გვარის ერთეული. უკანასკნელ ორ შემთხვევაში ე. ი. მდივანთა და ნაზირთა გვარების და ორბელიანთ გვარეულობის რიცხვის გასაგებად იძულებული ვიყავით მაშინდელი დროის სიგელ გუჯრები გადაგვეთვალიერებინა და ცნობები იქედან ამოგვეკრიფა („საქართველოს სიძნელენი“ ტომი II და III გამოც. ბ-ნ ე. თაყაიშვილისა). მიუხედავად ამისა ორი მდივნისა და ორი ნაზირის გვარი ვერ გავიგეთ, ორბელიანთ გვა-

რის წევრთა რიცხვი კი, რასაკვირველია, შედარებითია და არა ნამდვილი.

აღწერა მფლობელთა და ყმათა უბრალო სიას წარმო-  
ადგენს და მიწის მფლობელობის გაგება შეუძლებელია, რადგან  
მარტო სოფელთა სახელები და ყმათა რიცხვი არაფერს არკვევს.

თითქმის არაფერია მოყვანილი გლეხთა ქონებრივ მდგო-  
მარეობაზე დ თუ წინასიტყვაობაში ნათქვამს არ ვიქონიებთ  
სახეში და დავთარში აქა იქ გაფანტული ცნობებით არ ვი-  
სარგებლებთ; სამწუხაროდ ეს ცრობები ძალიან მცირედია  
და დიდ მასალის არ წარმოადგენს. სადროშოს მცხოვრებნი  
სოციალურად იყოფებოდნენ თავისუფლებად და ყმებად. ორი-  
ვე ჯგუფის სათავეში იდგა მეფე და ბატონიშვილები. თავის-  
უფლებში პირველი ალაგი ეჭირა თავადებს და მეორე თავი-  
სუფალ აზნაურებს. თავისუფალი გლეხი დავთარში მოხსენე-  
ბული არ არის. თავადები არიან აზნაურიანი და უაზნაურო.  
აზნაურები-ყმიანი და უყმო.

ყმები შესდგებოდნენ-ყმა აზნაურებისაგან და გლეხები-  
საგან. არის მოხსენებული კიდევ ყმების ერთი ჯგუფი-უყმო-  
ნი. ესენი არიან თავადთა ყმები და ალბად მსახურნი უნდა იყ-  
ვნენ. აზნაურებს უყმონი არა ჰყავთ. როგორც სჩანს ისინი გლე-  
ხებზე ცოტა მაღლა იდგნენ. მოხსენებულია აგრეთვე რამდე-  
ნიმე ყმიანი გლეხი. გლეხები გაყოფილია ორ ჯგუფად: ვენა-  
ხიან გლეხებად და ბოგანოებად. ორივე ჯგუფში მოხსენე-  
ბულია თარხანი გლეხები. რადგანაც უბრალო ყმათა ხელო-  
ბა ყოველთვის ნაჩვენებია, შეიძლება გაგება იმისა თუ რა  
ხელობა უფრო ყოფილა გავრცელებული სოფლად.

როგორც ვთსქვი დავთარი ორ მთავარ ნაწილად არის  
გაყოფილი. ეს ნაწილები საბარათიანო და სომხითი, რამდე-  
ნიმედ ყმების მფლობელობით ერთმანერთზე დ განსხვავდება  
და ამიტომ ჩვენ, ჯერ ცალკე მათ კუთხობრივ მფლობელო-  
ბის ხასიათს გამოვარკვევთ და მერე საერთო, მეწინავე  
სადროშოს სურათს გამოვიყვანთ.

II

საბარეთიანო

პირველი და უფრო დისახლებული ნაწილი სატროშოსი საბარათიანო მდებარეობდა ვერეს ანუ სკვირეთის ხეობაზე, ქციის ხეობაზე, ზურტაკეტის ხეობაზე, აღგეთის ხეობაზე, და თრიალეთზე. დასახლებული იყო სულ 293 სოფელი რომელიც ეკუთვნოდა 207 თავისუფალ მფლობელს, 7 ეკლესიას და 36 ყმა აზნაურს, სულ 250 მფლობელს. საბარათიანოს 207 თავისუფალი მფლობელი ეკუთვნოდა 65 მფლობელთა გვარეულობას. გვარეულობა იყო როგორც მრავალ-რიცხვანი და მრავალ-ყმიანი ისე მცირე-რიცხვანი და მცირე-ყმიანი. ხშირად რომელიმე მრავალ-რიცხვან, გვარს ყმა შედარებით მეტი ჰყავს ვიდრე მეორე მცირე-რიცხვან ყმას, მაგრამ ეს, როგორც ქვემოდ დაგინახავთ არ არის, იმის მაჩვენებელი რომ მრავალ-ყმიანი გვარის ყველა წევრი თანასწორად მრავალ-ყმიანი იქნება. არის გვარეულობანი მეტად დაქვეითებულნი და ასეთ გვარებში უყმო წევრი იშვიათი არ არის. სულ უყმა 52 წევრი 8 გვარისა. რასაკვირველია ასეთი აზნაური ქონებრივად არა თუ ყმა-მფლობელ აზნაურზე ბევრით მაღლა ვერ იდგებოდა, არამედ გლეხებსაც კი ალბათ ბევრით ვერ აღემატებოდა.

მფლობელთა საგვარეულოებში უყვლაზე მაღლა სდგას მეფის გვარეულობა, რომლის ხელთ შეგროვილია საბარათიანოს ყმათა  $\frac{1}{4}$ . შემდეგი ალაგი სოლოლაშვილებს უჭირავთ და მესამე ციციშვილებს. უკანასკნელები თუმცა აქაური მკვიდრნი არ არიან, მაინც უფრო მსხვილი მფლობელი გვარია ვიდრე სხვა გვარეულობანი. ბარათაშვილებში მოხსენებულია მხოლოდ ამილდამბარ ბარათაშვილი, რომელსაც მეხუთე ალაგი უჭირავს ყმათა მფლობელობის რიცხვით. დანარჩენ მფლობელ გვართა ყმების რიცხვს ცხრილიდან დავინახავთ.

საბარათიანოს მფლობელთ გვარეულობანი და მათ ყმათა რიცხვი.

| გვარეულობანი.  | გვარის შემცველი<br>და რიცხ. | აღმდენის შემცველი<br>სულ ქავების რაოდ. | ამათში<br>რამდენია. |      | ყმათა საერ-<br>თო რიცხვ-<br>ში შეტან. |       | სტატისტიკუ-<br>რი ცნობების<br>გვერდი. |
|--|-----------------------------|--|---------------------|------|---------------------------------------|-------|---------------------------------------|
|  |                             |  | კომ.                | ბოგ. | აზნ.                                  | უყმო. |                                       |
| გგარეულობა მეფისა:   |                             |  |                     |      |                                       |       |                                       |
| მეფე, დედოფალი, სფი-<br>მონ და ვახუშტი ბატო-<br>ნიშვილები, შავნავაზხანი<br>და ბატონის რძალი. | 6                           | 715                                    | 560                 | 145  | 3                                     | 7     | { 4,18,21<br>12,                      |
| სოლოდაშვილები  | 9                           | 251                                    | 189                 | 47   | 12                                    | 3     | 50,101,                               |
| ციციშვილები  | 17                          | 198                                    | 159                 | 27   | 5                                     | 7     | 31                                    |
| იარალაშვილები  | 3                           | 112                                    | 74                  | 33   | 2                                     | 3     | 62                                    |
| თურქისტანიშვილები  | 7                           | 95                                     | 67                  | 28   | —                                     | —     | 79                                    |
| ბარათაშვილი  | 1                           | 95                                     | 68                  | 20   | 7                                     | —     | 52                                    |
| გერმანიზშვილები  | 2                           | 91                                     | 72                  | 15   | 4                                     | —     | 132                                   |
| საგინაშვილები  | 10                          | 84                                     | 66                  | 18   | —                                     | —     | 150                                   |
| სუფრაჯები  | 2                           | 83                                     | 64                  | 13   | 5                                     | 1     | 112                                   |
| აბაშიშვილები   | 3                           | 77                                     | 58                  | 13   | 6                                     | —     | 116                                   |
| ქავთარაშვილები   | 4                           | 75                                     | 66                  | 9    | —                                     | —     | 122                                   |
| ზალიშვილები  | 1                           | 75                                     | 47                  | 17   | 5                                     | 6     | 57                                    |
| იორგაშვილები   | 2                           | 62                                     | 46                  | 13   | 3                                     | —     | 128                                   |
| თაყაშვილები  | 4                           | 59                                     | 51                  | 8    | —                                     | —     | 75,127                                |
| ტფილელი  | 1                           | 56                                     | 44                  | 9    | 3                                     | —     | 46                                    |
| მანგლელი   | 1                           | 50                                     | 46                  | 4    | —                                     | —     | 110                                   |
| ნამნგლელევაშვილები   | 2                           | 50                                     | 39                  | 8    | 3                                     | —     | 119                                   |
| თუმანიშვილები  | 5                           | 49                                     | 29                  | 20   | —                                     | —     | 43,45                                 |
| ყორლანიშვილები   | 7                           | 48                                     | 33                  | 15   | —                                     | —     | 17,93,95                              |
| სოსროჩანიშვილი   | 1                           | 45                                     | 39                  | 6    | —                                     | —     | 23                                    |

\*<sup>4</sup>) ბ. ექვთ. თაყაიშვილის მიერ გამოცემული სტატიისტიკური ცნობები მე-XVIII საუკუნის შესახებ.

|                   |    |    |    |    |   |   |         |
|-------------------|----|----|----|----|---|---|---------|
| საკაძები          | 8  | 41 | 29 | 12 | — | — | 41      |
| სულეიმანიშვილი    | 1  | 40 | 27 | 12 | 1 | — | 52      |
| ქირმანის ხანი     | 1  | 37 | 30 | 6  | — | 1 | 25      |
| თარხნიშვილები     | 4  | 37 | 36 | —  | 1 | — | 38      |
| შერმადინაშვილი    | 1  | 36 | 23 | 7  | 2 | 4 | 130     |
| ყარაბუდახიშვილები | 2  | 35 | 29 | 6  | — | — | 72      |
| ზურაბიშვილი       | 1  | 35 | 22 | 6  | 3 | 4 | 61      |
| თულაშვილები       | 8  | 34 | 27 | 7  | — | — | 84, 155 |
| ამილახორი         | 1  | 31 | 18 | 12 | 1 | — | 26      |
| მდიგანი გიორგი    | 1  | 30 | 17 | 12 | — | 1 | 69      |
| ზაზუნაშვილები     | 3  | 27 | 23 | 4  | — | — | 125-127 |
| ჭარაზიშვილი       | 1  | 27 | 22 | 5  | — | — | 136     |
| მუსხელაშვილები    | 3  | 27 | 19 | 8  | — | — | 39      |
| რჩეულაშვილები     | 4  | 26 | 22 | 4  | — | — | 19      |
| ღოლენჯიშვილები    | 2  | 23 | 20 | 3  | — | — | 71      |
| ბეგაშვილები       | 5  | 21 | 17 | 4  | — | — | 78      |
| გოჩაშვილი         | 1  | 21 | 12 | 9  | — | — | 41      |
| გილაქიშვილები     | 2  | 20 | 16 | 4  | — | — | 88      |
| აბულფათიშვილი     | 1  | 19 | 18 | 1  | — | — | 137     |
| ნათლის მცემელი    | 1  | 19 | 15 | 4  | — | — | 49      |
| შიო მღვიმე        | 1  | 19 | 15 | 4  | — | — | 27      |
| წალკელი           | 1  | 18 | 16 | 2  | — | — | 48      |
| არეშიშვილები      | 13 | 17 | 10 | 7  | — | — | 92      |
| ფარემუხაშვილ      | 1  | 14 | 14 | —  | — | — | 153     |
| აბულაშვილები      | 5  | 14 | 11 | 3  | — | — | 156     |
| ლარაძეები         | 2  | 14 | 9  | 5  | — | — | 89      |
| კანკაშვილი        | 1  | 12 | 11 | 1  | — | — | 138     |
| ქანანაშვილები     | 6  | 12 | 9  | 3  | — | — | 90      |
| რევიშვილები       | 2  | 10 | 9  | 1  | — | — | 87      |
| გარაყანიძე        | 1  | 10 | 10 | —  | — | — | 49      |
| როინაშვილები      | 7  | 10 | 3  | 7  | — | — | 94      |

|                           |     |      |      |     |    |    |             |
|---------------------------|-----|------|------|-----|----|----|-------------|
| წმ. სამების . . . .       | 1   | 10   | 7    | 3   | —  | —  | 152,153,158 |
| გლურჯერები . . . .        | 5   | 9    | 7    | 2   | —  | —  | 157         |
| მერაბიშვილები . . . .     | 2   | 9    | 5    | 4   | —  | —  | 35,139      |
| ჩხეიძე სეჩნია . . . .     | 1   | 8    | 8    | —   | —  | —  | 37          |
| საჩინოშვილი . . . .       | 1   | 8    | 7    | 1   | —  | —  | 75          |
| ყვლგძელიძე . . . .        | 1   | 8    | 6    | 2   | —  | —  | 158         |
| მუხრანის ბატ. ალიყუ-      |     |      |      |     |    |    |             |
| ლი ხანი . . . .           | 1   | 6    | 6    | —   | —  | —  | 18          |
| უსუფბეგიშვილი . . . .     | 1   | 6    | 6    | —   | —  | —  | 21          |
| გურიელი . . . .           | 1   | 6    | 4    | 2   | —  | —  | 126         |
| აფხაზაშვილი . . . .       | 1   | 6    | 3    | 3   | —  | —  | 158         |
| ხერხეულიძები . . . .      | 4   | 5    | 5    | —   | —  | —  | 139         |
| ნაზირი ედიშერ (შალი-      |     |      |      |     |    |    |             |
| კაშვილი) . . . .          | 1   | 4    | 4    | —   | —  | —  | 37          |
| დონდარაშვილი . . . .      | 1   | 4    | 2    | 2   | —  | —  | 155         |
| ავალაშვილი . . . .        | 1   | 3    | 3    | —   | —  | —  | 37          |
| ბურლაშვილი . . . .        | 1   | 3    | 2    | 1   | —  | —  | 88          |
| ხოჯაშვილი . . . .         | 2   | 3    | 2    | 1   | —  | —  | 88          |
| შანშაშვილი . . . .        | 1   | 2    | 2    | —   | —  | —  | 157         |
| ყარჩისაშვილი . . . .      | 1   | 2    | 1    | 1   | —  | —  | 88          |
| შემაზაშვილი . . . .       | 1   | 2    | —    | 2   | —  | —  | 91          |
| ატაცის ჭმ. გიორგი . . . . | 1   | 1    | 1    | —   | —  | —  | 122         |
| ზურგუშვილი . . . .        | 1   | 1    | 1    | —   | —  | —  | 158         |
| სულ 65 გვ. 7 კქლ.         | 214 | 3212 | 2458 | 651 | 66 | 37 | —           |

ზემო მოყვანილ ცხრილიდან ვხედავთ რომ გვარეულობათა  
| ნაზირი ედიშერ (ზალი-    |    |    |   |   |   |   |               |
| კაშვილი) . . . .        | 10 | 10 | — | — | — | — | 37,237,259    |
| სოლორაშვილი ავთან-      |    |    |   |   |   |   |               |
| დილ . . . .             | 10 | 9  | 1 | — | — | — | 148           |
| ჭმ. სამება . . . .      | 10 | 7  | 3 | — | — | — | 58,92,152,158 |
| ციციშვილი პაპუნა სარ-   |    |    |   |   |   |   |               |
| დალიშვილი . . . .       | 10 | 6  | 2 | 1 | 1 | 1 | 36            |
| თაყაშვილი დემეტრე .     | 10 | 10 | — | — | — | — | 127           |
| გარაყანიძე ბერი . . . . | 10 | 10 | — | — | — | — | 49            |
| რჩეულიშვილი ბეჭანი .    | 10 | 9  | 1 | — | — | — | 19            |
| ივგულაშვილი ოთარი .     | 10 | 9  | 1 | — | — | — | 286           |
| თურქისტანიშვილი ქაი-    |    |    |   |   |   |   |               |
| ხოსრო . . . .           | 10 | 7  | 3 | — | — | — | 81            |
| შანშიაშვილი მიქელ .     | 10 | 6  | 4 | — | — | — | 271           |
| ზავრაშვილი იოთამი .     | 10 | 5  | 5 | — | — | — | 274           |
| შანშიაშვილი ხასანა .    | 10 | 4  | 6 | — | — | — | 272           |
| საჩინოშვილი ფარსადან .  | 10 | 9  | 1 | — | — | — | 75,237        |
| საგინაშვრლი ბეჭანი .    | 10 | 6  | 4 | — | — | — | 151           |
| ნასრიაშვილი ბეჭანი .    | 9  | 9  | — | — | — | — | 283           |
| ნაზირი ოსეფა . . . .    | 9  | 6  | 3 | — | — | — | 267           |
| ველაშვილი ავთანდილ .    | 9  | 6  | 3 | — | — | — | 280           |
| ლარაძე ზურაბი . . . .   | 9  | 6  | 3 | — | — | — | 89            |
| მუსხელაშვილი იქსე .     | 9  | 6  | 3 | — | — | — | 40            |
| აბულაშვილი ბარათა და    |    |    |   |   |   |   |               |
| გიორგი . . . .          | 9  | 7  | 2 | — | — | — | 156           |
| ჩხერიძე სენია . . . .   | 8  | 8  | — | — | — | — | 37            |
| ალიბეგაშვილი . . . .    | 8  | 8  | — | — | — | — | 269           |
| ჰელგძელიძე ნიკოლოზ .    | 8  | 6  | 2 | — | — | — | 158           |
| შანშიაშვილი ნაზარა .    | 8  | 3  | 5 | — | — | — | 272           |

|   |   |   |   |   |   |            |
|---|---|---|---|---|---|------------|
| ყორლანიშვილი ფარსა-<br>დან ედიშერ და ქაიხოსრო | 8 | 5 | 3 | — | — | 95         |
| მდივანი ქიშვარი თუმა-<br>ნიშვილი . . . .      | 8 | 4 | 4 | — | — | 44,261     |
| მდივანი მანუჩარ თუმა-<br>ნიშვილი . . . .      | 7 | 5 | 2 | — | — | 43,260     |
| მდივანი ბირთველ თუმა-<br>ნიშვილი . . . .      | 7 | 3 | 4 | — | — | 43,237,261 |
| რევიშვილი სეიმრინი .                          | 7 | 7 | — | — | — | 87         |
| თურქისტანიშვილისებნა                          | 7 | 6 | 1 | — | — | 83         |
| საგინაშვილი ინდოშვილი                         | 7 | 6 | 1 | — | — | 155        |
| საგინაშვილი პაატა . .                         | 7 | 5 | 2 | — | — | 150        |
| საგინაშვილი ქაიხოსრო .                        | 7 | 5 | 2 | — | — | 154        |
| თურქისტანიშვილი ფრა-<br>ნგისტანი . . . .      | 7 | 5 | 2 | — | — | 83         |
| თულაშვილი იესე . .                            | 7 | 5 | 2 | — | — | 85         |
| რჩეულაშვილი გიორგი .                          | 7 | 5 | 2 | — | — | 20         |
| თულაშვილი ლუარსაბი .                          | 7 | 5 | 2 | — | — | 86         |
| თაყაშვილი ვახტანგი .                          | 6 | 6 | — | — | — | 75         |
| ღოლენჯიშვილი იოთამი                           | 6 | 6 | — | — | — | 72         |
| უსუფბეგიშვილი ქაიხო-<br>სრო . . . .           | 6 | 6 | — | — | — | 77         |
| რჩეულიშვილი გვი . .                           | 6 | 6 | — | — | — | 20         |
| სადუჭა . . . .                                | 6 | 6 | — | — | — | 267        |
| მელიქიშვილი რევაზი .                          | 6 | 6 | — | — | — | 239        |
| იეგულაშვილი ღურმიშან                          | 6 | 6 | — | — | — | 285        |
| იეგულაშვილი გოდერძა .                         | 6 | 6 | — | — | — | 285        |
| მანთაშაშვილი შალვა .                          | 6 | 6 | — | — | — | 287        |
| თულაშვილი ასლან . .                           | 6 | 4 | 2 | — | — | 84         |
| ნასრიაშვილი გიორგი .                          | 6 | 4 | 2 | — | — | 237,283    |
| გურიელი . . . .                               | 6 | 4 | 2 | — | — | 126        |
| ყორლანიშვილი შიოში .                          | 6 | 4 | 2 | — | — | 17         |
| ბეგაშვილი ბარათა .                            | 6 | 4 | 2 | — | — | 77         |

|                                  |   |   |   |   |   |   |          |
|----------------------------------|---|---|---|---|---|---|----------|
| შანშიაშვილი ქაიხოსრო             | 6 | 3 | 3 | — | — | — | 269      |
| ზაზუნაშვილი ზაალი                | 5 | 5 | — | — | — | — | 126      |
| ზაზუნაშვილი გიორგი               | 5 | 5 | — | — | — | — | 126      |
| გილაქიშვილი ნიკოლა-              |   |   |   |   |   |   |          |
| ზი                               | 5 | 5 | — | — | — | — | 89       |
| ურქმაზაშვილი ურქმაზა             | 5 | 5 | — | — | — | — | 282      |
| მანთაშაშვილი როსტომა             | 5 | 5 | — | — | — | — | 287      |
| სოლოლაშვილი ყაფარი               | 5 | 5 | — | — | — | — | 149      |
| დავითაშვილი ელიშბარი             | 5 | 5 | — | — | — | — | 258      |
| თუმანიშვილი ზაალი                | 5 | 5 | — | — | — | — | 236      |
| ბეგაშვილი ლომებაცი               | 5 | 4 | 1 | — | — | — | 77       |
| ბეგაშვილი როსები                 | 5 | 4 | 1 | — | — | — | 78       |
| თულაშვილი გიუნა                  | 5 | 4 | 1 | — | — | — | 85       |
| დალალაშვილი ენუქა                | 5 | 4 | 1 | — | — | — | 282      |
| იეგულაშვილი კახუა                | 5 | 4 | 1 | — | — | — | 286      |
| 4 მირზაშვილის (გაუყო-<br>ფელია). | 5 | 4 | 1 | — | — | — | 279      |
| ლარაძე პატა                      | 5 | 3 | 2 | — | — | — | 90       |
| მერაბიშვილი მანუჩარი             | 5 | 3 | 2 | — | — | — | 35       |
| მუსხელიშვილი დემეტრე             | 5 | 3 | 2 | — | — | — | 40       |
| ციციშვილი ყარა და ლუ-<br>არსაბი  | 5 | 3 | 2 | — | — | — | 35       |
| აბულაშვილი გივი                  | 4 | 3 | 1 | — | — | — | 156, 242 |
| თარხნიშვილი ზაალი                | 4 | 4 | — | — | — | — | 38       |
| თულაშვილი ნავრაზი                | 4 | 4 | — | — | — | — | 86       |
| დონდარაშვილი ზურაბი              | 4 | 2 | 2 | — | — | — | 155      |
| ველაშვილი პაპუა                  | 4 | 4 | — | — | — | — | 281      |
| საკაძე იორამი                    | 4 | 3 | 1 | — | — | — | 48       |
| საგინაშვილი როსტომ               | 4 | 3 | 1 | — | — | — | 152      |
| რომანაშვილი                      | 4 | 3 | 1 | — | — | — | 94       |
| ურქმაზაშვილი ფარემუზა            | 4 | 3 | 1 | — | — | — | 282      |
| დალალიშვილი ელიზბარ              | 4 | 3 | 1 | — | — | — | 283      |

|                                       |           |           |   |  |  |  |         |
|---------------------------------------|-----------|-----------|---|--|--|--|---------|
| ყორლანიშვილი ტარელა                   | 4         | 2         | 2 |  |  |  | 94      |
| ყორლანიშვილი ქაიხო-<br>სრო . . . .    | 4         | 2         | 2 |  |  |  | 94      |
| სააკაძე ზაზა . . . .                  | 4         | 2         | 2 |  |  |  | 44      |
| თულაშვილი ზაზა . . .                  | 4         | 2         | 2 |  |  |  | 87      |
| არეშიშვილი დუშია . .                  | 4         | 2         | 2 |  |  |  | 91      |
| კორკოტი ლევანი . .                    | 4         | 2         | 2 |  |  |  | 237,242 |
| ზავრაშვილი ზურაბი .                   | 4         | 2         | 2 |  |  |  | 275     |
| სოლოდაშვილი იოთამ .                   | 4         | 1         | 3 |  |  |  | 156     |
| ავალიშვილი როსტომ .                   | 3         | 3         | — |  |  |  | 37      |
| საგინაშვილი იოსაფარ .                 | 3         | 3         | — |  |  |  | 154     |
| ბეგაშვილი ატია . .                    | 3         | 3         | — |  |  |  | 78      |
| ციციშვილი პაპა . .                    | 3         | 3         | — |  |  |  | 259     |
| დავითაშვილი კონსტან-<br>ტიოლე . . . . | 3         | 3         | — |  |  |  | 259     |
| სააკაძე ბაზუტა . . . .                | 3         | 2         | 1 |  |  |  | 43      |
| რჩეულაშვილი პაატა .                   | 3         | 2         | 1 |  |  |  | 20      |
| საგინაშვილი დათუნა .                  | 3         | 2         | 1 |  |  |  | 153     |
| ბურდიაშვილი . . . .                   | 3         | 2         | 1 |  |  |  | 88      |
| რევიშვილი გიორგი .                    | 3         | 2         | 1 |  |  |  | 87      |
| ყარაბუღდახიშვილი გიო-<br>რგი . . . .  | 3         | 2         | 1 |  |  |  | 237     |
| ნეფისაშვილი . . . .                   | 3         | 2         | 1 |  |  |  | 242     |
| მდივანი ბეგთაბეგი . .                 | 3         | 2         | 1 |  |  |  | 243     |
| ბექანიშვილი იქევ . .                  | 3         | 2         | 1 |  |  |  | 262     |
| თაყაშვილი მამუკა . .                  | 3         | 2         | 1 |  |  |  | 275     |
| ურქმაზაშვილი დოლმაზა                  | $3^{1/2}$ | $2^{1/2}$ | 1 |  |  |  | 282     |
| ციციშვილი ვარაბი . .                  | 3         | 1         | 2 |  |  |  | 34      |
| ცაციშვილი ლიპარი .                    | 3         | 1         | 2 |  |  |  | 35      |
| ქანანაშვილი სუმბატ .                  | 3         | 1         | 2 |  |  |  | 90      |
| გარსევანიშვილი . . .                  | 3         | 1         | 2 |  |  |  | 237     |
| ზავრაშვილი მათარა .                   | 3         | 1         | 2 |  |  |  | 275     |

|                                  |                               |                               |   |   |   |   |     |
|----------------------------------|-------------------------------|-------------------------------|---|---|---|---|-----|
| 4 ეშაგიშვილის . . .              | 3                             | 3                             | — | — | — | — | 283 |
| ციცაშვილი ადამა . . .            | 2                             | 2                             | — | — | — | — | 36  |
| ჭინამძღვარი (?) . . .            | 2                             | 2                             | — | — | — | — | 5   |
| ყორლანიშვილი ზაალი .             | 2                             | 2                             | — | — | — | — | 94  |
| ბეგაშვილი მქაუნა . . .           | 2                             | 2                             | — | — | — | — | 78  |
| ქანანაშვილი აღათანგი .           | 2                             | 2                             | — | — | — | — | 90  |
| ქანანაშვილი ფარემუზა .           | 2                             | 2                             | — | — | — | — | 90  |
| ივერანგულაშვილი(?) . . .         | 2                             | 2                             | — | — | — | — | 96  |
| თულაშვილი სეიმნიშვილი . . .      | 2                             | 2                             | — | — | — | — | 155 |
| გლურჯიძე შიოში . . .             | 2                             | 2                             | — | — | — | — | 157 |
| ხერხეულიძე აღათანგი .            | 2                             | 2                             | — | — | — | — | 139 |
| შანშაშვილი . . .                 | 2                             | 2                             | — | — | — | — | 157 |
| შალიკაშვილი ჯავანშერი            | 2                             | 2                             | — | — | — | — | 260 |
| თაყაშვილი ზაალი . . .            | 2                             | 2                             | — | — | — | — | 261 |
| ურდღბეგაშვილი . . .              | 2                             | 2                             | — | — | — | — | 276 |
| ველაშვილი ფარემუზა .             | 2                             | 2                             | — | — | — | — | 280 |
| ალნიაშვილი ალავერდა .            | 2                             | 2                             | — | — | — | — | 287 |
| შაპულაშვილი ალავერდა . . .       | 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub> | 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub> | — | — | — | — | 281 |
| ველაშვილი ზალია . . .            | 2                             | 2                             | — | — | — | — | 281 |
| გლურჯიძე ნიკოლოზ . . .           | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 157 |
| გლურჯიძე იონათამ . . .           | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 157 |
| სააკაძე ზურაბ . . .              | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 42  |
| სააკაძე მერაბ . . .              | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 42  |
| სააკაძე ვახუშტი . . .            | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 42  |
| ყორლანიშვილი პაპა .              | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 94  |
| ხოჯაშვილი ავთანდილ .             | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 88  |
| ყარჩიხაშვილი პატარა<br>კცი . . . | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 89  |
| არქეშიშვილი ამზა . . .           | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 92  |
| თავდიდაშვილი . . .               | 2                             | 1                             | 1 | — | — | — | 21  |

|  |   |   |   |   |   |     |
|--|---|---|---|---|---|-----|
| ნასრიაშვილი სუმბატი .                    | 2 | 1 | 1 | — | — | 237 |
| გურიელი დურმიშხანი .                     | 2 | 1 | 1 | — | — | 242 |
| მდიგანი სულხანი .                        | 2 | 1 | 1 | — | — | 242 |
| შალიკაშვილი ზურაბი .                     | 2 | 1 | 1 | — | — | 260 |
| ზაფრაშვილი გიორგი .                      | 2 | 1 | 1 | — | — | 276 |
| მდიგანი სულხანი თუ-<br>მანიშვილი . . . . | 2 | 1 | 1 | — | — | 237 |
| როინაშვილი თამაზა .                      | — | 1 | — | — | — | 95  |
| ციციშვილი რევაზი .                       | — | 1 | — | — | — | 39  |
| ციციშვილი იქსე .                         | — | 1 | — | — | — | 35  |
| ციციშვილი ვახტანგ .                      | — | 1 | — | — | — | 35  |
| სააკაძე ალიყულიშვილი                     | — | 1 | — | — | — | 43  |
| როინაშვილი კვესია .                      | — | 1 | — | — | — | 95  |
| ატოლის ჭმ. გიორგი .                      | — | 1 | — | — | — | 109 |
| გლურჯიძე ბუზია .                         | — | 1 | — | — | — | 157 |
| გლურჯიძე პაატა .                         | — | 1 | — | — | — | 157 |
| გლურჯიძე ზაალი .                         | — | 1 | — | — | — | 157 |
| ზუბიტაშვილი შერმაზან                     | — | 1 | — | — | — | 158 |
| თულაშვილი ტარიელ .                       | — | 1 | — | — | — | 155 |
| ხერხეულიძე რევაზ .                       | — | 1 | — | — | — | 139 |
| ხერხეულიძე იქსე .                        | — | 1 | — | — | — | 139 |
| აბულაშვილი ლევანი .                      | — | 1 | — | — | — | 156 |
| აბულაშვილი ლვთისია .                     | — | 1 | — | — | — | 156 |
| ქანანაშვილი ფრისადანი                    | — | 1 | — | — | — | 90  |
| ქანანაშვილი ზურაბი .                     | — | 1 | — | — | — | 90  |
| ქანანაშვილი როინა .                      | — | 1 | — | — | — | 90  |
| ყორდანიშვილი გოდერძი                     | — | 1 | — | — | — | 94  |
| ყორდანიშვილი ფრიდონ                      | — | 1 | — | — | — | 94  |
| ხოჯაშვილი სულხანი .                      | — | 1 | — | — | — | 88  |
| გიორგი .                                 | — | 1 | — | — | — | 91  |
| არეშიშვილი } მანუჩარი                    | — | 1 | — | — | — | 91  |
| სალმახან                                 | — | 1 | — | — | — | 91  |

|                          |            |   |   |    |   |   |     |
|--------------------------|------------|---|---|----|---|---|-----|
|                          | ჩალაბა .   | — | 1 | —  | — | — | 91  |
| არეშიშვილი               | უთხუუთა .  | — | 1 | —  | — | — | 91  |
|                          | სარქისა .  | — | 1 | —  | — | — | 91  |
|                          | სეხუა .    | — | 1 | —  | — | — | 91  |
| ქანანაშვილი ფარემუზა .   | —          | 1 | — | —  | — | — | 90  |
| გლურჯიძე მანუჩარი .      | —          | 1 | — | —  | — | — | 237 |
| გლურჯიძე ტარიელი .       | —          | 1 | — | —  | — | — | 237 |
| აბულაშვილი გივი .        | —          | 1 | — | —  | — | — | 242 |
| გურიელი პატა .           | —          | 1 | — | —  | — | — | 242 |
| საგინაშვილი როსტომ .     | —          | 1 | — | —  | — | — | 242 |
| შალიკაშვილი როსტომ .     | —          | 1 | — | —  | — | — | 260 |
| შალიკაშვილი ზაალი .      | —          | 1 | — | —  | — | — | 260 |
| ბეჭანიშვილი ფირანი .     | —          | 1 | — | —  | — | — | 261 |
| მგალობლიშვილი ბეჭანი .   | —          | 1 | — | —  | — | — | 268 |
| ზავრაშვილი ნასყიდა .     | —          | 1 | — | —  | — | — | 275 |
| ზავრაშვილი ალავერდა .    | —          | 1 | — | —  | — | — | 275 |
| ველაშვილი მელქუა .       | —          | 1 | — | —  | — | — | 281 |
| აღნიაშვილი შერმაზა .     | —          | 1 | — | —  | — | — | 287 |
| აღნიაშვილი შალვა .       | —          | 1 | — | —  | — | — | 287 |
| მდიგარი ომანი .          | —          | 1 | — | —  | — | — | 243 |
|                          | დუშია .    | — | — | 1  | — | — | 91  |
| არეშიშვილი               | ბიძინა .   | — | — | 1. | — | — | 91  |
|                          | შამბია .   | — | — | 1  | — | — | 91  |
|                          | ბეჭუა .    | — | — | 1  | — | — | 91  |
| ქანანაშვილი სარნოშვილი . | —          | — | 1 | —  | — | — | 90  |
|                          | ედიშერ .   | — | — | 1  | — | — | 95  |
| რონიაშვილი               | ფარსადან . | — | — | 1  | — | — | 95  |
|                          | ფარემუზა . | — | — | 1  | — | — | 95  |
|                          | თამაზ .    | — | — | 1  | — | — | 95  |

|                      |      |      |      |     |    |     |
|----------------------|------|------|------|-----|----|-----|
| შემაზაშვილი ზაალ . . | —    | —    | 1    | —   | —  | 91  |
| შემაზაშვილი ხოსეტა . | —    | —    | 1    | —   | —  | 91  |
| შაჰეულიშვილი ფრიდონ  | —    | 1/2  | —    | —   | —  | 281 |
| სულ 330 მფლობ.       | 5666 | 4342 | 1034 | 266 | 64 |     |

უყმოა მეწინავე სადროშოში 72 კომლი

- 1 ეშაგიშვილი
- 2 გლურჯიძე
- 2 შაჰეულაშვილი
- 1 თულაშვილი
- 1 ხოსონაშვილი
- 2 შაიკაშვილი
- 4 შემაზაშვილი
- 4 ელიარაშვილი
- 4 აღნიაშვილი
- 7 ქანანაშვილი
- 9 შანუიაშვილი
- 14 როინაშვილი
- 20 არეშიშვილი

ეხლა ჩვენ ხელთ გვაქვს მთელი სადროშოს ცველა  
მფლობელთა და ცმათა რიცხვის ვრცელი სია და საბოლოოდ  
გამოირკვევა სადროშოს მფლობელობის ხასიათი. 330 მფლო-  
ბელს, რომელთა რიცხვში 11 ეკლესიაც შედის, ჭევთ 5668  
კომლი უმა. თათა მფლობელზე ორთა შეა რიცხვით მოვა 18 კომ.  
რამდენად მართალია ეს რიცხვი ჩვენ დავინახავთ თუ საერთო  
რიცხვს მეფე-დედოფალს გამოვაკლებთ, რადგანაც დედოფალსა  
და უმდიდრეს მფლობელ შაჰენავაზის შორის განსხვავება თითქმის  
ორასი ცმაა, შეუძინ უმა კი დედოფლის უმასეც ორასით იღემა-  
ტება. თუ მათ უმას რიცხვით 863 საერთო რიცხვს გამოვაჭებთ,

შაშინ მფლობელზე ართა შეა რიცხვით 15 კომლი მოვა. განსხვავება დიდი არ არის, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ რომ საქართველოში ყმა მეტად ძვირი იყო და ხშირად დიდი გვარის წარმომადგენელსაც კი არ ჰყავდათ 3—4 კომლ ყმაზე მეტი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ საშუალო მფლობელებად შეგვიძლია ჩათვალოთ 14—20 კომლის პატრინი მფლობელი და თუ 14—20 კომლის შეფლი მფლობელი საშუალო მფლობელად უნდა ჩათვალოს, 20—40 კომლის პატრინი უკვე შეძლებული იქნება და 40 ემაზე მეტის პატრინი მსხვილ მემაშულები ჩათვალება.

სრულიად ცალკე უნდა გამოიყოს აგრეთვე 5 მფლობელი: შეჯე, დედოფალი, შეჭნავაზ ხანი, ბარათაშვილი და პირარეთის წინამძღვანი როგორც განსაკუთრებული მსხვილი მემაშულები. მარტო მათ სელში შეგროვილია 1256 კომლი ემა. მათვე უნდა მივუმატოთ ობელინთა საგვარეულო (თუნდაც რომ წევრთა რიცხვი მართლაც 24 იყოს თითო წევრზე საერთო ყმებისაგან 40 კომ. ყმა მოვა და ყოველი წევრი მსხვილ მესაკუთრეთა შორის დაიკრეს ალაგს) 975 კომლით; მაშასადამე აშ 6 განსაკუთრებულ მფლობელთ ექოლებათ 2231 კომლი ემა ამათში 145 კომლი აზნაურია, უკეთ დანარჩენ მფლობელთა სელში იქნება 3437 კომლი ემა ე. ი.  $\frac{3}{5}$ , ამათში ემა აზნაურები იქნება მხოლოდ 121 ე. ი. ნახევარზე ნაკლები.

მფლობელთა მეორე ჯგუფს, მსხვილ მემაშულეთ 40—95 კომლაშიც შესაკუთრე 20 მფლობელს ჭეავს 1213 ემა, რაც წინანდებებთან ერთად შეადგენს 3444 კომლს მსხვილ მფლობელთა ემას შეძლებული მფლობელია—(20—40 კომ.)—27 მფლობელი—913 კომ. ემით; წინანდელებთან ერთად შეძლებულის და მღიდრის 76 მფლობელის სელში იქნება 4357 კომლი ემა ე. ი. უკეთ მფლობელთა  $\frac{1}{5}$  სელში შეგროვილია ემათა  $\frac{4}{5}$ . 14—20 კომლის მეპატრინი—საშუალო მფლობელი არის 30—539 კომლი ემით. დანარჩენი 224 მფლობელი წერილი მფლობელია და ჭეავს უკეთას 772 კომლი ემა. უკანასკნელი ჯგუფის მფლობელებში 13 მფლობელს ჭეავს მხოლოდ თითო ბოგანო; 59 მფლობელს მხოლოდ

თათო კომლი და 34 მფლობელის ორ-ორი კომ.; სულ ამდენად  
დაქვეითებულ 106 მფლობელთ ჰყავთ მხოლოდ 140 კომლი უმა;  
ასეთ თავისუფალ მფლობელზე მაღლა სდგას ქონებრივად  
სომხითის უმა აზნაურთა დიდი უმეტესობა, რომლებზედაც  
ორთა შესა რიცხვით 3 კომლი უმა მოდის. ჩასკვირველია  
შეიძლება უმის ოჯახები რომელიმე წვრილი მფლობელისა  
უფრო მრავალ რიცხვოვანი იყოს, ვიღრე მეორე მფლობელისა,  
მაგრამ აქ უკვე ოჯახის წევრთა რაოდენობის ცოდნაა საჭირო.  
ეს კი ჩვენ არ ვიცით. თუმცა შეიძლება ადამიანმა შედა-  
რებით გაიგოს, რომელი ოჯახი უფრო დიდია და რომელი  
უფრო პატარა, მაგრამ ეს მხოლოდ შედარებითი იქნება და  
დაწვრილებით არაფერს არ გამოარკვევს. ხაქმე ის არის, რომ  
ყოველი კომლი ვენახიანა იშვიათად ბოგანო-გლეხთან, მოხსე-  
ნებულია „თავი 1“ „თავი 2“ და სხვა. რას ნიშნავს ეს თავი  
გამორკვეული არ არის. შეიძლება იგულისხმებოდეს ლაშ-  
ქარში გამსვლელი მოლაშქრე და შეიძლება ოჯახის უფროსი.  
ყოველ შემთხვევაში, რასაც უნდა ნიშნავდნენ ეს სიტყვა, ის  
ოჯახი რომელზედაც მოხსენებულია „თავი 2“ ან „თავი 3“ ცა-  
ლია „ერთ თავიან“ ოჯახზე დიდი იქნება. მეწინავე სადროშოში  
ასეთი მეტ რიცხვოვანი ოჯახები ჰყავთ სულ 147 მფლობელს და  
მათ აზნაურებს საერთოდ 1045 კომლი, ამათში თოთავიან ოჯა-  
ხად მოსხენებულია 980; სამთავიანად 58 და თოთავიანად 7  
მრავალ რიცხვთანი თვალი საპარათიანზე უფრო სშირია გადაწე  
სომხით-სალპეფლში. პირველში არის სულ 635;. აქედან 595  
თოთავი; 36 სამთავი; 4 თოთავი. სალპეფლში, სომხითში და  
ტაშირში = 410. აქედან 385 თოთავი; 22 სამთავი; 3 თოთავი  
მფლობელებში ყველაზე მეტი ჰყავთ ორბე-

|                       |     |       |       |       |
|-----------------------|-----|-------|-------|-------|
| ლიანებს . . . . .     | 170 | მრავ. | რიცხ. | ოჯახი |
| დედოფალს . . . . .    | 67  | "     | "     | "     |
| მეფეს . . . . .       | 64  | "     | "     | "     |
| ბარათაშვილს . . . . . | 45  | "     | "     | "     |
| ზალიშვილს . . . . .   | 30  | "     | "     | "     |

ბატონიშვილ გახუშტის, შაპნავაზხანს, თბი-

ლელს და ბუჭყიაშვილს ჰყავთ . . . 20—27 მრავ. რიცხ. ოჯახი

11 მფლობელს: ხოსროხანიშვილს, ბატო-

ნიშვილს სეიმონს, იარალაშვილთ.,

ციციშვილს ზაალ ბაად., ციციშვილს

ნოდარიშვილს, ომან სულეიმანიშ-

ვილს, პიტარეთის წინამდღვარს, მუს-

ტოფს, თარხნიშვილთ მამუკა და ზუ-

რაბს და სააკაძე დემეტრეს . . . 10—20

დანარჩენ 127 მფლობელებში მრავალ რიც-

ხოვანი ყმა ჰყავთ 16 მფლობელს 5—10 „ „ „

და 111 მფლობელს კი ჰყავთ . . . 1—5 „ „ „

ყოველ შემთხვევაში ეს მრავალ რიცხოვანი ყმათა ოჯა-  
ხები საერთო სურათს არ შესცვლიან და სადღოშის 330 მფლო-  
ბელის მფლობელების სურათი იგივე დაწებება ე. ი. განსაკუთრე-  
ბული მსხვილი მფლობელი 6 (ერთი 24 წევრიანი გვარია) თი-  
თოს 100 მეტი ყმა ჰყავს სულ 2231 კოშლი.

მდიდარი მფლობ. 20 თათხს 40—95 კოშლაშდე უმა სულ 1213 კოშ.

შეძლებული „ 27 „ 20—40 „ „ „ 913 „

საშეადო „ 30 „ 14—20 „ „ „ 539 „

წვრილი „ 118 „ 3—14 „ „ „ 632 „

სრულ. დაჭვ. „ 106 „ 1 ბოგანთდან 2 კოშლ „ 140 „

სულ. მსხვილი და შეძლებული მფლობელია 76—4357 კოშ. უმით.

წვრილი და დაჭვებული მფლობელია 224—772 კოშ. უმით.

რომელ მათგანსაც უნდა მიუუმატოთ საშუალო მფლობე-  
ლები მათი ყმებოთ განსხვავება ბევრად არ შეიცვლება. რამდე-  
ნად სკარბობს წვრილ მფლობელთა რიცხვი შეძლებულთა  
რიცხვს ამას ჩვენ ნათლად ვხედავთ და მიმატება რისიმე სა-  
კიროდ აღარ მიგვაჩნია.

აქამდე ჩვენ საუბარი გვქონდა უმთავრესად თავისუფალ მფლობელებზე, ყმა აზნაურებზე და საზოგადოდ ყმებზე კი ძალიან ცოტა იყო თქმული. უპირველეს ყოვლისა როგორი ყმებია მოხსენებული დავთარში? ყმების სათავეში დგას აზნაურები, მერე მოდის ჯგუფი, რომელსაც ეწოდება უქმდ და ბოლოს უბრალო გლეხობა

ყმა აზნაურები არიან ყმიანი და უყმონიც. მათზე ჩვენ უკვე ლაპარაკი გვქონდა და აქ მოვიხსენიებ მხოლოდ, რომ უქმდ ემა აზნაურთა შდგომარეობა ვერ უფლისა კარგი რაღაც აზნაურთ შემთხვევაში მოხსენებულია აზნაური-ბოგანო (გვ. 48) და აზნაური მღვდელი (გვ. 140). ეს ერთი შემთხვევაა, რომ მღვდელი აზნაურია, დანარჩენ შემთხვევებში უბრალო გლეხებია მოხსენებული.

რომ უქმონ აზნაურები არ არიან, ამას გვიჩვენებს ის, რომ, როდესაც დავთარში მოხსენებული აზნაურია, თუნდა უყმოც იყოს, მაინც აღნუსხულია ხოლმე „აზნაური უყმო“ და სხვ. უბრალო უყმოსთან კი ამას ვერ ვხედავთ. ამას გარდა ერთ შემთხვევაში აღნუსხულია უმიანი უქმდ (გვ. 254). „უყმო ყარჩისა“ ქვემოდ მოწერილი აქვს უისაშვილი ზურაბ ამისი ყმა“. რომ უყმონი მაინც გლეხებზე მაღლა სდგანან, ეს ცხადია, თორემ მათი განსაკუთრებით აღნუსხვა საჭიროა არ იქნებოდა. რადგანაც უყმონი ყოველთვის თავადთა გვირეულობის ყმებში არიან აღნუსხული, შეგვიძლიან ვითიქროთ, რომ ისინი, განკერძოებული, დიდებულთა მსახურნი არიან.

რაც შეეხება გლეხობას, ისინი ქონებრივად გაუთვისა. თუ შემთხვეული ვენასიან და უგენს გლეხებად. მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში ვხვდებით უმიან გლეხებსაც (გვ. 167, 70...) მართალია გლეხების უმეტეს შემთხვევაში ბოგანოებია, მაგრამ უკვე არა ერთხელ გვქონდა აღნიშნული ყმათა სიძვირე.

და ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთი ბოგანოც უბრალო  
გლეხის ხელში ღიღი სიმდიდრე იყო და უყმო ყმა-აზნაურთან  
ის უკვე თავს ქონებრივად უფრო მაღლა ჩასთვლიდა. ამის  
მაგალითს ჩვენ თვით დავთარი გვიჩვენებს. ერთი უმიანი გლეხი  
იმდენად გრძნობს თავის ძალას, რომ აზნაურობს კიდეც (186-გვ.);  
მოხსენებულია კიდევ „ცარიელი ბოგანოც“ (გვ. 7, 9, 10, 11),  
რომლებიც ალბად სრულიად უმამულო გლეხებია, თორებ  
უვენახოს რომ წარმოადგენდენ მაშინ სიტყვა „ცარიელი“  
არაფრისმაქნისი იქნებოდა. ამზე ერთიდა ერთ შემთხვევაში მეფთ-  
ხედი კოდი შეურის გაშომშებაც. აი სულ რაც მოიპოვა გლეხთა  
ქონებრივ მდგომარეობაზე. უნდა ვიგულისხმოთ ისიც რომ  
დავთარში არ არიან ჩაწერილი ისეთი ოჯახები, რომლებსაც „ზარჭ-  
თა“ გაშოდება არ შეეძლოთ.

სამაგიეროდ აღვილი გასაგებია თუ რა ხელობა უფრო  
გავრცელებული ყოფილა სოფლად საქართველოში. უველაზე  
შეტყია ამ მხრივ მთლიანობები. ამ გლეხებს თავისი თუ ბატონის  
ნებით თავის ხელობად ლაშქრობა გაუხდიათ. დანარჩენებში,  
როგორც ვენახიანებში ისე ბოგანოებში აღნუსხულია ხუცესი  
(გვ. 35, 163...), დექანოზი (გვ. 58...), მღვდელი (8), ტერტე-  
რა (12, 218...), მწედელი (32, 33, 227...), ნალბანდი (გვ.  
104...), საბაზი (გვ. 107, 120...), ღურგალი (გვ. 108...),  
შეცხარე (გვ. 195...) და სხვა.

ხმირია აგრეთვე გადასახადისაგან თავისუფალი-თარხანი გლე-  
ხები. წმ. სამების ყმა 10 კომლი ყველა თარხანია.

## VI

როგორც მფლობელობით ისე ღირსებით სადორშოს მფლო-  
ბელთა სათავეში სდგას შეფე, შემდეგი აღაგი უჭირავს თავადებს  
და ეკლესიებს. მონასტრები, მეტალრე აღვილობრივი, ქონებრი-  
ვად თავადებს არა თუ არ ჩამოუგარდებიან, არამედ სჯობნიან კიდე-


ვაც რაღან 10 ეკლესიაში წერილი მფლობელია მხოლოდ ერთი—ატოცის წმ. გიორგისა და ისიც სრულიად სხვა კუთხისაა, როგორც თავადები ისე ეკლესიები არიან აზნაურიანი და უაზნაური. თავადი ექვემდებარება მეფეს ერთ შემთხვევაში შაპნავაზ ხანს („დარბაისელი შაპნავაზ ხანისა ციციშვილი უთრუთი“), აზნაურები კი ემთხჩილებან: თავისუფლები შეფეს და უმა აზნაურები თავადებს. მართალია, უმა აზნაური თავისი უფლებები ჰქონდათ, მაგრამ ისინი მაინც უბრალო ყმები იყვნენ და თავადს უფლება ჰქონდა ისინი მათი უმებიანად გაეყიდნა (გვ. 224—231); სოციალური წყობილების გამორკვევა მე არ მიკისრია და აქ მსურს მხოლოდ აღვნიშნო, აქვს თუ არა მამულის მდებარეობას რამე გავლენა მფლობელობაზე. როგორც უკვე ნათქვამი-იყო სოჭითი უფრო განაპირა კუთხეა ვიდრე საბარათიანო. ამასთანავე ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ რომ წვრილი მფლობელთა საბარათიანოში უფრო გაფრცელებულია, რაღანაც იქ წვრილი მფლობელები მსხვილ და შეძლებულ თრ ნახევარჯერ ( $2\frac{1}{2}$ ) სჭარბობენ, სოჭითში კი მსოლოდ არჯერ.


ამას გარდა სოჭითის უმა აზნაურზე თთოზე საშუალოდ 3—4 კომიტი მოდის. საბარათიანოს აზნაურებზე კი 1 კომიტი. სოჭითის უმა აზნაურებში ბევრის უმათა რიცხვი 10 აღმატება, საბარათიანოში კი მსოლოდ ერთსა ჰქავს 4. სოჭითში არის ისეთი მსხვილი, გაუფლევლი ერთეული საგარეულო, როგორც არის ორ-ბელიანები, საბარათიანოში კი გაუფლევლი გვარი არ არსებობს, როგორც არ არსებობს ასეთი მსხვილი მფლობელი ერთეულიც. ბოგანთ საბარათიანოში საერთო უმათა რიცხვის ერთ შესუთდს შეადგენს სოჭითში კი ერთს შეშვიდედზე ცოტათი შეტია. ერთის სიტყვით ჩვენ ვხედავთ, რომ საბარათიანოში შედარებით უფრო დაქვეითებული არიან როგორც უმები ისე მფლობელები, ვიდრე სოჭითში; ესე იგი შეაგვალში წვრილი მფლობელთა უფრო გაურცებულია ვიდრე განპირას. ამას უფრო კარგად გვიჩვენებს შედეგი მაგალითი: როგორც ვიცით სოჭითში უმა აზნაურები ბევრად შეტია ვიდრე საბარათიანოში, მაგრამ უშეტესობა ამ აზ-

ნაურებისა ცხოვრობს საბათათანოს და საორბელოს სამზღვაოზე და რაც უფრო შორს მიღის საორბელო განაპირისკენ აზნაურთა რიცხვი კლებულობს. ყარაბულახის ხეობაში და ლოქში სულ — 6 აზნაურია. სომხითის უკანურესი ნაწილი ტაშირი კი სრულიად უაზნაურა და მსხვილი მფლობელობის ტიპიური მაჩვენებელია. ტაშირის სამ მფლობელს ჰყავს 415 კომლი ყმა: ორბელიანთ — 215 კომლი, ვეჯეს — 160 კომლი და მუშის მუსტოფს — 40 კომლი. სამაგიეროდ, რაც უფრო აღწერილობა უახლოედება განაპირა ნაწილებს, უფრო ჩშირა აურილ — ათხრებულთა, რიცხვი, რომელიც გვიჩვენებენ, რომ ეს, აღმოსავლეთ საქართველოს განაპირა ადგილები სხვა კუთხებზე უფრო შეწუხებულნი იყვნენ მტრის შემოსევისა და აოხრებისაგან და, რომ არსებობისათვის ბრძოლა აქ უფრო განხელებული იყო და მეტ ძალას თხოულობდა, ამიტომ გასაკვირი არა არისრა, თუ რომ წვრილი მფლობელი აქ ფეხს ვერ მთიყიდებდა და აქაურობას შორიდებიდა. სწორედ ამით აისხნება, რომ ტაშირში, საცა თითქმის მესამედი რიცხვი სოფელთა აყრილ-აოხრებულია, წვრილი მფლობელობა უკვე ჰქიარ მოიპოვება. ამითვე აისხნება, რომ წვრილი მფლობელობა არა თუ არ ვრცელდება განაპირა ადგილებში, არამედ აქარებული ნაბიჯით კლებულობს და ყმები ათობით და ასობით გადადიან მსხვილ მფლობელთა ხელში (ორბელიანთა ნასყიდობა გვ. 224). ესვეა მიზეზი იმისა, რომ ორბელიანები მხოლოდ ერთმანეთში პოულობენ ძალას და გაყოფას ერიდებიან. წვრილი მფლობელობის გაჭირებით სარგებლობენ მსხვილი მფლობელნი და თავის ყმებს სყიდვით ამრავლებენ. ამილდამბარ ბარათაშვილმა, რომელმაც 1712 წელს ძმებთან გაყოფის შემდგომ მიიღო მხოლოდ 74 კომლი ყმა (ივ. ჯავხიშვილი „Народныя переписи въ Грузии“ 1721 წლისათვის მათი რიცხვი 118 კომლამდე აიყვანა.“ მაგრამ ასეთ მაგალითებისდა მიუხედავად, მფლობელობის დამასასიათებლად მაინც წვრილი მფლობელობა უნდა ჩაითვალის, რასაც ყველაზე უკეთ გვიჩვენებს ის, რომ წვრილ მფლობელთა შო-

რის სშირია დიდი გვარის წარმომადგენლებიც. როცა ამათუ იმ  
თავადს აზნაურები ჰყავს ეს, რასაკვირველია, იმის მაჩვენებე-  
ლია, რომ ის მაღლა სდგას. საქართველოს მფლობელობას კი  
სწორებ ის ახასიათებს, რომ უმათა მცირედი რიცხვის პატრიტის  
თავადს სშირად ბევრი ყმა აზნაური ჰყავს მაგ. ციციშვილს პაპუნას  
ჰყავს მხოლოდ 8 კომლი გლეხი და ერთი აზნაური, სომხითის  
მელიქს მხოლოდ ათი კომლი და 1 აზნაური, მელიქიშვილს  
პაპუნას კი 15 კომლ გლეხთან ერთად 5 აზნაური და ორი  
უყმო ჰყავს, სოლოდაშვილს ასლამაზის 17 გლეხი და ერ-  
თი აზნაური და უყმო, მართალია ციციშვილები აქაურები არ  
არიან, მაგრამ მელიქი, მელიქიშვილები და სოლოდაშვილი აქა-  
ური მკვიდრები არიან, და უნდა ჩაითვალონ წვრილ მფლობე-  
ლებათ, აზნაურები-კი ბევრი ჰყავთ. მე მგონია, ეს უკანასკნელი  
მაგალითები იმის მაჩვენებელიც უნდა იყოს, რომ საქართვე-  
ლოს სხვა კუთხისთვინაც ჩვეულებრივი იქნება ისეთივე წვრილი  
მფლობელობა, როგორიც ჩვენ მეწინავე სადროშოში დავი-  
ნახეთ, მაგრამ ამისი დანამდვილებით თქმა შეუძლებელია,  
სანამ განხილული არა იქმნება ქართლის სხვა სადროშოთა  
აღწერილობა.

ოთხებ ანთაძე.





## ქართულ ხატების მოჭედილობის სახელგი\*)

ეს მოხსენების მიზანს შეაღენს ქართულ ხატების მოჭედილობის სახეების შესწავლა. მასალად მქონდა პრ. კონდაკოვის და ქ-ნი უვაროვის მიერ გადაღებული იმ ხატების სურათები (Кондаковъ и Бакрадзе. Опись памятниковъ древности Грузии и Материалы по археологии Кавказа, выпускъ 3, 4, 7, 10 и 12), რომლებიც მოიპოვებიან ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა კუთხის მონასტრებში და ეკლესიებში. მინდოდა, რომ გამოკვლევა რაც შეიძლება ძველი ხანიდან დამეწყო, მაგრამ ეს ჩემი განზრახვა ვერ შევასრულდებოდა საუკუნის შესახებ მასალების უქონლობის გამო. პრ. კონდაკოვის შრომაში მხოლოდ ერთი ხატი აღმოჩნდა მე-IX საუკუნისა (შემოქმედის მონასტრებში), მაგრამ მოჭედილობის სახე იქ ისე სუსტად მოსჩანს, რომ სახის მკაფიოდ გარჩევა შეუძლებელია. მე-X საუკუნის ხატი არც კონდაკოვის და არც უვაროვის შრომაში არ მოიპოვება. ამ მიზეზების გამო ეს შრომა შეეხება ხატების მოჭედილობის სახეებს მე-XI საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-XVII საუკუნემდე.

მე-XI—XII-ს. ხატების მოჭედილობის სახე ისე მჟიდარი არ არის მოყვანილობით (ფორმით) და საზოგადო მოხატულობით (კომპოზიციით), როგორც შემდეგ საუკუნოებში. ამ საუკუნოების მთჭედილობის სახე წარმოადგენს გაზის მზგავსი ხვეულს, რომელის უფაფეს შუაგულს ებმის ამავე სახის მზგავსი

\*) ეს მოხსენებაში ნახმარი ტერმინები ძველ ქართულ სახლოვნებო ტერმინოლოგიის მიხედვით არის შესწორებული. რედ.

შცირე სეული ვაზის მოხეულ ულფაშების შზგავსად დამთავრებული. ამგვარი სახე, მაგალითად, შენახულია მაცხოვრის ხატზედ სოფ. ლიხაურში (№ 6) და მთავარ ანგელოზის ხატზედ სოფ. ჭუკულში. ამ სახის შუაგულის განვითარება ამავ საუკუნეებშივე იწყება, მაგრამ საზოგადო მოხატულობა იგივე რჩება, რაც წინად იყო. ჯუმათის წმ. გიორგის ხატის მოჭედილობაზედ უკვე ვამჩნევთ ამ განვითარების გზას. ამ სახის შეაგული შესდგება არა გაზის ულფაშების შზგავის საზისაგან (№ 3); ზოგიერთს შემთხვევაში კი 3—4 კვირტოან არის გაშლილი ვაზის კვარტის, ან ფოთოლის სახე, როგორც მაგ. გელათის (№ 1) და ტბეთის სახარების მოჭედილობაზე (№ 2) ვხედავთ. იმისთანა სახეც გვხვდებათ, როდესაც შეაგული გამოსაზულია ვაზის ფოთოლის შზგავსად, რომელსაც თან ახდავს რამდენიმე ულფაში. აქ უნდა შენიშნოთ, რომ პრ. კონდაკოვის და ქ-ნი უვაროვის შრომებში სხვა-და-სხვა აზრი არის გამოთქმული იმის შესახებ, თუ რომელი მცენარის სურათისაგან წარმოსდგა მოჭედილობის სახეები; პრ. კონდაკოვი ყველა სახეებს ვაზის მზგავსი მოხატულობას აღარებს, ქ-ნი უვაროვისა კი—ბროწეულის ყვავილის მზგავსს მოხატულობას. ეს ორივე შეხედულობა შემცდარი უნდა იყოს. ვაზის მზგავს მოხატულობას ვხედავთ თითქმის ყველა საუკუნოებში, მაგრამ არის შემთხვევა, როდესაც სახე შესდგება სხვა და სხვა ფოთოლის და უგავილის მოხატულობის სახე სოფ. კოცხერში სრულებით არ წარმოადგენს ვაზის მზგავსს სახეს (როგორც კონდაკოვი ამბობს). თუ რა სახის მზგავსი ნახატია ამ ხატის მოჭედილობაზე, რომელსაც ხშირად ვხედავთ უკანასკნელ საუკუნოებში, ამის შესახებ საჭიროა სხვა შრომა და გამოკვლევა.

წმ. გაბრიელის ხატზედ სოფ. ლაგანში ვხედავთ სახეს, რომელიც თავის მოხატულობით დიდათ არ განსხვავდება ზემოაღწერილ სახეებისაგან. ეს სახე შესდგება ორის ერთმანეთ-

ში ჩასმულ წრისაგან, რომელის შეა-გულში გამოსახულია ვაზის ფილით მზგავსი ნახატი, ან და რამდენიმე გაზის გაუშეული ქვირტი ულვაშის მზგავსად დახვეულ ხაზით შემკული. ეს სახული ერთ პირად არის ან თუ პირად. უკანასკნელ შემთხვევაში ერთი პირი მეთრე პირზე ისე საუცხოდ არის გადაბმული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ახალს სახეს წარმოადგენს, როგორც მაცალითად ეს სჩანს წმ. კვირიკეს ხატზე (№ 17) და მაცხოვრის ხატზე ღვთის-მშობლის ტაძარში სოფ. უიბიანის ახლოს გელათის მაცხოვრის ხატზე მეთხე ნაირი სახეა, რომელიც დურსშის თავების მზგავსადაა მოჭედილი. ამ სახით მხოლოდ ხატის არშია არის მოჭედილი. როგორც საზოგადო მოხატულობისაგან სჩანს, ეს ხატი უნდა ეკუთნოლეს ბიზანტიურ ხელოვნებას, ამიტომ ამ სახის მხედველობაში მიღება და რაიმე დასკვნის გამოყვანა შეუძლებელია, რომ შეცდომაში არ შეგვიყვანს. ამნაირ სახეს ჩვენ ვხედავთ თითქმის ყველა საუკუნოებში, მაგრამ უმთავრესად კი მე-XV საუკუნიდან დაწყებული.

ზემოდ აღწერილ ხატების უმთავრესი სახის გარეგნული მოხატულობა ისე კარგად ვერ არის შესრულებული, როგორც შემდეგ საუკუნოებში. იგი გამოისახება ყოველ უმთავრეს ხელულის კუთხეში ვაზის ულვაშის მზგავსად დახვეულ ხაზით. სხვა არავითარი განსაკუთრებული მოხატულობის ნიშანი არ ახლავს. შესანიშნავი ხატი აღმოჩენილა იერუსალიმში, რომელიც გადაღებულია და აღწერილია კონდაკოვის შრომაში (Археологическое путешествие по Сирии и Палестин.). ეს ხატი იმყოფება მაცხოვრის ტაძარში და ზედ გამოისახულია მაცხოვრის სახე დაახლოვებით მე-XVII საუკუნის ნახატი. მაგრამ თვით ხატის არშიას მოჭედილობა ეკუთვნის მე-XII ს. ეს ხატი ამ ეკლესიისათვის შეუწირავს სამეცნიელოს მთავარს კაცია დადიანს 1770 წელს. მოჭედილობის სახეები იმგვარივეა, როგორც ზემოდ იყო აღწერილი: ვაზის ტოტის ხელულის მზგავსი სახე, რომელიც შუა-

გულში თავდება ვაზის ფოთოლის ან კვირტის მზგავს ნახა-  
ტით. არშია შესდგება სამუშავა ფოთოლის მზგავს სახისაგან, რო-  
მეჯებიც მიშიას ვეგულ ხაზს აბია. საზოგადო მოხატულობა და  
ტეხნიკური მხარე საუცხოვოდ არის შესრულებული.

ყველა იმ სახეების მიხედვით, რომლებიც ზემოდ აღვწერეთ,  
ის დასკვნა უნდა გამოვიყენოთ, რომ საზოგადოდ ამ საუკუ-  
ნოების მოქედილობის დამახასიათებელია მარტივი და სწორი  
სახე და ამგვარივე საერთო მოხატულობა (კომპოზიცია.).

ტეხნიკური შესრულების მხრივ ორნაირი სახე გვხვდება:  
ამობერილი და ჩაჭრილი. ამობერილი სახე უფრო კარგად არის  
შესრულებული, რადგან ამნაირი სახე უმთავრესად ხატის ჩა-  
რჩოზე არის ხოლმე მოთავსებული და ის ადგილი, რომელ-  
ზედაც უნდა იქნეს შესრულებული მოქედილობა წინდაწინვე  
განსაზღვრულია. ჩაჭრილ სახეს კი უკავია ადგილი ჩარჩოსა  
და თვით წმიდანის სახის შორის (ტბეთის სახარება); ეს უკა-  
ნასკნელი სახე საერთო მოხატულობის (კომპოზიციის) მხრივ  
სუსტად არის შესრულებული. თვით სახე უადგილობის გამო  
დაუმთავრებელი და შეკვეცილია, რაც მე—XII—XIII ს. ხა-  
ტებზე, როდესაც მოხატულობამ და საზოგადოდ მოქედი-  
ლობამ განვითარების უძალლეს წერტილს მიაღწია, იშვიათად  
თუ საღმე შეგვხვდება.

მე—XII—XIII ს. ნიმუშები ჩვენ ნათლად გვიჩვენებენ  
იმ განვითარების გზის, რომელიც გამოიარა ქართულმა  
მოქედვის ხელოვნებამ მე XI—XII ს. ეს განვითარება გამოი-  
ხატება, როგორც ზემოდ აღვნიშნე, სახის შეაგულის განვითა-  
რებაში. თვით სახე საზოგადოდ იგივე რჩება როგორიც იყო  
მე XII ს.: ვაზის ტოტის მიმოხვეული ნახატი, რომელსაც აქეთ-  
იქით ამ გვარივე პატარა ხვეულები ახლავს. უმეტეს შე-  
მთხვევაში, როგორც მე—XI—XII სუკუნოებში, შუაგული  
სხვა მოყვანილობას იღებს და თანდათან იმ სახედ იქცევა, რომე-  
ლიც ბუნებრივად გამომდინარეობს წინა საუკუნის სახეებისა-  
გან. მე XI—XII საუკუნოებში, როგორც აღნიშნული მქო-

ნდა, ყოველ სახის შუაგულში მოთავსებული იყო რამდენიმე ვაზის გაუშლელი კვირტი ან და ვაზის ულვაშის მზგავსად მოყვანილი ხვეული. ეხლა ტოტის დაბოლოვება შესდგება ვაზის გაშლილ კვირტის ან ფოთოლის სახისაგან. თვით ეს სახე სხვა-და-სხვა მოხაზულობისა არის ხოლმე, საუცხოვო ხელოვნებით არის შესრულებული. ამ სახის საუკეთესო ნიმუშად ხახულის მღვთის მშობლის ხატის მოჭედილობა უნდა ჩაითვალოს. აქ ვხედავთ რამდენსამე სხვა-და-სხვა სახეს (№ 8, 9 და 10) შუაგულში, როგორც წინა საუკუნოებშიც, მოთავსებულია სამი-ოთხი ხვეული, რომელიც წინანდებურადვე ვაზის გაშლილ კვირტის ან ფოთოლის ნახატით თავდება (№ 8). ზოგიერთ შემთხვევაში ორი ზევითა ხვეული ერთმანეთში გადახლართულია სხვა-და-სხვა ნაირად (№ 10); ან და თვით შუაგული შესდგება ორი ვაზის ფოთოლის მზგავსი ნახატისაგან (№ 9) და ზევით კი ერთი გაშლილი კვირტია გამოყვანილი. არის იმნაირი სახეც, რომ თვით ეს ზემოდ აღნიშნული უკანასკნელი ნახატი მცირე ხვეულების სახის შუაგულის დასაბოლოვებლად არის ნახმარი. ამ შემთხვევაში ამ სახისაა მხოლოდ ორი ქვედა მდებარე ხვეული, ზევითა კი ორი ან ერთი ხვეული ფოთოლის ნახატით არის დაბოლოვებული. ისეთი სახეებიც გვხვდება, როდესაც შუაგული მხოლოდ ერთ შტოზედ მოპმულის ოთხის ფოთოლისაგან შესდგება ან მხოლოდ ვაზის ულვაშის 6 ხვეულის მზგავსად არის გამოყვანილი. ამას გარდა საერთო სახეს დამატებითი სამკაულები ერთვის, რაც მე-XI—XII საუკუნოებში არ არსებობდა. ზოგიერთ შემთხვევაში ხვეული ორკეცად არის ნახატი და ამ ორკეც ხვეულთა შუაადგილი-კი რამდენსამე ან ვაზის ულვაშის მზგავსს ხვეულს უჭირავს ან და ერთი ერთმანეთზე დაახლოვებულ ხვეულებს, რომელნიც კვირტის მგზავს ნახატით თავდებიან. მე-XI-XII ს. შესახებ ნათქვამი მქონდა, რომ სახის ოთხსავე კუთხეში ვაზის ულვაშის მზგავსი ნახატი უზის, ეხლა კი არამც თუ კუთხეში, არამედ თვით შუაგულშიც ყოველი თავისუფალი ადგილი ვაზის.

ფოთოლის მზგავს ნახატს უჭირავს. ამ შემთხვევაში სახე უფრო ლამაზად მოსჩანს და წინა საუკუნებითან შედარებით კარგს შთაბეჭდილებას ახდენს (№ 8).

ანჩის ხატის მაცხოვრის ხატი იმნაირ სახით არის მოკედილი, რომელიც ზემოაღწერილ ხახულის მღვთის მშობლის ხატის მოკედილობისაგან ძლიერ განსხვავდება. ეს სახე ლოთოსის ყვავილის მზგავს ნახატისაგან შესღება, რომელიც მოთავსებულია ორ სვეტს შუა (№ 21). ამ ხატის საზოგადო მოხატულობა შემოქმედის მონასტრის ხატის ბუდეს წააგავს. ამ ბუდის მოკედილობის ნახატი შესღება ერთმანეთში ძლიერ რთულად გადახლართულ ხაზებისაგან, რომელნიც აკანთოს ყვავილით თავდებიან.

მეფე გიორგი III ბეჭედი ჩუქურთმის მზგავს სახით არის მოკედილი და ერთ შემთხვევაში მთლად ცნობილ ჩუქურთმის სახესაც კი იმეორებს.

ამავე საუკუნეს ეკუთვნის წმ. გიორგის ხატი სოფ. ჯახეუნდერში (მე-XIII ს.). ჩარჩოს მოკედილობა მხოლოდ ლურსმის თავის მგზავს სახისაგან შესღება. ეს სახე ხაზებით ირიბად არის დაყოფილი, ამ ხაზების კუთხებში კი პატარა ლურსმის თავები ზის. ამნაირი სახე ჩვენ წინა საუკუნებში (XI—XII ს.) არა გვხვდება და თვით ნახატი ისევ წინა საუკუნის მზგავს სახის განვითარებას წარმოადგენს. ქ-ნ უვაროვისას თავის შრომაში აღნიშნული აქვს, რომ საზოგადოდ ლურსმის თავის მზგავსი სახით მოკედილი ხატები ხელოვნების დაცემის ხანას ეკუთვნისო. მაგრამ ეს აზრი შემცდარი უნდა იყოს. თუმცა მართალია, რომ ლურსმის თავის მოკედილობის სახით შესრულებულია ზოგიერთი ხატები XIV—XVII საუკუნემდეც, როდესაც ხელოვნება დაცემული იყო, მაგრამ ჩვენ ეს სახე იმ ხანაშიაც გვხდება, როდესაც ხელოვნება თავის განვითარების უმაღლეს წერტილამდე ავიდა. კერძოდ ამ ხატზე დასხე საუცხოვო სილამაზით და სწორი მოხატულობითაც შესრულებული და თვით წმინდანის სახეც ისეთის სილამაზითაც შესრულებული, რომ ყოველივე აზრი ხელოვნების დაცემის

შესახებ უსაფუძვლო იქმნებოდა. ოღწერილი ხატების არშია  
იმავე სახისაა, როგორიც წინა საუკუნოებში გვხდება. უმთა-  
ვრესად იგი სამყურა ყვავილის სახისაგან შესდგება, რომლე-  
ბიც ერთმანეთს ქვედა მიმოხვეულ ხაზით ებმიან. ზოგიერთ  
შემთხვევაში, მაგალითად წმ. იაკობის ხატზე სოფ. ლიხაურში  
(№ 7), ეს სახე შესდგება ორ ერთმანეთში გადახლართულ  
წრისაგან. ზემომოყვანილ არშიის სახეს ჩვენ შემდეგ საუკუ-  
ნოებშიაც შევხვდებით.

საზოგადოდ მოხატულობაში (კომპოზიციაში) წინა  
საუკუნოებთან შედარებით დიდი წარმატება ემჩნევა. მოჭედი-  
ლობის ყოველი სახე მოთავსებულია თავის ადგილას და შემ-  
თხვევითი ხასიათი არ აქვს, როგორც ჩვენ ამას ვხედავთ შე  
XI—XII ს.ს. შემდეგ ყოველ თავისუფალ ადგილზე, რომე-  
ლიც-კი ნახატსა და ნახატს შუა რჩება, მოთავსებულია სხვა-  
და-სხვა სახე და ისე ხელოვნურად არის შეფარდებული, რომ  
მოხატულობის საზოგადო იერი და მთლიანობა არ იყარება.  
ამ მხრივ საუკეთესო ნიმუშად ხახულის მღვთისმშობლის  
ხატი უნდა ჩაითვალოს, რომლის მოჭედილობის უზო (ჭონი)  
საუცხოვოდ არის შესრულებული.

საზოგადოდ მე XII—XIII ს. ს. მოჭედილობის სახეებმა  
და მოხაზულობამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია.  
ტეხნიკის მხრივ ამ საუკუნის ხელოვნების ყველა ძეგლები სა-  
უცხოვოდ არის შესრულებული, შემდეგ საუკუნოებში-კი, რო-  
გორც ქვემოდ დავინახავთ, ამ დარგის ხელოვნება ძლიერ  
ეცემა, ხოლო უკანასკნელ საუკუნოებში სრულებით ივიწყებს  
და ჰკარგავს იმ საუცხოვო სახეებს, რომლებიც მე XII—XIII  
—საუკუნოებში არსებობდენ.

მე-XIII—XIV ს. ს. მოჭედილობის ნიმუშების მხოლოდ  
ორი-სამი მქონდა და სახეებიც მხოლოდ ამოდენცე მოიპო-  
ვება. ერთი გელათის ღვთისმშობლის ხატია და მეორე მი-  
ქელ მთავარანგელოზის ხატი სოფ. ჭუკულში. ამ ნიმუშე-  
ბის მიხედვით, ხელოვნებას არ ემჩნევა. რაიმე განვითა-

რება, პირიქით, ოქრომჭედელს აღარ ეტყობა თავისი ხელობის შესაფერისი და ეგოდენი ცოდნა და დაკვირვება, რომელიც არსებობდა მე-XII—XIII ს. ამ ღროის სახე შესდგება იმავე ვაზის ტოტის მზგავსის მოხაზულობისაგან და დაბოლოვებულია რამდენისამე (№ 4-5) პატარა ტოტის-მზგავს ხვეულით-ვე და ვაზის გაშლილ კვირტის მზგავს ნახატით (№ 16), ე. ი. იმეორებს წინა საუკუნოების სახეს. შეორე სახე შესდგება ამავე ტოტის-მზგავსი ხვეულით, მხოლოდ შუაგული გაშლილ ვარდის ან ფოთოლის ნახატით თავდება. მაგრამ ეს ფოთოლის სახე ისე მკაფიოდ არ არის გამოყვანილი, როგორც მე-XII—XIII ს.ს. როდესაც მას უფრო სქემატიური ხასიათი აქვს.

ილორის წმ. გიორგის ხატის მოჭედილობაც სუსტად არის შესრულებული, როგორც კომპოზიციის ისე მოხატულობის მხრივ. ამგვარი ნაკლი აქვთ ზემოაღწერილ ხატებსაც. სახეების შუა დარჩენილი თავისუფალი ადგილი შევსებული არ არის რომელიმე დამატებითი სამკაულით. ზოგიერთი საახეები მსხვილი მოხაზულობით და უსწორო ხაზებით არის შესრულებული, რაც ცუდს შთაბეჭდილებას ახდენს. საზოგადოდ, ზემო-მოყვანილ ნიმუშებიდან ნათლადა სჩანს, რომ ამ ხანაში ხელოვნება დაქვეითებული ყოფილა.

მე-XIV—XV საუკუნოებშიც ხატების მოჭედილობა თითქმის იმავე სახეებს იმეორებს, რაც მე-XI—XII საუკუნებში არსებობდა. ამ ხანის ხელოვნების კარგი ნიმუში სოფ. სუფის წმ. გიორგის ხატია (№ 13); მოხაზულობა ძლიერ რთულია და იმავე ხვეულობისაგან შესდგება, რომელიც წინად არსებობდა; შუაგული ამობერილია და შესდგება რამდენისამე ვაზის ულვაშის მზგავს ხვეულისაგან ან ვაზის ფოთოლის, ან და ლოტოსის მზგავს ნახატისაგან. ყოველ თავისუფალ ადგილზე მოთავსებულია ვაზის ულვაშის მზგავსი ხვეული, რომლითაც, მაგალითად წმ. გიორგის ხატის (სოფ. სუფში), მოჭედილობა (№ 13) თითქმის მთლად შეესებულია, ისე რომ სხვა სახეს თავისუფალი ადგილი არ უკავია. საზოგადოდ თი-

თქმის მთელი სახე ძლიერ სქემატიურად არის გაკეთებული და ნამდვილი ვაზის ფოთლის მზგავსი ნახატები, როგორც წინად მე-XII—XIII საუკუნებში გვხდებოდა ხოლმე, ეხლა აღარსადა სჩანს. ეს არის XIV—XV ს. ს. მოჭედილობის ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი. ეს სახე თითქმის ძველ სახის განვითარებას წარმოადგენს; თვით ამ სახის საზოგადო მოხატულობის და შესრულების მიხედვით, შეგვიძლია ვსოდეთ, რომ მე-XIV—XV საუკუნებში ხელოვნებას აღორძინება ემჩნევა. გვლათის მაცხოვრის ხატი მოჭედილია იმავე ზემოაღწერილ საზოგადო მოხატულობის სახით, როგორც ჭრ. გიორგისა.

ამ ორი ხატის მოჭედილობა ტეხნიკურის მხრივ სუფთად და ძლიერ წვრილი მოხაზულობითაა შესრულებული და სახეები ერთმანეთში საუცხოვოდა არის გადახლართული. სოფ. ლაგანში კიდევ ორი ხატია, რომლებიც ამავე ხანას ეკუთვნიან და ისევე სქემატიური ნახატითაა მოჭედილი (№ 18). მესამე გვარი სახე ლურსმის თავის მოჭედილობის მზგავსია, და მე—XIII ს. სახისაგან იმით განსხვავდება რომ ის ხაზები რომელიც იჩიბუჯრედებად ჰყაფენ ლურსმის თავებით მოჭედილ ეზოს, უფრო მსხვილია და პატარა, მცირდოდ დაკრული ლურსმების თავების—მზგავსი მოჭედილობისაგან შესდგება. ამგვარი სახე მაგალითად შენახულია მაცხოვრის ხატზე სოფ. ლაგანში და ლიხაურში (№ 39).

მე XV საუკუნის მოჭედილობის სახეები უკვე შესამჩნევად განსხვავდებიან მე XII—XIV საუკუნების მოჭედილობისაგან. ნახატს ეკარგება სწორი მოხაზულობა, ულამაზოდ არის შესრულებული, და ვაზის ფოთოლს ან კვირტს აღარა აქვს ის მკაფიო მოხაზულობა და გამომეტყველება, რომელიც ეგრე ამშვერებდა მე XI—XIII ს. მოჭედილობას. როგორც მე—XIV—XV ს. ს. მოჭედილობის სახე თანდათან სქემატიურ ნახატად იქცა იმნაირადვე ამ საუკუნებში მოჭედილობას მე XII—XIII ს. მოჭედილობის სქემატიური სახე აქვს. მოხატულობა

უფრო მსხვილია და ისე ამომჯდარი აღარ არის, როგორც წინად. პირველ შეხედვით ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს თითქოს ყოველი სახე გამოქანდაკებული-კი არა იყოს, არამედ მხოლოდ მოხაზული. ეს მოვლენა ხელოვნების დაცუმას ამტკიცებს. ფერისცვალების ხატის მოჭედილობა შემოქმედის მონასტრებში (№ 19) და ჯვარცმის ხატი იქვე (№ 22) სწორედ ამ ხანის ნიმუში არის. ფერისცვალების ხატზედ ვხელავთ ორ სხვა-და-სხვა სახეს. ერთი სახე, სახელდობრ ის, რომლითაც ხატის ეზო არის მოჭედილი (№ 19) წარმოადგენს, წმ. კვირიკეს ხიტისას მე XI—XII ს. სქემატიურს მოჭედილობას (№ 17). ამ სახეს მოხატულობით უფრო ჩუქურთმის ხასიათი აქვს. ხატის არშია-კი (№ 40) მოჭედილია იმნაირი სახით, რომლის ნიმუში ჩვენ არც ერთ წინა საუკუნოებში არ შეგვხვედრია. ეს სახე ქართულ ეკლესიას ჩუქურთმებულია მოიპოვება. ჯვარ-ცმის ხატის მოჭედილობას (№ 22) იმნაირივე სქემატიური სახე აქვს, როგორც ზემო-აღწერილ ხატზე. სოფ. ლაგანის წმ. გიორგის ხატი და ჯუმათის ხატი-კი გვიმტკიცებენ, რომ თუმცა ამ ლროის მოჭედილობა განსაკუთრებით წინად არსებულ სახეების სქემატიური გამოხატულობა მხოლოდ, მაგრამ მაინც ცოტაოდენის განსხვავებით იმნაირი სახეებიც გვხდება კიდევ, როგორიც არსებობდა მე XII—XIII ს.ს.

მე-XVI საუკუნეში ხატების მოჭედილობის სახეები უკვე დიდად განსხვავდება მე-XII—XIII ს.ს. სახეებისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში XV საუკუნესავით საზოგადო სახე იგივეა, რაც წინად იყო, მხოლოდ ნახატს ძლიერ სქემატიური ხასიათი აქვს, სუსტადაც არის შესრულებული. უკვე მე-XV ს-ში ხელოვნებას სისუსტე იმ შერიც ემჩნევა, რომ მოხატულობა სწორე ხაზებით არ არის გამოქანდაკებული (სახეები ამომჯდარი არ არის) და ნახატი თითქმის ხატის ეზოს უერთდება. ეხლა XVI ს. ეს სუსტი მხარე უკვე ცხადადა სჩანს. სახე რომ კარგად გამოჩენილიყო, ხელოსანი იძულებული იყო სახის ირგვლივ აღგილო დაედაბლებინა, სხვა ფერი მიეცა და ამ გზით ნახატი მკაფიო გამო-

ეყვანა. აშიტომ ნახატის ირგვლივ მთელი ადგილი დაჩვლეტილი არის. ამ ნაირად მოჭედილია გელათისა, ილორისა (№ 24) და შემოქმედის ღვთისმშობლის ხატები. ამ ორი უკანასკნელი ხატის სახე თითქმის სრულებით არა ჰგავს საზოგადოდ ყველა ზემოაღწერილ სახეებს. ეს სახე ქართულ ხელოვნების სხვა დარგში გვხვდება. სწორედ ამ საუკუნეში ხშირია ლურსმის თავის მზგავს სახით მოჭედილი ხატები, როგორიც არის მაგ. მაცხოვრის ხატი სოფ. ჯახუნდერში და მთავარ ანგელოზის ხატზე ღვთისმშობლის ტაძარში ჟიბიანის ახლოს. სახის მოხატულობა იმნაირივეა, როგორც მე-XV ს. მე-XVII საუკუნეში, ხელოვნება უკვე დაქვეითების გზაზე და თავის ძველს ხასიათს სრულებით ჰყარგავს. მოჭედილობის სახე უფრო სუსტია, სილამაზე სრულებით დაკარგული აქვს და ტეხნიკური მხრივ ცუდად არის შესრულებული. რადგან სახე ამობერილი არ არის, ხელოსანი იძულებულია იმნაირ ტეხნიკას მიმართოს, როგორიც ზევით აღვნიშნე მე-XVI საუკუნესათვის. ვერც ნახატი, ვერც მისი საზოგადო მოყვანილობა კარგად ვერ არის შესრულებული. ამ ხანას ეკუთვნის ილორის (№ 24) და კოცხერის ღვთისმშობლის ხატები. ჯახუნდერის ეკლესიაში მაცხოვრის ხატი მოჭედილია ორი ერთიერთმანეთში ჩასმული წრის სახით, რომელთა შუაში ჩასმულია სხვა და სხვა მარტივი და ულაზათო ნახატი (იხ. № 23). ამავე ეკლესის მაცხოვრის ხატი მოჭედილია ლურსმის თავის მზგავსი სახით. არშია მე-XVII ს. ძლიერ დაახლოვებულია ჩუქურთმის სახესთან, რომლის მაგალითი ლიხაურის მონასტრის ხატზედ (№ 35) გვაქვს.

ამით თავდება ეს შრომა ხატების მოჭედილობის სახის შესახებ. როგორც ვხედავთ მე XI ს. დაწყებული მე XIII საუკუნემდე მოჭედილობის სახე თანდათან ვითარდებოდა, განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია და ადგილობრივი ხასიათისა იყო. მე XIV საუკუნიდან (უფრო სწორედ მე-XV ს.) ვიდრე მე XVII საუკუნემდე, უკვე მოჭედილობის ეს მშვერ

ნიერი სახეები თანდათან იყარგება. ხელოვნება ჰკარგავს აღგი-  
ლობრივ ბუნებრივ ხასიათს და სქემატიური ხდება. მე-XVI—  
XVII საუკუნოებში—კი მოჭედილობა თავის საზოგადო მოხა-  
ტულობით უკვე დიდად განსხვავდება წინედ არსებულ სახე-  
ებისაგან, და ნახატებსაც ხასიათი სრულებით ეცვლება.

დ. კაკაბაძე.

---

სურათების\*) ახსნა:


1. გელათის სახარების ყდა XI—XII ს.
2. ტბეთის სახარების ყდა XII ს.
3. ჯუმათის კარელი ხატი XV ს.
4. იერუსალიმის მაცხოვრის ხატი XII ს.
5. ” ” ” ” XI ს.
6. მაცხოვრის ხატი ლიხაურში XI ს.
7. იაკობ მოციქულის ხატი ლიხაურში XI—XII ს.
- 8, 9 და 10 ხახულის ღვთისმშობლის ხატი XII ს.
11. გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი ს. ლაგანში
12. ანჩის მაცხოვრის ხატის შეკეთ. ნაწ. XIV ს.
13. წმ. გიორგის ხატი ს. სუფში XIV—XV ს.
14. წმ. გიორგის ხატი ჯუმათში XI—XII ს.
15. ღვთისმშობლის ხატი ს. ჭუკულში.
16. მიქელ მთავარანგელოზის ხატი ს. ჭუკულში XIII—XIV ს.
17. კვირიკეს ხატი წმ. კვირიკეს მონასტერში XI—XII ს.
18. წმ. გიორგის ხატი ს. ლაგანში XV ს. შემდ.
19. ფერისცვალების ხატი შემოქმედის მონასტერში.
20. შემოქმედი XII—XIII ს.
21. ანჩის კარელი ხატი XII ს.
22. ჯვარცმის ხატი შემოქმედში XV ს.
23. მაცხოვრის ხატი ჯახუნდერში XVI—XVII ს.
24. ილორის კარელი ხატი XVI ს.
25. ილორის მაცხოვრის ხატი XVII ს.
26. წმ. კვირიკეს ხატი, კვირიკეს მონასტერში.
- 27, 28, 29, 30 და 31. ბაგრატ III შეწირული სიწმიდის სამსახურებელი (ბარიძი და სხვა) ილორში X—XI ს.
32. მეფე გიორგი III ბეჭედი XII ს.
35. მაცხოვრის ხატი ლიხაურში XI ს.
36. ანჩის მაცხოვრის კარელი ხატი. XII?
37. მაცხოვრის ხატი ს. ლაგანში XIV—XV ს.
48. ფერისცვალების ხატი შემოქმედში XV ს.

\*) მოქედილობის სახეების ნიმუშები გადმინატულია კალმით თვით დ. კაპაბაძის მიერ (რედ.).

Таблица I.




1




1



2




3




4




5




6



10




12




14




13




15




17



16




19




18




20




21




22




23




25




24



26



27




28




29



30




31



32




35




38




38



40



39



## სასამართლოს ფარმოება საქართველოში

განცხადების წიგნის მიხედვით.

მე-19-ე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში თანდათან გამეფდა ქართველ ერისათვის სრულიად უცხო სამართლი და ქართული კანონმდებლობა შესწყდა.

ქართული სამართლის განვითარების უკანასკნელი და ბრწყინვალე ძეგლი არის ვახტანგ მე-VI-ს კანონების წიგნი, რომლის შესწავლასაც დიდი მეცნიერული და ისტორიული მნიშვნელობა აქვს საქართველოს წარსულის გამოსარკვევად.

დღევანდელი მოხსენების მიზანია ქართული სამართლის ერთი მხარის — სასამართლოს წარმოების — გამორკვევა ვახტანგ მე-VI-ს კანონების წიგნის მიხედვით.

სასამართლოს წარმოება დაკავშირებულია სასამართლოს დაწესებულების მოწყობილობასთან. ამიტომ საჭირო არის, გაკვრით მაინც, გამოირკვეს სასამართლო დაწესებულების მოწყობილობა საქართველოში ვახტანგ მე VI-ს კანონებისდა მიხედვით. ეს საკითხი თავის-თავად რთულია და უფრო ვრცელი გამოკვლევა ახლად მოხსენების დაწერას უდრის. საჭიროა გავითვალისწინოთ მხოლოდ, რა საზოგადო სახე აქვთ სასამართლო დაწესებულებებს საქართველოში: შეადგენენ ეს დაწესებულებანი ერთიან თრგანაზაფიას თუ არა? სასამართლოს ერთიანობა იმაში გამოიხატება, რომ სხვა და სხვა სასამართლო დაწესებულებები ერთმანეთთან საქმის წარმოქებით არაანდაკვშირებული. „ჯერ ეს გყადრო და მოვახსენოთ მეფეთა

და მსაჯულთა და ყოველს სამართალში მჯდომს კაცსა ღმერ-  
თი თქვენგან სამართლის უფროსს არას ითხოვს „... (მუხ. 1)  
შეფე მოსამართლეც ყოფილა, მაგრამ სხვა „მსაჯულნიცარიან:  
კათოლიკოზი (მუხ. 64 დასხვა), მდიგან-ბეგი (მუხ. 205 და ხხვა)  
ბატონია!“ (მუხ. 98 და სხვა), მოთემე (მუხ. 216) და მოძღვარი  
(მუხ. 79). ეს მოსამართლენი, „მსაჯულნი“, როგორც ერთი და-  
წესებულების ორგანოები კი არ მოქმედობენ, არამედ განცალ-  
კევებულად, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ეს არის დამა-  
ხასიათებელი თვისება სასამართლოსი საქართველოში. მოსა-  
მართლენი საქმის წარმოებაში არაფრით არ არიან ერთმანერთ-  
თან დაკავშირებულნი, არ არსებობს სასამართლოს ერთია-  
ნობა, მაგრამ, რასაკეირველია, ეს იმას არ ნიშნავს რომ სასა-  
მართლოს წარმოება არეულ-დარეულია. თვითოვეული მოსა-  
მართლის კომპეტენცია განსაზღვრულია კანონებით. „თუ დე-  
დაკაცი დედაკაცისაგან ჩივოდეს დიგნში ხელი არ აქვს, მო-  
თემეშ უნდა გაურიგოს“.. (მუხ. 216). მოთემეზედ ამის მეტი  
ვახტანგ მე VI-ს კანონებში არა მოიპოვება რა; ეს შესჭიდა იშ-  
შხრივ არის საინტერესო რომ გვიჩვენებს, რა არ შედის სხვა მო-  
სამართლების კომპეტენციაში. მოძღვარის შესახებაც ძალიან  
მცირე მასალა მოიპოვება „ეგრეთვე მოხდება დედ-მამაში სხვა  
რამ უმართებულო მოხდეს, თუ გამოჩნდეს კათოლიკოზმა და  
მეფემ გარდაასდევინონ, თუ არ გამოჩნდეს მოძღვარმა იცის მისი  
კანონია“... (მუხ. 79). უფრო საგულისხმიეროა რა საზღვრებში  
მოქმედობენ „სხვა მოსამართლენი“. ბატონი მოსამართლეა  
თავის საკუთარ უმებისა (მუხ. 80, 98, 104, 160, 162,  
233 276.), მაგრამ მისი კომპეტენცია ცოტა არ იყოს შე-  
ვიწროებულია სხვა მოსამართლეების უფლებებით. მაგალითად  
თუ ერთი „ბატონის“ ყმა „მეორე ბატონის“ ყმას ედავება უნდა მიჰ-  
მართონ „სხვა მოსამართლეს“ — მდიგანბეგი<sup>1)</sup>) იქნება თუ მე-

<sup>1)</sup> „ბატონი“ — ყმების პატრონი — სისუშერენი. ვახტანგ მე VI-ს კანონების წიგნში „ბატონი“ ზოგჯერ მეფესაც ნიშნავს.

<sup>2)</sup> მდიგანბეგი — მეფეისაგან დანიშნული მოსამართლეა.

ფე. მდიგანბეგის კომპეტენციაში შეღის ყოველგვარი საქმე „გინა მამულისა, გინა ბოზობისა, გინა სისხლისა“ იმ საქმეების გამოკლებით, რომელნიც სხვა მოსამართლების საქუთარ კომპეტენციას შეადგენენ. მეფეს ექვემდებარება ყოველგვარი საქმე იმავე გამონაკლისით, ხოლო ამასთანავე დამატებებითაც: არის იმ გვარი საქმეები, რომელნიც მეფის განსაკუთრებულ კომპეტენციას შეადგენენ. „მეფეთ ორგულობა“ (მუხ. 7) „მეფის სალაროს გატეხვა“ (იქვე), „ღილებულთა შორის დავა“ (მუხ. 24) „ცოლის დატანჯვა“ (მუხ. 64) „საყდრის გატეხვა“ (მუხ. 155) „სიგლის წართმევა“ (მუხ. 240) და სხვა ამ გვარ საქმეებში „ხელმწიფის მეტს ამის სამართალი არ შეუძლიან“ (240 მუხ.). კათოლიკოზი — „სატანჯველის სიველიდში და რჯულის გარდამავალ საქმეში კათოლიკოზის აქვს ხელი<sup>2)</sup> (მუხ. 61 ნაწ. 2). მაშასალამე რა გვარი საქმეც უნდა იყოს, გინც უნდა იყენეს მოსამართლე, თუ იგი რჯულის გარდამავალ საქმეს ასამართლებს, „კათოლიკოზის აქვს ხელი“. მაგრამ ზოგიერთ საქმეებში კათოლიკოზის მეტს არავის „აქვს ხელი“. „კაცი რომ ცოლს სტანჯავდეს უპატიურად ეპირობოდეს, მეფემ ის კაცი დააბას, დატუქსოს და ავად მოეპყრას და კათოლიკოზმაც ასე უყოს, სხვა ამის გარდა თუ ცოლების მიზანით ურიგო შოდეს ის კათოლიკოზმან იცის (მუხ. 64); ან „თუ მამამ შვილი მოკლას ან შვილმა მამა მაგის სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და რჯულის კანონით უნდა გარიგდეს“... (მუხ. 78): ამ რიგად განისაზღვრება თვითოვეულ მოსამართლის კომპეტენცია.

თავის მოვალეობის აღსრულებაში მოსამართლეს ხელს უწყობენ სხვა-და-სხვა ორგანოები და კერძო პირები. რაც შეეხება კათოლიკოზს, მოთემეს და მოძღვარს ვახტანგის კანონებში არავითარი მასალა არ მოიპოვება იმის შესახებ თუ როგორ ან ვისი შემწეობით ასამართლებლნენ ისინი, ამიტომ მათზედ ლაპარაკს სრულიად თავს ვანებებ.

<sup>2)</sup> „ხელი“ — რომის სამართლის „manus“ — უფლება კომპეტენციაა.

„ორი ბჭე არა ჯერ ანს“ (მუხ. 215). ამ მუხლის მიხედვით სასამართლოს თავში სდგას ან ერთი მოსამართლე, მაგ. მეფე, ან და „ბატონი“, ან კოლეგიალური დაწესებულება, როგორიც უნდა ყოფილიყო, ჩემის აზრით, სამდივანბეგო სასამართლო. და ორგზონც იქ უმაღლეს ხარისხთანი, „ოთხ ან მეტნაკლებ დიდებულების“ კრებული (მუხ. 2 და 24). სამდივანბეგო სასამართლოს კოლეგიალურ დაწესებულების ხასიათს ამტკიცებს ის, რომ იმ მუხლებში, რომლებიც სამდივანბეგოს შექება, თითქმის ყველგან მრავლობითი რიცხვი არის ნახმარი. ზემომოყვანილ ამონაწერითგან კი — „ორი ბჭე არა ჯერ არს“ — სჩანს რომ კოლეგია შესდგება არა ნაკლებ სამი მოსამართლისაგან მაინც.

მოსამართლის თანაშემწენი იყვნენ: 1) მდივანი (მუხ. 3. 205 და სხვა): — ადგენს ოქმებს, სწერს განაჩენს და სხვ.; 2) იასაულნი — იყოფებიან ორ ჯგუფად: ა) „მართლის მთქმელის უქრთამო იასაულნი“ და ბ) „გაწურობისა და დაჭერისა იასაულნი“ (იხ. მუხ. 4); 3) „მემათრახენი“; 4) „მოწმის მაძებარნი“, ამათ გარდა გასამართლებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ კერძო, გარეშე ელემენტებსაც. 1) „მთხრობელის<sup>1</sup>“; 2) „შეგდებულ“<sup>2</sup> და „შეუგდებულ“<sup>3</sup> მოფიცერთ); 3) „მოწამეს ყველა ჩამოთვლილ პირებისა და ორგანოების მნიშვნელობაზედ გასამართლებაში ლაპარაკი ქვემოდ იქნება..

„რა გინდა რა დიდი საქმე, სისხლი და ვალი ემართოს, ერთი მეორეს ნურც მოსტაცებს, ნურც დაიხუთავს; თუ ვისმე ქართული ქონდეს ან ხელმწიფეს შემოსჩიდელს ან მის მდივანბეგს, და მოსამართლეს და ისრე თავისი საქმე გაარიგოს“<sup>4</sup> (მუხ. 173). სრულიად უარყოფილია ძალ-მომრეთბით თა-

<sup>1)</sup> „მთხრობელი“ — ბიროტომოქედების დამსწრე ბრალის მდებელი მოწმეა.

<sup>2)</sup> მოფიცერი — შეგდებული — თავისი ფიცით ამოწმებდა ერთ ერთ მოპირდაპირეთაგანის ფიცს.

<sup>3)</sup> შეუგდებელი — უფიცრად ერთ ერთ მოპირდაპირეს ფიცის დასტურის მიმცემი.

ვის უფლების დაცვა და ქონების დაფარვა. რაც უნდა მოხდეს „გინა სისხლისა, გინა ბოზობის, გინა ქურღლებისა“ საქმე, მოსამართლეს უნდა მიჰმართონ. მოსამართლისადმი მიმართვა სასამართლოს წარმოების პირველი მომენტია. „სამოქალაქო“ საქმეებში ამ მიმართვას „ჩივილის“ ან „შეცილების“ ხასიათი აქვს, ხოლო „სისხლის“ საქმეებში კი „შეწამების“ „ცილის წამების“. ამისაგან გამოწვეულია განსხვავებაც „სისხლის“ და „სამოქალაქო“ საქმეების გასამართლების წერიგში.

„თუ ძველი სადავო რამე აქვსთ მოსამართლესთან იჩივლონ“... (მუხ. 228). საჩივარს, რომელსაც მოჩივარი ზეპირად მოახსენებდა, მოსამართლემ ყური უნდა დაუგდოს და დაიხსომოს (იხ. მუხ. 3). „მარტო ერთს მოჩივარს სამართალი არ უყოს, შეორეც დაიბართს, ორნივ ერთად ალაპარაკოს“... (მუხ. 3) „ვალი რომ კაცს კაცისა ემართოს, მოვიდეს და ეჩივლოს, უნდა მოადიც<sup>1)</sup> მოიყვანონ“... (მუხ. 143) იდვილად საფიქრებელია, რომ ზეპირად ნათევამს საჩივარს მდივანი ჩასწერდა რამე წიგნში. ამ ჩანაწერის მიხედვით დაიბარებდნენ როგორც „მოჩივარს“ ისე მოპირდაპირეს — „მოდს — ორთავეს ერთად“. „დაბარება“ მოსამართლის მოვალეობა იყო. მოპირდაპირების სასამართლოში მოსვლით დაიწყებოდა გასამართლება. მოჩივარმა უნდა გაიმეოროს საჩივარი, მოსამართლემ „ორნივ ერთად ალაპარაკოს“ (მუხ. 3). „უნდა ორჯერ, სამჯერ ხან ერთად ხან ცალ-ცალკე ალაპარაკოს“..., (მუხ. 3), კითხვით და გამოძიებით მათის საჩივრის მართლის შეტყობის ეცალოს (მუხ. 3). „თუ გრძელი და დიდი რამე საჩივარი იყოს ღრასაფე სიტუაცია მდივანშა ჩასწერთს რომ არ დაავიწუდესთ. (მუხ. 3) კამათის დროს მოპირდაპირენი წამოაყენებდენ „სიგჯებს ყო-

<sup>1)</sup> მოადი — სამოქალაქო საქმეებში მოპასუხე, სისხლის საქმეებში — ბრილუდებულია

ველ-გვარ გასამართლებელ საბუთებს, ხელ-წერილებს და სხვ., ამ საბუთებზედ მოსამართლემ „თამასუქი გაუსინჯოს, ბეჭედი და ქორლინჯონი, დაშეწერ და მოწამე“... (მუხ. 143) ორთავეს საჩიგარი მდივანისაგან ჩაწერილი „მერმე ცალკე გასინჯონ, ეცად-ნენ მართლის შეტყობას და უფიცირად მის გარიგებას“ (მუხ. 3) მაგრამ თუ „ორჯერ და სამჯერ“ მოპირდაპირეთა „ერთად და ცალ-ცალკე ლაპარაკით“ „მართალი“ ვერ შეიტყოს; თუ მოპირდაპირების „სიგელები“ და საზოგადოდ „საბუთები“ ან სრულიად არ აქვთ ან და ისეთი საეჭვო აქვთ, რომ „არ დაუკურების“, მაშინ უნდა მიჰმართონ სხვა საშუალებებს. სა-მიქალაქო საქმეებში სამი „თავის-მართლების რიგია“: „ცოდფის შოგიდება“ „მოწამე“ და „ფიაცი“. ვახტანგის კანონებში გან-სახლერულია რა შემთხვევაში და რა წესით უნდა მიჰმართონ ამ თავის-მართლების რიგებს სამოქალაქო საქმეებში.

— ცოდვის მოკიდება ასრე არის. დიდი საქმე ცოდვით არ გადა-სწუდების“ (მუხ. 14) „ერთი მარჩილისა 1) ან ცოტად უფროსი ან უმცროსი საქმე უნდა იყოს“... (მუხ. 14)... „ მაგრამ იქნების ისეთი გაცი რომე იმისგან ცოდვისმთხვიდება და სულზედ შევარდნა ერთ ძროხაზედაც<sup>2)</sup> დაეკერების (იქვე) ვისაც ამ გვარ საქმეზედ ან ამ ფასიან ქონებაზედ შეეცილოს ვინმე, „იმ კაცმან“ შემ-ცილებელი ზურგს მოიკიდოს ასრე უნდა სთქვას «შენიშვ ცოდვა მეორე მოსველას მეცა მაჭეს და შენდა ნაცვლად შე განვითხებით თუ მე ეგ შექნასთ»—(მუხ. 14). ამ „თავის მართლების რიგს“ გადამწევერი გასამართლებელი საბუთის მნიშვნელობა აქვს. „თუ ამ რიგიც ეს შეიძლო, აღარავინ რას ემართლების“ (მუხ. 14) „და

<sup>1)</sup> მარჩილი—არის უული—ვ აბაზი—უდრის დახლოვებით ეხლანდელ 9 აბაზს.

<sup>2)</sup> „ძროხა—ლირებულობის ოლანიშნავად იხმარებოდა—უდრის ორმილა-ნთუნს. მილანთუნი 5 აბაზი—უდრის დახლოვებით 3—3½ მანეთს ეხლანდელი უულის კვალობაზე.

თუ ვერ შეიძლო, გამტყუნებულია და მოჩივარს „უნდა პასუხი გასცეს“ (მუხ. 14).

მაგრამ „დიდი საქმე ცოდვით არ გადასწყდების.“ დიდ საქმეში „მოწმით ან ფიცით“ უნდა „შეიტყონ მართალი“. მოწმობა და ფიცი უფეხული სამოქალაქო საქმეში არის მიღებული, თუ კი დავა იმ გვარ ქონებაზედ არის, რომელიც „ძრთხსზედ“ შეტყი დინს. ვა ხრანგ შე VI საზოგადოდ ეჭვის თვალით უყურებს მოწამეს და მოსამართლეს ურჩევს „ძირიად დაუჯეროს მოწმობას.“ თუ „მოწამეს ღვთისა ეშინოდეს, სული იცოდეს, ჭკვა ქონდეს და საღთვო კაცი იყოს ან სიმართლის ხმა ქონდეს დავარლინილი და კაცისაგან სანდო იყოს უნდა დაუჯერონ“.. (მუხ. 13)... „ამისთანა კაცი დაუჯერების, და სხვა რიგი კაცი თუ არის, ათსა თუ ოცასა ან ერთ პირ სოფელის მოწმობას დაუჯერებენ თორებ ნაკლებს ძვირად დაუჯერებენ“ თ (მიხ. 13). ამისდა მიუხედვად იგივე ვახტანგი ამბობს თუ კამათით და „სიგელებით“ არა იქნა რა, „მოწმით“ ან „ფიცით“ შეიტყეო. მართალიო. „მოსამართლეს რომ საეჭვო მოხსენდეს სიტყვით, მოწამით თავად მოშესხენესა სთხოვონ“ (მუხ. 212)... „თუ იმან დასჯერი მოწმები უშოვოს, კარგი არის“ (212)... „თუ არა და ვისაც ედავების იმას სთხოვოს მოწამე“ (მუხ. 212)... „და იმის უფროც დაუჯერების ამიტომ რომე იმაში ეჭვი აქვს (212)... „თუ არა და ფიცით გარდასწევიტონ“ -თ (მუხ. 212). მოწამე უნდა დაებარებინა მოსამართლეს „მოწმის მოძებარის“ შემწეობით, იმის შემდეგ როდესაც მოჩივარი მათ დაასახელებდა. „თუ ამისი სამართალი თქვენგან როგორი ისინჯვის, მოწმის მოძებარი უნდა იყოს უქრთამო, ღვთის მოშიში“... (მუხ. 3) თუ მოწამე ამოწმებს მოჩივარის სიმართლეს და თუ „მოწამეს დაუჯერების“ მაშინ „სიმართლე შეუტყვიათ“; „მთაღ-შა პასუხი უნდა გასცეს“. თუ ვერ უმოწმა — მოადი გამართლებულია და „ადარავინ რას ემართდების.“ მაგრამ შეიძლება მო-

წამემ უმოწმა კიდეც, ხოლო მოსამართლეს ეს მოწამე „სანდო ქაცად“ არ მიაჩნდა; მაშინ „მოაღმა“ უნდა დაასახელოს თავის მოწმები. იმავე წესით მოიყვანს მოაღის მოწმეებს სასამართლოში „მოწმის მოძებარი.“ ამ მოწმეებმა უნდა შეამოწმონ მოაღის სიტყვა. თუ შეამოწმეს და „დაეჯერებათ“ ხომ კარგი: „მოაღი“ მართალი ყოფილა. თუ არ „დაეჯერების ფიცით გარდასწყვიტონ.“

„თუ დიდი რამ შამული არის, თითონ ის საჭარით ქაცის — შეიძლი აფიცონ, თუ უდაბლო აზნაურიშვილი“... (მუხ. 12) „თეთრი თუ ასი თუმანი არის, ხუთ თუმანზედ ორი ქაცი შეუბროს“-თ (მუხ. 143). „ეს ას თუმანზედ რომ ოცი მოფიცარი გვითქვამს, იქნების ასზედ თხუთმეტი მოფიცარიც ქმართდეს, იქნების თარმეტი, ათსაც დაეჯერების, ესეც უნდა გასინჯონ: თუ მოფიცარი უფრო დაღ-გვარია, უფრო ცოტა სამს და თუ გვარ-დაბალია, უფრო მეტი ხემს“ (მუხ. 143). ამაში გამოიხატება, სხვათა შორის, სასამართლოს წილებრივი ხსიათი. „ჯერ ფასი დაადგინ და მერე მოფიცარი იშვინონ (მ. 12). მოფიცარი უნდა იშვინოს და მოიუყვანოს სასამართლოში იმ მოპირდაპირეთაგანმა „რომლისაც ფიცი არის, ხატიც ვინც აფიცებს იმან იშოვნოს“ (მუხ. 11). „დღეს ვისაც მამული უჭირავს და შეეცილება ვინმე, ფიცი ვისისაც ხელო შამული არის მისია“ (მუხ. 12). თუ კაცი „შეგდებული მოფიცებით ჰელიცავს მთელი მოფიცრების რიცხვიდან უნდა „შეუგდონ ნახევარი და ისრე აფიცონ“. ამ შემთხვევაში „ასე დაიფიცავს“: „ეს ადგილი ამ საზღვრამდინ ამ აჯაგამდინ“, „სადაც შეუძლიან ჩაიგდის“, ხატი ხელო ეჭირვის იტუვის: აქამდის ჩემის აღაგისაა, ჩემიც იუს და ტუჭილადაც შედაგებოდეთ“. (მუხ. 11). დაახლოვებით ამისთანავე სიტყვას იტყოდა „მფიცავი“ სხვა გვარ სამოქალაჭო საქმეებშიაც, მხრილოდ „ადგილის“ მაგივრად დაასახელებდა იმ ნივთს და ქონებას რომელზედაც იურ დავა. „რა ეს სიტყვა გაათავოს, მოწმეებმა უნ-

და სთქვან: „მართლა ფიცა მაგისმა მაღლემათ“ (მუხ. 10) შეუგდებელი მოფიცარი კი ალბად უპრალოდ შეამოწმებდენ მის ფიცს. თუ „ასე შესძლო“, მართალი ყოფილა. ქალაქებში ფიცით „საქმის გარიგება“ არ შეიძლებოდა, „ქალაქში მოფიცარი ალმოკვეთილი არის“<sup>10</sup> (მ. 144).

მაგრამ შესაძლოა „კრიზათიც“ მოხდა, გამოძიებაც, ფიციც, „მართალი“ კი ვერ „შეიტყეს“, მაგალითად „საზღვარის ცილებაში“, ბევრიც რომ ელაპარაკნათ, ბევრიც ეფიცნათ „საზღვარის“ თვალით ნახეა არის საჭირო, „საზღვარი“ უნდა გაიტინჯოს აღგილობრივ. „უფროსი ერთი სამართალს გაგზავნილი მოსაქმე გაამრაუდებინებს სამართალს, ამიტომ რომე ერთის მეორეში მიხდომაში ან საზღვარის ცილებაში რომ გარდაეკიდათ, თავი მთსამართლე მდივანბეგი ხმი ვერ წაგა და იასაუჯს გაგზავნიან“. ამ „უქრთამზ მართლის-მთქმელმა“ იასაუჯმა უნდა გამთარებულიას ნათლად, ყოველ-მხრივ ეს საჯითხი. ადგილობრივ „კითხვით, გამოძიებით“, „მართალი შეიტყოს“ და ეს „მართალი“ მთსამართლესთან მოიტანს. ამ საშუალებებს მისმართავდნენ მოსამართლენი და მოჩივარი, თუ კი მარტო კამათით „სიმართლის“ დამტკიცება და „შეტყობა“ შეუძლებელი იყო.

იმის შემდგომ, როდესაც „ამ წიგნს გამოიტანდენ და მდივანბეგი გახსნიდეს, მდივანს წინ ედვას და კითხულობდეს“, როდესაც მოჩივარს აჩივლებდნენ და, ამ წიგნის მიხედვით“, „კითხვით, მოწმით“ თუ სხვა საშუალებით „მართალს შეიტყოდენ“ „საგანჩენოდ მიიჟნოს და განაჩენს წერა დაუწევნ“ (მუხ. 205). განაჩენში უნდა ჩასწერონ: 1) რა გვარი საქმე ირჩევა: „გინა ბოზობისა, გინა ქურდობისა, გინა ვალი“; 2) „ორისავე მოჩივრის საჩივარი“; 3) რა საშუალებით გამოიტანა „სიმართლე“: „ფიცი მოხდა თუ უფიცრობა“; 4) რომელი მუხლის მიხედვით გასამართლა მოსამართლემ: „ამა და ამ

მოსამართლემ განაჩენის ამდენის თავიდან ეს სამართალი გავაჩინეო“ (მუხ. 205). მოსამართლე მოვალეა ვახტანგის კანონებით ხელმძღვანელობდეს გასამართლებაში და განაჩენიც შესაფერისი მუხლების მიხედვით უნდა დაადგინოს: „ზოსამართლენი, თუ არ ამ წიგნში წერებულს, სხვას მოგონებულს სამართალს გერ გააჩენენ“ (მუხ. 205). მხოლოდ იმ შემთხვევაში როდესაც ვახტანგ მე VI-ს კანონებში შესაფერი მუხლი არ მოიპოვებოდა, მოსამართლეს შეეძლო თავისით დაუდგინა განაჩენი, ხოლო გადაწევეტილობა ჩაეწოდო ახალ მუხლად კანონებში. „ბევრი ისეთი საჩივრები არის და მოვა რამე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწვდების კაცის გონება, ვინც მიხედეს რასმე და მოიგონოს, ჩაურთოს და ჩასწეროს, კარგსა იქს“. (იხ. „შესავალი“ პირველი) მოსამართლეს შეეძლო თუ კი ვახტანგის კანონებში ვერ ნახავდა შესაფერ მუხლს სხვისთვის ეკითხა. „სასამართლოში, თუ უფროსმა მოსამართლემ და მსაჯულმა არა ჰყითხოს, რა გინდ უფროსი და ჰქვა-მყოფელი კაცი იყოს და იქ იჯდეს, სამართალი არ უნდა თქვას, არც უნდა რომელსამე მოემზროს, და როდესაც მსაჯულმა ჰქითხოს, ღვთის წინაშე რასაც მიხედეს სწორე და მართალი თქვას და არ დაზოგოს“ (მუხ. 5). ეს მუხლი სხვა მხრივაც არის საყურადღებო: არავის არ აქვს უფლება „შიებმართ რომელსამე შხარეს“. ამითი უარეთფილია გექილობა, რომელსაც მაგალითად რომის სამართალში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

თუ საქმე ცველა ამ პირობების მიხედვით დაბოლოვდა, განაჩენის უარყოფა შეუძლებელია. „ან ამ უამად და ბოლოს მოჩივარმა როდესმე თქვას ქრთამითა და მიდგომითა მოსამართლემ უსამართლო მიყოვო, მაშინ განაჩენს და სამართლის წიგნს შეამოწმებენ და აქედან ნასამართლი იქნების და ველარავინ იუარებს“ (მუხ. 205). იმ შემთხვევაში როდესაც მოსამართლეს აშკარად შეცდომა მოსვლია, „მეფემ მოსამართლეს

უწყინოს და გარდაახდევინოს“. მოჩივრის საჩივარს რომ „ეს განაჩენი ჩვენთან საჩივრით სასამართლოში არ არის დაწერილი“ შეეძლო გამოეწვია ახალი გასამართლება, რომ ამ გზით გამორკვეულიყო რამდენად საფუძვლიანია მოჩივარის ჩივილი მოსამართლეზედ. ამისთვის პირველ გასამართლების „შახსოვან კაცს“ მონახავდენ და იმის სიტყვით შეამოწმებდნენ განაჩენს. „რომელსაც მახსოვარი ეშოვნების და სწორე შეიტყობის, ის არ მთამშების (მუხ. 206) და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მახსოვარს ვერ იშოვნიდენ ან და „მახსოვარი“ ვერ „შეამოწმებდა“ განაჩენს,—მოახდენდენ ფიცს. აქაც ფიცი იმისი იყო, ვისაც სადაც „ხელთ ეჭირა“ (მუხ. 206) ისე რომ კანონიერად და მთთ უშერტესი პრაკტიკულად ერთხელ დადგენილი განაჩენის დარღვევა ძნელი იყო. ვახტანგის სამართლაში არ იცის რომის სიმართლის „აჭელლიაცია“ და „კასსცია“.

ვახტანგის კანონების წიგნის ისევ სალაროში მიბარებით გასამართლება თავდება. მაგრამ მარტო განაჩენის დადგენა არ კმარა. საჭიროა მისი სრულყოფა. თუმცა ვახტანგის კანონებიდან არ სჩანს, ვის მოვალეობას შეადგენს განაჩენის აღსრულება, მეორია ეს მთსამართლეს მოგაჯეობა უნდა უფლიდებით. სხვა და სხვა მუხლებში: „მთსამართლე შიაცემინებს“ „ბატონი და მთსამართლე შიაცემინებენ“ და სხვა ამ გვარი, სიტყვები მოიპოვება. ამ მოვალეობის აღსრულებაში იქნება მთსამართლეს „დაჭერისა და გაწყრომისა იასაული“ უშველობა. რაც შეეხება იმას თუ როგორ მოჰყავდათ სისრულეში განაჩენი: 1) თუ სადაც „ხელთ უჭირავს“ იმას, ვისაც მოსამართლემ მიანიჭა, არავითარი მოქმედება საჭირო არ არის მოსამართლის მხრივ, „ხელთ უჭირავს“ და „არავინ რას ემართლების“; 2) თუ „ხელთ არ უჭირავს“ მთსამართლეში ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს „გადასცეს“, „შიაცემინოს“. ყოველ შემთხვევაში მოჩივარს სწორედ ის,—მამული იქნება თუ სხვა

ქონება, — რომელზედაც მან დავა აღძრა, და რომელიც მას მოსამართლემ მიანიჭა, უნდა დაუბრუნონ. მაგრამ „თეთრის“ და საზოგადოდ „გვალის“ გარდახდების უფრო ძნელი არის: თუ კაცს ფული აქვს, რა თქმა უნდა გადაიხდის, მაგრამ თუ ფული არ აქვს „მართებულია“ ქონებით უნდა გადაიხდოს. თუ „ქონებითაც პასუხის გაცემა“ არ შეუძლიან, „მოვალეს რომ კაცი გერაუვიდეს, საქონელი არ ქონდეს, კაცი მიეცემის იმ საქმით რომ ურჯველოზე არ გაიყიდოს (მუხ. 142). იქნება კაცს „აღარა დარჩეს რა, რაც საქონელი დარჩეს, რამდენიც მოვალე უვნენ გაიყინ“ ა (137).

სისხლის საქმეებში გასამართლების წეს-რიგი საზოგადოდ ერთგვარია. ერთი მეორეს მოსდევენ 1) ბრალდება — „შეწამება“; 2) ბრალდების დასბუთება და დამტკიცება; 3) განაჩენის „დაწერა“ და სრულყოფა. მაგრამ სისხლის საქმეები ვახტანგის კანონებში ორ დარგად იყოფება და ამ გაყოფას გასამართლებაშიც ცვლილებები შეაქვს. ვახტანგის კანონების-და მიხედვით „დიდი“ საქმეები სხვანაირად უნდა გასამართლებულიყო, ვიდრე უბრალო საქმეები. დიდ საქმეებს შეადგენენ: „ხატის და საედრის გატეხვა“, „მეფის ორგულიაბა“, „დიდებულის მოქვლა“, „დალატი“ და სხვა. „უბრალო საქმეებს“ „უბრალოს ან ტოლის“ მკვლელობა, „ქურდიაბა“ და სხვა ამ გვარი.

„გამოჩენილი“ საქმის გასაშართლება „დიდი“ იქნება თუ „უბრალო“ ერთხანირია. ბოროტმოქმედება გამოჩენილია, ბოროტმოქმედიც მოსამართლეს წინაშე მოჟვანილია. საკიროა მხოლოდ შესაფერისი მუხლის მიხედვით მოსამართლემ „სამართალო გარდასწევიტოს“ და სრულ ჰყოს. მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბოროტ-მოქმედება „გამოჩენილი“ არ არის. ბრალდებელმა უნდა დაუმტკიცოს ბრალდებულს ის რასაც „შესწამებს“.

მოსამართლეს წინაშე სდგას ორი მოპირდაპირე ბრალ-დებული და ბრალმდებული. მაგრამ მინამდის მოპირდაპირესთან „ორთავე ერთად“ მოვიღოლენ, საჭირო იყო ბრალმდებულის „შეწამება“. ეს შეწამება ვახტანგის კანონებში ორნაირად, ორ სხვა და სხვა ფორმით შეიძლება: „უბრალოდ შეწამება“ — „უმ-თხრობლოდ“; და „მთხრობლით შეწამება“. ამ ორ ფორმის შო-რის ის განსხვავება არსებობს, რომ უმთხრობლად შეწამება უნდა დასაბუთდეს შემდეგში, გასამართლების დროს; „მთხრობლით შეწამება კი თავითგანვე მთხრობლობით არის დასაბუთებული. ამასთან დაკავშირებულია ის ცვლილებები „თავის-მართლე-ბის რიგებში“ და საზოგადოდ გასამართლების წეს-რიგში, რომელიც შეაქვს მთხრობლობას. მათზედ ლაპარაკი ქვემოთ იქნება.

თუმცა ვახტანგ მე VI-ს კანონები გადაჭრით ამის თქმის უფლებას არ გვაძლევენ, მაგრამ შეგვიძლიან ვიფუკროთა ბრალდებულს „დაჭრისა და გაწერობისა ისაული“ მოიუკანდა მთსამართლესთან. თუ „უმთხრობლოდ“ „ცილით სწამობენ“ „უნ-და მთსამართლემ გამოიყინოს, თუ რა გზით ჰსწამობენ და რა არის მიზეზი, როგორ უქნიათ და რა გვარად მოუკლავთ, ესეები ათქმევინონ და თუ ამ გვარის გამოკითხვით და ქებით შეაჩნიონ, როგორც გვითქვამს ისრე უნდა გარდაიხადოს“ (მუხ. 37). „დიდი“ საქმე იქნება თუ პატარა — მცირე, თუ ბრალდებულის და ბრალმდებულის სიტყვებით მოსამართლემ „სიმართლე შეიტყო“, ბრალდებულს ბოროტმოქმედება და უმტკიცეს, „შეაჩნიეს“, როგორც ვახტანგ მე VI-ს „უთქმეამს ისრე — უნდა გარდაიხადოს“ — ესე იგი შესაფერისი მუხლით განაჩენი დაადგინოს: მაგრამ თუ ასე „გითხვით, ქებით და გამოძიებით მართლის შეტყობის და უფიცირად მის გარიგებას ვერ მიაღწიეს“ „თუ ამით ვერ გასტეხონ და დადებულის კა-ცის სისხლის უმცროსს სწამობდეს ამაზედ ან მდუღით ან

შანთით<sup>1)</sup> თავი იშართდოს, თუ ან უმცრო ამხანაგი ან ტოლი—ფიცი დაადონ“... (მუხ. 37). დიდებულის მკვლელობაში „თავის შანთდებისათვის“ საჭიროა, თუ „უმთხრობლოდ სწამებენ“, „შანთა“ ან მდევდარე; ტოლის მკვლელობაში საქმარისია ფიცი. უბრალო, მცირე ბოროტმოქმედებაში საქმარისია „კოდვის მოკიდება“; საედრის გატეხვაში, უმთხრობლოდ, საჭიროა იგივე „შანთი“ ან „მდეულარე“. ყველა ეს გვარწმუნებს რომ საზოგადოდ „დიდ“ საქმეებში მიღებულია შანთი და მდევდარე; უბრალო მცირე საქმეებში „ფიცი“, ცოდვის—მოკიდება და მოწმობა.

ფიცი უმთხრობლო შეწამების დროს იმ წესითვე მოხდებოდა როგორც სამოქალაქო საქმეებში, მხოლოდ მოფიცარნი შეუძლებელი უნდა ყოფილიყვნენ, და სიტყვებიც მფიცავს სხვა უნდა წარმოეთვა, სხვაზე უნდა დაეფიცა, მოწმობა და კოდვის მოკიდება—კი იმ წესითვე მოხდებოდა როგორც სამოქალაქო საქმეებში. რაც შეეხება დიდს საქმეს „უმთხრობლოდ შეწამებაში“, ბრალდებულს შეეძლო მხოლოდ შანთით ან მდევდრით იმართლებინა თავი. „ის შანთი მაშინ აეღებინების რომე ან ბატონის ღალატი და ორგულება, და საყდრის ან ხატის გატეხვა, ან ბოზობა ან მსგავსი ამისა შეემთხვას“<sup>2)</sup> (მუხ. 9)

„შანთი და მდეულარე ორივ ერთი არის“<sup>3)</sup> (მუხ. 8). ამისი ასე უნდა: ალოცოს იგი კაცი რომელსაც „შანთი და მდევდარე გაუჩინონ“... (მუხ 8). ამის შემდეგ თუ ბრალდებული მდევდრით იმართლებდა თავსა: „მოედანსა შინა ან სხვას გამოსახენს ალაგსა საძმე წყალი აადულონ, ზედ ჩინირი გადუდვან ქვაბზედ და ძაფით ან რკინისა ან სპილენძის უნაწილო ჯვარი, რომელზედაც სახე არ იქნს გაშოევანილი, ჩაჭკიდონ და, რა ადულდეს წყალი და გარდმობრუნდეს, გარდმოილონ და მან კაცმან ჩაჭკოს ხელი სახელსა ზედა ღვთისასა და ის ჯვარი ამოილოს“... (მუხ. 8). „მსსუკან ფირცხლავ პარკში ხელი ჩაუდვან“ (მუხ. 8)“და „დაუბეჭდონ“ (მუხ. 8). „მესამე დღემ-

<sup>1)</sup> შანთი—გახურებული რკინაა.

დინ იყოს“ ასე (მუხ. 8), „მერმე გაუხსნან“... (იქვე): თუ არ დაწევია, შართალი არის და თუ დასწევია, მტკუანი“ (მუხ. 8). და თუ შანთით „იმართლებს თავს“, „შანთი ასრე არის: რკინა რომ გაახურონ, რომ გაწითლდეს, მექნელს კაცს ხელზედ ქაღალდი უნდა დაადვან“... (მუხ. 9), „მერმე ზედ ის გაწითლებული რკინა და რა რომ დაადვან მაშინვე სამს წინ უნდა წახტეს“... (მუხ. 9) „და მერმე წარხტომილმან უნდა გარდააგდოს“: „თუ არ დაწევია, შართალი არის, და თუ დასწევია, ტკუად გამოვა და გარდასახადი გარდაახდევინონ“... (მუხ. 9)

როგორც ზემოთ აღნიშნულ იყო, მთხრობლით შეწამებაუმთხრობლოდ შეწამებისაგან იმით განსხვავდება, რომ ბრალდება „მთხრობლობით“ წინდაწინვე დასაბუთებული არის. მსამართლე იმის გამოძიებას კი არ გამოუდება „რა გზით სწამობენ“ არამედ ეცდება შეიტყოს რამდენად ნაშვილია „მთხრობელის“ სიტყვა. „მთხრობლობით შეწამებაში“ კამათი ბრალმდებულსა და ბრალდებულს შორის კი არა არის, არა-მედ მთხრობელსა და ბრალდებულის შორის. „მთხრობელი იმას ჟევიან, რომელსაც უნსხავს როგორც მოუპარავს და დაუმალავს, ყველას უამბობდეს. როლის ქურდი მოსამართლესთან მოიყვანონ და არ გატყდეს, პირს წარმოუდგეს და მთხრობელმა გატეს-ო (მუხ. 236). თუ მთხრობელმა ვერ გატესოს, მცირებიშვილებიან საქმეებში—ქურდობა, ტოლის ან უმციროსის მოკვლა, —ისევ ცოდვის-მოკადებას, ფიცს—მოწმობას მიჭმორთავდნენ. ხოლო მთხოვიცანი შეგდებული უნდა ყოფილიყნენ. „ერთის ხარის შეწამებაზედ უმთხრობლოდ რომ შესწამონ, ერთი შეგ-გდებული მოფიცარი უნდა და თუ მთხრობლით შესწამონ, შეგ-დებული მოფიცარი უნდა“—ო (მუხ. 10), „ცოდვის—მოკიდება და მოწმობა იმავე წესით მოხდებოდა ხოლმე როგორც სამოქალაქო საქმეებში და „უმთხრობლოდ შეწამებაში.“

რაც შევხება „დიდროანს საქმეს“ იქ მთხოვობლობა გამოი-  
წვევდა ხოლმე ახალ „თავის შართლების რიგს.“ თუ კი კამათით  
არა გაირიგდა რა, „ხრმალში გავიდნენ“(-თ.<sup>1</sup>) „,ხრმალში გასვლა“ შეე-  
ძლოთ შეთლოდ „ტოლებს;“, „დიდებულმა“ ან საზოგადოდ უმაღ-  
ლეს წოდების კაცი, თუ მთხოვობელი უფრო „გვარ-დაბალია“, მისი  
„გადარი უმა გაატანოს ხრმალში.“ „ხრმალში გატანება“ და გასვლა  
ამ წესით მოხდებოდა: ან თრმოცვა და ან ნაკლებს დღეშიდრი  
ალოცონ და თითო წიგნი დაუწერონ ასე რომე 『სასწოროო და  
სამართლო ღმერთო, მე ესე და ეს კაცი, გვაჯები და გეხვეწები  
სხვასა ჩემს დანაშაულს წუ მყითხავ, რასაც ეს კაცი მიღებს და  
მეწამების თუ იმაში უმართლე ვიყო და არას ვერიო, იმისი  
თავი მე დამინარჩუნე თორემ ჩემი თავი იმას დაუნარჩუნე“,  
ამ რიგი წიგნები ორთავ უნდა დაუწერონ ან უელზედ ან  
შების ბუდესთან შეაბან.“ (მუხ. 7) „და ის შესაბმელი კაცინ  
როგორც შეეძლოთ ისრე შეექაზმნენ“—(მუხ. 7)...., ერთი  
თავს მოედნისას და მერე ბთლოს დადგნენ...“ (მუხ.  
7)... „, თითო მემათრახე ჩატანონ უიარაღონი რომე ფარისა  
და მათრახისა მეტი იმათ არა იქონიონ რა..“ (მუხ. 7)... „, რა-  
რომ დაპირდაპირდნენ გაუშვან და შეუტოან...“ (მუხ. 7).... „, მეფე  
და ჭარნი იმათ შეტევებას შერიდან უურებდენ რომე მოყვრობით  
ან სხვა რიგად არავინ მიეშველოს...“ (მუხ. 7)... „, შემათრა-  
სენი არ უნდა მიეშველნენ სანიშინ ერთი არ გარდავარდეს. რა  
რომე ერთი გარდავარდეს მაშინ მემათრახენი მიეშველნენ და არ  
მოავეგლევინონ“ (მუხ. 7). „, რომელიც გარდავარდების და ან  
გააძლევის, გამტევნებულია (მუხ. 7). გარდავდებული მეფეს ან  
სხვა მოსამართლეს, მოართვნს და მერმე მეფეს ვით სამდეს, ეგრეთ  
ქმნას“ (მე-7 მუხ.).

ამ სხვა-და-სხვა გვარ საშუალებებს „თავის მართლების  
რიგებს“ მიმართავდნენ ხოლმე „, სისხლს,“ საქმეებში. „კამა-  
თით“ თუ „ფიცით“, „მოწმობით“ იქნებოდა, თუ „შანთით“ ან  
ხრმლით, „მართალს შეიტყობდნენ“ და „საგანჩენოდ შეიუწებოდ-

<sup>1)</sup> გრმანული iudicium Dei.

ნენ.“ აქაც როგორც სამოქალაქო საქმეებში: „განაჩენს წერა დაუწყონ, ორისავე „მოჩივრის“ საჩივარი უნდა დაწერონ, ფიცი მოხდეს თუ უფიცრობა, გინა სისხლის, გინა ბოზობისა და რომლისაც ნივთისა სამართალი დაიწეროს განაჩენშიაც ისე ჩასწერონ“ (მუხ. 205). ამის შემდგომ „ამ წიგნს მოსამართლე ისევ სალაროში მიაბარებდეს.“ ამითი დამთავრდება ხოლმე გასამართლების წეს—რიგი.

განაჩენს მოსამართლევე სრულ ჰყოფდა „დაწერისა და გაწერთმის იასაულის“ თანაშემწერთბით.

ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად „ხრმალი“ მუხ. 7) განაჩენის სრულყოფა თვით გასამართლების წეს-რიგში შედის.

უფრო ხშირად მოსამართლე და იასაული ამ მოვალეობას იმავე წესით ასრულებდნენ როგორც სამოქალაქო საქმეებში.

როგორც სამოქალაქო საქმეებში ისე სისხლისაშიც აპპელაცია და კასასაცია შეუძლებელია. განაჩენი იურიდიულად დაურღვეველია.

უნდა აღნიშნო, რომ მიღებული ყოფილა ზოგი ერთი „საწარმოვთ ჯარიმები:“ თუ „დიდროონ საქმეში“ მთხოვბელი გამტყუნდა, მის თავს მეფეს მიართმევენ. თუ უბრალო საქმეში გამტყუნდა, „სცენ, ჯარიმა წაართვან და ისრე გააგდონ“ (მუხ. 236), ან „რომ შეიტუთ ტევილად კაცს დაუფიცას, მოსამართლე რას უზამ მას... მასთან შერი არ იჭმევა—მისმა შერჯულებ დადად გარდახდევინს, და რაზედაც ეფიცლს პატრონს თავისი მიცეცს ამად რამე, დათისა და პატრონისა რისხა ეჭოფა.“ (მუხ. 238) მართალია უკანასკნელ შემთხვევაში „ზენობრივი“ ჯარიმა და ჯარიმათაც არ ჩაითვლება, მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა იმ დროინდელი შეხედულება „ტყვილად დამფუცველზედ.“

ამით ვათავებ.

ვახტანგ მე-VI-ს კანონების წიგნს დიდ ღირსებებთან ერთად შეიძლება ნაკლიც ჰქონდეს, მაგრამ მე ამ წიგნის ღირსება — ნაკლულევანებათა დაწვრილებით გამორკვევას ვერ შევსძლებ, იმიტომ რომ ამისათვის მეტი იურიდიული და ისტორიული ცოდნა არის საჭირო.

მოხსენებულს მინდა მხოლოდ შემდეგი დაუშატო: ფრიად საგულისხმიეროა და მით უმეტეს იმ დროინდელ სამართალისათვის, ორი მოვლენა:

პირველი ის რომ „რაც უნდა საჭმე იყოს გინა სისხლისა, გინა ქურდობისა, გინა ბოზობისა“... გასამართლება საჯარო იყო; სასამართლოს კარი გასამართლების დროს ყველა-სათვის ღია არის (იხ. მუხ. 5).


მეორე უფრო მეტად მნიშვნელოვანია: ის გარემოება, რომ სისხლისსაჭმების გამორკვევა — გასამართლებაში — ეგრედ წოდებული გამოძიებითი წარმოება (свыскной пропцессъ) უარყოფილი იყო. გამოძიება გამომძიებელის ჩაკეტილ ოთახში კი არ ხდება, როგორც მიღებულია თითქმის ყველა ჩვენი თანამედროვე სხელმწიფოთა სასამართლოებში, არამედ საჯაროდ „კითხვით, ძებნით და გამოძიებით“ და რაც უფრო საგულისხმოა მოპირდაპირეთა კამათით (მუხლები მე-4 და 267). უკანასკნელი წესი მოღებულია ჯერ-ჯერობით მხოლოდ ინგლისში.

სჩანს ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენი მე-XVII — მე-XVIII საუკუნოების სამართალი სხვა ერების მე 20 საუკუნის სამართალზედაც კი დაწინაურებული ყოფილა.

ვახტანგ მე-VI-ს კანონების წიგნში უკანასკნელად გამოიხარა ქართველი ერის სამართალის შემეცნება.

რუსეთთან შეერთებით ბოლო მოელო თავისუფალ ქართულ კანონ-მდებლობას და გამეფდა რუსული სამართალი.

გ. თარხნიშვილი:



## ჭულის გფლოველობა და სარწყავი ჭყალი საქართველოში

მკელი საბუთებისა და კანონებისდა მიხედვით.

რადგანაც მიწის მორწყვის მნიშვნელობა ისეთს ქვეყნებში, როგორიც ჩვენი ქვეყანაა, თავისთვისაც ყველასათვის ცხადია, ამიტომ მე მის გამორკვევას აქ არ შევუდგები და მოვიყვან მხოლოდ თავ. არღუთინსკის სიტყვებს სილნალის მაზრის შესახებ: „ძნელი წარმოსადგენია“, — ამბობს ის, — თუ რამდენად დამოკიდებულია მეურნის შრომა წყლის რაოდენობაზე. მაშინ, როდესაც წვიმინ ზაფხულში დედამიწა საუცხოვო მცენარეულობით იბურება და საცხებით აჯილდოვებს მეურნის შრომას, მურალ ზაფხულში მთელი მაზრა, ტყის განაპირებს ვარდა, მწირ უდაბნოს წარმოადგენს. მთელი ალაზრის ხეობა, რომელიც ეხლა ადგილ ადგილ უდაბნოდ არის. ქცეული, წინედ რუით ნაყოფიერებდა. სამწუხაროდ, ეს რუ ამოიგსო. მისი მოსპობითა და ტყეების გაჩეხით კი მიწამ იმდენად დაჰკარგა ნოუიერება, რომ სრულიად გადავარდა ბამბისა და თამბაქოს მოშენება, რაც წინედ ხშირ მოვლენას წარმოადგენდა. მარტო პურის მოყვანა კი მიწის მოქმედისათვის ყოველთვის ხელსაყრელი არ არის. გვალვინ ზაფხულში სილნალის მაზრაში უკვე მისმიაც კი ალარ მოიპოვება მშვანით მოცული ალაგი, პური თავთავის გამოღებას ვეღარ ასწრობს, რაღანაც ამოსელისთანავე სტკნება და ყვითლდება. (Своды Мат. по Опис. Экон. быта гос. кр. Зак., ч. II, გვ. 419—420).

ცხადია, რომ წყლის ასეთი მნიშვნელობა წინედაც კარგად ესმოდათ ქართველებს და უძველეს დროიდან მოყოლებული მორჩილის საქმეს დიღს ყურადღებას აქცევდნენ. თავისი წვლილი ამ დიდ საქმეში თვით ვახტანგ გორგასალსაც შეუტანია და მოგვეპოვბა თამარ მეფის ხელმოწერილი სიგელიც (ზ. ს. კაკაბაძე, შ. მლევიძის სამი სიგელი). ამიტომ არც საკავირველია, რომ საქართველო მრავალი არხებით იყო დაღარული. ბევრი ამ არხთაგანი დროთა ვითარებამ გაანადგურა და უკვე დავიწყებულია, ზოგ მათგანს კი ჩვენამდინაც მოუღწევია. ბევრი რუ განადგურდა აგრედვე მას შემდგომ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. მართალია, სამაგიეროდ, ბევრი ახალი რუ იქმნა გაყვანილი, მაგრამ ჩვენ თამამად შეგვიძლია ვსოდეთ, რომ მთავრობას მათ გაყვანაში დიდი მონაწილეობა არ მიუღია.

სარწყავი წყლით სარგებლობის ჩვეულებანი, წესი და კანონები, როგორც სხვა ქართული წესები და, ჩვეულებანი რუსეთის მთავრობისათვის გაუგებარნი იყვნენ და რასაკვირველია, მათ გაეხმა არც ცდილა და პირველ ხანებში არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. მხოლოდ, როდესაც წყლის მფლობელობის უფლებამ დავა-ქიშპობა გამოიწვია, მთავრობამ მასში ჩარევით და ჩვეულებრივის წეს-კანონების არეგულარებით მცხოვრებთ ყოველივე წესიერი სარგებლობა წყლითა დავიწყებინა, მაშინ შრომას ისიც შეუდგა. მაგრამ მაშინაც, როგორც ესლა, მთელ თავის ყურადღებას მუდანს, ერევანს, განჯას და სხვა არა-აღვილობრივ მცხოვრებთაგან დასახლებულ ადგილებს აქცევდა და საქართველოსათვის არასტანდოდა. ბევრი შრომა და ფული დაიხარჯა, მაგრამ 1860 წლამდე შრომა ტეხნიკურად მეტად დაბლა იდგა და არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. გერმანელთა ახალშენის მოსარწყავად იორიდან გაყვანილი იყო არხი, რომელზედაც მთავრობამ 60 ათასი მანეტი და 120 ათასი მუშის შრომა დახარჯა, მაგრამ საბოლოოდ იძულებული იყვნენ

არხი სამუდამოდ მიეტოვებინათ (СВ. М., ტ. V, გვ. 14). 1860 წელს შეულგენ ტენიკური მხარეების გამოკვლევას, რაც მიენდო ორ ინგლისელ ინჟინერს გაბისა და შელის (იქვე გვ. 16). მათ მიერ წარმოდგენილ 12 არხის პროექტში, რომელთა გამოსალებათ, მათი ანგარიშით, 1963292 მანეთი უნდა დახარჯულიყო, ქართლი სრულიად არ შედის (იქვე გვ. 18) თუ არხთა სათავეებს არ ვიგულისხმებთ, რომლები-დანაც, ცხადია, აღგილობრივი მცხოვრები ვერ ისარგებლებ-დენ. უდიდესი და საუკეთესო არხი მთაერობის მიერ ვითომ-და გაყვანილი „მარინის არხი“ (მარინის კანალ) ყარაიაზ-ში გაფართოებულ და გაუმჯობესებულ ვახტანგ VI რუს წარ-მოადგენს და, მაშასაღამე, ორიგინალური ბევრი არაფერი აქვს.

საქართველოს საქმეების მომწესრიგებელ ვახტანგ VI, რასაკვირველია, არც ეს საკითხი დაუტოვებია უყურადღებოდ, რადგანაც კარგად ესმოდა მისი მნიშვნელობა და საჭიროება. მისი კანონების მე 170-ე მუხლი ამბობს: „წყალი ასრე არის რომე, როცა ხელმწიფე რუს გატანას მოინდომებს, ქვეუნის შენთბისა და შეტის მთსაფალისათვის იქმს რომე კოდის პური არ დააკლდეს.“ ზემომოყვანილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მისთვინ ქვეყნის მოშენება და მორწყვა მტკიცედ არის შე-კავშირებული ერთი მეორესთან და თუ დავაკვირდებით თვით მხარეს, რომლისთვინაც არის შეეროვებული ეს კანონები, ნათლად დავინახავთ, რომ ეს ასეც იყო, რადგანაც მოურ-წყავი ალაგი გაზაფხულიდან ზაფხულისაკენ მიმდინარეობის დროს განმავლობაში თანდათან ფერს იცვლის და მშვენი-ვრად შემცული მობიბინე ველი გაზაფხულისა ზაფხულის შუა რიცხვებში უკვე გაყვითლებულ უდაბნოს წააგავს და იქ ცხოვრებაც მეტად ძნელია.

რადგანაც წყალი შედარებით ცოტა იყო და გამოყვანა კი ძვირი ჯდებოდა, საჭირო იყო მტკიცე წესები და კანო-ნები წყლით სარგებლობის წესიერად დაყენებისათვის. ჩვენც

ვიცით, რომ საქართველოში ასეთი წესები არსებობდენ და ვახტანგ მეფის სასამართლო წიგნშიც რამდენიმე მუხლია შეტანილი. მართალია, წყლის მფლობელობას იქ პირდაპირ მხოლოდ 4 მუხლი ეხება, მაგრამ ამ მუხლებისა, დასტურლამალისა და თანამედროვე საბუთებისდა მიხედვით, შეიძლება აღამიანმა კოტად თუ ბევრად წყლის მფლობელობისა და სარწყავი წყლით სარგებლობის სურათი აღადგინოს. ბატონიშვილი ვახტანგის და იმავე საბუთების საშუალებით კი შეიძლება გამორკვეულ იქმნას ქართლის რუთა რიცხვი და მდებარეობა. ქართლის, ვიმეორებ, იმიტომ, რომ საქართველოს დანარჩენ კუთხეებზე, გარდა კახეთისა, ამ საკითხში ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს. ამ შრომაში, გარდა მორწყვის და წყლის მფლობელობის წესების გამორკვევისა, ჩვენ ვეცდებით იმ რუების მდებარეობის გამორკვევას, რომლებიც იხსენიება ვახტანგის გეოგრაფიაში. რაც შეეხება ქართლის დანარჩენ რუთა მდებარეობის გამოკვლევას, ეს უკვე ახალ შრომის საგანსუნდა შეაღგენდეს, რადგანაც ამის გამოსარკვევად საჭიროა ყველა თანამედროვე საბუთების შესწავლა და ახალ რუთა გათვალისწინება. ამასთანავე საჭიროა დაცუმატოთ, რომ როგორც კანონები, ისე საბუთები მე-16, მე-17, მე-18 საუკუნეებს ეკუთვნიან, მაგრამ შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამ წესებს დიდი ცვლილება არ გამოიუვლიათ და შეიძლება უფრო აღრინდელ დროსაც მივაწეროთ.

## II.

შეფე ვახტანგ VI კანონების მე-169-ე მუხლის მიხედვით წყალზე უფლება ცველას აქვს და წყალი არავის დაეჭირების, რადგანაც წყალი საერთო, სახელმწიფო კუთხით და არა თომეჯდამე პირის პერძო სიმძიდე;,, ქვეუსნიერების სამი არ დაეჭირებას კაცსა და ხელმწიფის არის: წყალი, შეშა და ბალახია“<sup>14</sup>, სამაგიეროდ მას თითქოს ეწინააღმდეგება მე 114 მუხლი კა-

ნონებისა, საცა ჩვენ ვხედავთ, რომ წყალს იყოფინ, როგორც  
სხვა კერძო საკუთრებას.,, რუს, სარწყავ წეაღს, როგორც მამულს,  
გაიყოფენ ძმანი, ისე წეაღი იმდენ ნაკადა გაიყოფის.“ რომ ეს  
მუხლი ზედმეტი არ იყო, ჩვენ ვხედავთ 1717 წლის შეფე ბა-  
ქარის განჩინებიდან. ეს განჩინება მიცემული აქვს ჯავახიშვი-  
ლებისათვის და არიგებს მათ შორის ატეხილ დავას, წყლის  
მფლობელობით გამოწვეულს. საბუთოდან სჩანს, რომ ყოველ  
წევრს სურდა მეორის უფლება შეებლალა და მეტი წყლით  
ესარგებლა. ქვემომოყვანილი საბუთებით ჩვენ დავინახავთ,  
რომ წელის სარგებლობის უფლების ჩუქებაც შეიძლებოდა.  
რაც შეეხება გაუიდგას ესეც, თუმცა კანონით აღკრძალული  
იყო, მაინც არა იშვიათად ხდებოდა. წყლის მფლობელობის  
უფლებას „ატანდნენ აგრეთვე მზითვადაც მამულთან ერთად.  
წყლის ბოძების უფლება ჰქონდა შეფეს და ვისაც ის უბო-  
ძებლა მერმე ის ამ წყალს უკვე ისე ხმარობლა, როგორც  
თავის საკუთრებას, მაგრამ შეფეს დაუკითხავად არც ჩუქება და  
არც დამკითხულება ვისთვისმე არ შეეძლო. დასტურლამალში.  
(გვ. 15) არის მოყვანილი მეფის ბრძანება: „ანჩის ხატის დე-  
კანოზი, მხატვარი. გრიგოლ და მისი მამა იოსებ შემოგვე-  
ხვეწა, გარეთუბანს თავის პატარა ბაღისათვის წყალის ბო-  
ძებას, და ამასაც წყალს მისცემდეთ როდესაც გარეთუბის  
ბაღები მოირწყოდეს.“ აქ, მართალია, განმარტებაც არის  
თუ რისთვის უბოძებიათ წყალი: „ჩუქენი მომხსენებელი და  
აზნაურიშვილია ამისათვისაც პატივ გვიცია წყლის ბოძები-  
თო.“ მაგრამ მეორე ალაგას ჩვენ ვხვდებით ბრძანებას საცა  
ნათლად არის მოხსენებული, რომ ბაღები უვეჯასი უნდა მო-  
იტწეს და მაშასადამე წეაღი უველას უნდა მიეცეს, როგორც  
ძველი, ისე ახალი ბაღების პატრონებს. რაც შეეხება წყლის  
გაყიდვას, ამაზე პირდაპირი საბუთი არ მოგვეპოვება, მაგრამ  
ყოველ ნასყიდობის წიგნში მოხსენებულია, „მოგვიყიდია...  
მიწა თავისის წელითა და რეთა (საქ. სიდ. ტ. II, გვ. 336). ან  
კიდევ... „თავისის წელითა რაც მოუნდებოდეს“ (საქ. სიდ. ტ.

II, გვ. 246, 1713 წ.). საქართველოს სიძველეებშივე მოიპოვება ერთი საბუთი, სახელდობრ, ბრძანება მეფე ბაქარისა, საცა მეფეს მიუმართავს ფარემუზ ჯავახიშვილის მეკვიდრეთათვის. „მერმე რაგინდ მოსდვან (sic) წყალს ნურგინ გაუიდის“ (საქ. სიძვ. ტ. II, გვ. 309). იქვე მოიპოვება ნასყიდობის წიგნი ქაიხოსრო ჯავახიშვილისა: „.... მოგყიდეთ ჩვენი ყმის... ვენახი ხოვლეს... უწელოდ მოგუადეთ, შენის წყლით უნდა მორწევიდეთ“. (საქ. სიძვ. ტ. II გვ. 339, 1727 წ.). ცხადია, რომ წყალი ზოგჯერ იყიდებოდა, თუმცა ბრძანებაც კი არსებობს წყალი არ გაუიდოთ. ამასთანავე დანარჩენი საბუთები გვიჩვენებენ, რომ მაშელი იყიდებოდა წელითაც და უწელოთაც.

ხშირია აგრედვე საწისქვილოს და საწყლისპიროს ბოძებისა და ნასყიდობის წიგნები: „მოგყიდეთია... მიწა-წყალი და წისქვილი და საწისქვილო, ჭალა და საწელისპირო“. (საქ. სიძვ. ტ. II, გვ. 329, 336, 342, 345, 348, 366...).

არის ნასყიდობა საწისქვილესიც: „მოგყიდეთ ვერაზე ერთი საწისქვილო სათავე... (აღნიშნულია საზღვრებში) საცა გინდა ერთი... და ერთი წისქვილი დაბრუნე (საქ. სიძ. ტ. II, გვ. 304).

ვახტანგ VI კანონების მე-170 მუხლი ამბობს: „რომელ სოფელსაც მეფე უბრძანებს და დაჩქემებს რუს, იმ წელს ერთი შეორეს გერ შეეცილების“<sup>1</sup>, და ამ კანონს თვით მეფის ოჯახიც ვერ გადასცილდებოდა. ტფილისში ზაფხულში ხშირად წყალნაკლებობა იყო ხოლმე და ბალები უწყლოდ რჩებოდენ. ტფილისთან ახლო იყო წავკისის წყალი, მაგრამ მითი სარგებლობა, როგორც სჩანს, მხოლოდ თვით სოფლელებს შეეძლოთ და დედოფალი დარეჯანის 1801 წლის წერილი (Крест. Грам. გვ. 78, გამოც. ფურცელაძისა) ამბობს: „ჩვენ გარეთ უბანის ჩვენი ბალისათვის გვჭირდება წყალი. სანამ სოლოლაკის წყალი მოღიდებოდეს, კვირაში ერთხელ პარასკევობით გვადენინეთ თქვენი წავკისის წყალი. ეს თქვენ არას გავნებთ, ჩვენ კი მაღლობელი დავრჩებითო“.

საწისქვილესთან ერთად მოყვანილი იყო ცნობა, რომელიც ეხება სანაპიროს გაყიდვას. ნაპირების მფლობელი-კი, როგორც ქვემოდ დავინახავთ, მართალია, თვით წყალს ვერავის დაუშლილა, მაგრამ წისქვილის ასაშენებლად და სათევზზაოდ-კი მსურველს უკვე მისვან ნებართვა უნდა აელო, რაც ან ბოძებით და ან შესყიდვით სწარმოებდა. „საქართველოს სიძველენ“ში (ტ. II, გვ. 160) მოპოვება შემდეგი წყალობის წიგნი აბაშიძისა—მიცემული ორჯონიკიძისათვის „...საწყლისპიროს წყალობას შემოგვეხვეწენით და გიყავით წყალობა და გიბოძეთ ჭალისათვის წყალი საოჩხე და საფიჩ-სულე“.

მეორე საბუთი ფურცელაძის მიერ გამოცემულ „კре-სტანსკია გრამოთა“ს მე 77 გვ. 1800 წლისა არის მეფის განჩინება: „ზაალ გურამიშვილმა შემოგვჩივლა, რომ მეთვე-ზენი მტკერის სათევზაოს არავის აძლევენ. გამოძიებამ გამო-არკვია, რომ ზაალს წინედაც უთქვამს იყვალის მცხოვრებ-თათვის, რომ ვისაც სურს თევზის დაჭრა, ჯერ ფული გადა-იხადოს და მერმე ოჩხი გააკეთოს. ზაალ ნაპირების მფლო-ბელია; ვუბრძანეთ: ოჩხზე, რომელიც უკვე გაკეთებულია მტკვარში, ზაალმა უნდა აიღოს ნახევარი შემოსავლისა და, ამას გარდა, ორი აბაზი თითოზე. მერმე-კი, ვინც მოისურვებს ოჩხის გაკეთებას, უნდა ამისათვის ნებართვა ითხოვოს და გა-დაუხადოს მას იმდენივე, რამდენსაც ნაპირების სხვა მფლო-ბელთ აძლევენ“.

ზემომოყვანილი ცნობები პირველ შეხედვით თითქოს ერთი ერთმანერთს ეწინააღმდეგებიან, მაგრამ თუ დავუკვირდე-ბით დავინახავთ შემდეგს: წელის ერთად ერთი შთავის ელი შე-ივე არას, როგორც ხელმწიფე ე. ი. სამეფოს წარმომადგენე-ლი. წელით სარგებლობის უფლება უკელას აქვს და წეალი არავის არ დაჭირების, მაგრამ ეს შეეხება ბუნებრივ-მდინარე წეალს, რუ-კი გაუვანის შემდგომ ეკუთვნის იმ სიფლებს, რომელთაც ბატანი მიუჩენს და დაახემქნის. და ის საკუთარი წყალი და რუნი, რო-

მელთაც მემამულენი მამულთან ერთად ერთიერთმანერთზე ჰყილიან და აჩუქებენ, სწორედ ამ გვარს მათვის, ან მათ წინა-პართათვის ბოძებულ წყალს წარმოადგენს. შესაძლებელი იყო აგრეთვე, რომ რე თვით მფლობელთ გაეჭვანათ (მაგ. ანტონ კეყონლიდელის მიერ—შიო მღვიმისათვის), მაშინ უკვე მეფის ბოძება და დახმება, რასაკვირველია, საჭირო აღარ იყო და წელით რეს გამომეჯვანელი სარგებლობდენ. რადგანაც ცველა-ნი, ვინც გაყვანილი წყლით სარგებლობდენ, ვალდებული იყ-ვნენ რეს შენახვაში მონაწილეობა მიეღოთ, ამიტომ წელის მფლობელადც მხოლოდ ის ჩაითვლებოდა, ვინც მასზე გაირ-ჯებოდა, რაც შეეხება წყალს, რომელიც მფლობელის მამულს არ გასცილდება, ტბას, წყაროს და ჭას, აქ ცოველი მემამუ-ლე სრული მეპატრონეა.

### III

თვით რების გაყვანა სწარმოებლა ან მეფის ბრძანებით და ან მცხოვრებთა სურტილით. ვახტანგ მეფის კანონებისადა მე-170 მუხლი ამბობს: „წყალი ასრეა რომე, როცა წელმწიფე რეს გატანს მთინდომებს, ქვეყნის შენობისა და მოსავალისათვის იქმს, რომე კოდის პური არ დააკლდეს. სადაც ეპრიანების რეს თავს გერავინ დაუშლის, სადაც რეს მთიხდებს გენახში თუ ხოდაბუნში, რაც დახვდეს გასჭრის და გაატარებს“. რადგანაც ადვილი შე-საძლებელი იყო, რომ რუსთვინ გზის მიცემას, მემამულისათ-ვის ზარალის მეტი არაფერი მოეტანა, ამისათვის კანონების მე-244 მუხლი მას სასყიდელს აძლევს: „რეს გამოდებაში რომ შეაში სხვის მამული ედოს, იმ შეას მამულის პატრინს არა გაუ-გეთდება რა, ფასი უნდა მიეცეს, თუ ამასაც გაუკეთდების რამ, კარგად მორიგლნენ“. სამწუხაროდ ეს სასყიდელის საკითხი კარგად გამოუყენებიათ მე-80—90 წლებში იორის ნაპირის მფლობელთ, რომელთაც ისეთი პირობები წამოუყინებიათ, რომ გლეხები იძულებული გამხდარან რეს გაკეთდებაზე უარი

ეთქვათ. (Свод. Мат. по опис. Крест. быта. госуд. Крест. Закавк., Г. II, გვ. 224). წინედ კი, სანამ საქართველო როგორც თავისუფალი სამეფო არსებობდა ასეთი ამბები, რასაკირველია, შეუძლებელი იყო მომხდარიყო, რაღანაც სათავეში მეფე ეფევა და საქმეს საქვეყნო მნიშვნელობა ჰქონდა. მოსარწყავად ხმარობდნენ მდინარის წყალს, წყაროს და ჭებს. რეს გაშორდებაში მთნაწილეობას იღებდა უზველი სოფელი, რომელსაც მითი უნდა ესარგებლნა. ასე გამოჰყავდათ სხვათა შორის რუის, -ურბნისის რუც (დასტურლამალი გვ. 67, 87). თუ როგორ ნაწილდებოდა მუშაობა მცხოვრებთა შორის მოხსენებული არ არის, თუ არ დავეყყრდობით ცნობებს რუთა შეკეთების და შენახვის შესახებ. როგორც შეკეთების ისე რეს ამოწმენდის დროს მემამულენი იღებდენ მთნაწილეობას თავის წელის წილის რათედნებისდა მიხედვით. რომ ეს ასე იყო ჩვენ მოგვეპოება რამდენიმე პირობის წიგნი, მაგ. ბრძანება მეფე ერეკლე II ამბობს: „ხარჯი რუს შეკეთებაზე გასწიოს უნდა ყველამ, თავისი წილისდა მიხედვით“. (Крест. Грам. გვ. 37). ამასვე გვეუბნება განჩინების წიგნი თუმანიშვილებისა, რომელიც ეკუთვნის 1759 წ.: „ყოველს ჩვენთაგანს, რომელიც... მოისურვებს წყლის მთელი წილით სარგებლობას, შეუძლია მთელი წილი მიღოს, მაგრამ ამასთანავე შათ თავის თავზე უნდა იდვან ამისდა მიხედვით რუზე სარჯი და შრომა. ისინი რომლებიც  $\frac{1}{2}$ ,  $\frac{1}{3}$  ან  $\frac{1}{4}$  წილით სარგებლობას მოისურვებენ, გაღდებული არიან თავისი წილის კვალებაზე რეს სარჯში მთნაწილეობა მიიღონ“. გვაქვს ჩვენ აგრეთვე ცნობა იმ პატარა რუებზე, რომლებიც მემამულეთ ჭებიდან და წყაროებიდან ჰქონდათ ამოღებული: „წყლის დასაგუბი და ჭარალდების თავში ჩვენ ვალდებული ვართ საერთო სარჯოთა და საშუალებით შევინახოთ და შევაგეთთ“: (Крест. грам. გვ. 16). მართალია აქ არ არის აღნიშნული მონაწილეთა შრომის რაოდენობა, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევაშიაც შრომა მფლობელ-

თა შორის წყლის წილის რაოდენობით არ განისაზღვრებოდეს. თუ ზემომცვანილს მივიღებთ მხედველობაში, შეიძლება დანამდვილებით ვსოდეთ, რომ ვისაც მეტი წყლი სჭირდებოდა, მეტ უნარს გამოიჩინდა და რუს გამოლებაზე მეტს შრომას დახარჯავდა.

თუ რუ მეფის ბრძანებით გამოჰქონდათ, სათავეში მის მიერ დანიშნული ზედამდგომი იქნებოდა, მაგრამ ამის პირდაპირი საბუთი ჩვენ არა გვაქვს და არც დასტურლამალშია რამ მოხსენებული. მართალია, ერთ საბუთში ჩვენ კხვდებით, რომ ნაზარალი ხანი აჯილდოვებს ნახიდურის რუზე ხარჯის გაწევისათვის პაპუა ორბელიანს და მის ძმებს, მაგრამ, როგორც ქვემოდ დავითავთ, ის რუს გამყვანი გამგე არ უნდა იყოს.

არხების გამოყვანის ვითარების გასაგებად მეტად საინტერესოა თამარ მეფის სიგელი ბოძებული შიო მღვიმის მონასტრისადმი და სიგელზე წარწერა ანტონ ჭყონლიდელისა. ჩვენ აქ მოგვეპოვება საგულისხმიერო ცნობები, თუ როგორ გამოჰქონდათ რუ მე-12 საუკ. მფლობელებსა. მართალია, ეს მილა მონასტრისათვის გაყვანილი იყო, ამასთანავე პატარა იყო და არა დიდი, მაგრამ თუ წვრილმანში არა, უმთავრეს საკითხებში მაინც ორსავე შემთხვევებში პირობები ერთი და იგივე იქმნებოდენ. რუს გასაყვანად და შესაკეთებლად საჭირო იყვნენ მცოდნე პირები და სიგელიც იხსენიერს ასეთ საგანგებოდ განსწავლილ და დახელოვნებულ წყლის მეტავეგბის ან ჭუქანების. იგივე სიგელი გვიჩვენებს თუ რამდენად ვიწროდ იყო დაყენებული ამ დარგის ხელოსანთა სპეციალიზაცია. სხალტბასთან, რომლიდანაც იყო გამოლებული შიო მღვიმის რუ, ცხოვრიბდა ორი აფხაზთა ოჯახი, რომლებიც ანტონ ჭყონლიდელის თხოვნით თამარ მეფე საუკუნოდ შესწირა შიო მღვიმეს, წყლის მეტავეგბად. აი რას ამბობს თვით სიგელი: „მის წყაროისა სათავესა“, სწერს ანტონ ჭყონლიდელი (შიო მღვიმის სამი სიგელი გამ. ს. კავაბაძისა გვ. 9), „იყო კუა-

მლი ორი სასეფოი სახელით აფხაზთანი და ვკალრე და მო-  
გახსენე ღვთისა სწორსა მეფეთა მეფეს თამარს, რაითამცა  
იგი გლეხნი მის წყაროისა მკაზმავად უბოძნეს და მოახსენეს  
მას მონასტერსა. შემიწყალეს და მიბოძეს და სამსახურიცა  
მსახურეს ჯეროვანი და ამით სიგლითა მკვიდრად და თავისუფ-  
ლად მეფობისა მათისა სალოცავად აფხაზეთნი გივი და იაბე-  
რი ფოძედ ერთი და კომლად ორი და მე გაუჩინე სამსა-  
ხური მის წყაროსაი რომელ თრისავე სახლისაგან თუთოთი შვი-  
ლი მათი ქუქნება და გაისწავლებოდის და ჰყაზმებიდეს მას წყაროსა“. როგორც ვხედავთ წყლის გასაყვანად საგანგებოდ განსწავლი-  
ლი და გამოცდილი ყმები ჰყავდათ. ამ ყმებს ვალად ედო  
რუსთვინ თვალყური ედევნებით და ოჯახიდან ერთი შვი-  
ლისათვის მაინც თავისი ხელობა შეესწავლებინათ და ქუქნ-  
კად აღეზარდათ. სამაგიეროდ ისინი იყვნენ განთავისუფლებუ-  
ლნი სხვა ყოველგვარი სამუშაო-ბეგარისაგან და გინიცბასა  
საქმეზე ბეგრი საფასი დაქარჭებოდათ, მონასტერი მათ საფასა-  
თაც შევლოდა: „სხუად სამსახური არცა რაი ექლესიისაი ედგას  
თუინიერ წყაროისა კაზმებისაგან კიდე და თუ დიდი და ნივთიანი  
რამე საქმე გამოჩნდეს, რომელი მათგან აქ იწებოდეს, მონასტე-  
რი დაუდგებოდეს ანო თუთით მემლუმე და კრებული მივიდო-  
დეს და ყოვლითორით უნაკლულიდ ჰყაზმიდენ“. (ივევ)

ცხადია, რომ წყალი მარტო მოსარწყავად კი არ იყო  
საჭირო, არამედ წისქვილისა, სამშენებლო საქმისათვის და  
დასალევადაც. წისქვილისათვინ წერადის გასაუგნად, როგორც ეტ-  
ყობა, მემამულესთან კერძო მოლაპარაკება იყო საჭირო. ამას  
გვიჩვენებს ზუა ნაცვლიშვილის წიგნი (Крест. Грам.  
გვ. 17). ის ისდის ამისათვის მემამულის სასარგებლოდ განსა-  
ზღვრულ სასეიდელს, სასელდობრ უოველ თვითურად რაც თრშაბა-  
თობით მანდი შემოგა. სამწუხაროდ გამორკვევა იმისა, თუ რამ-  
დენად დიდია ეს სასყიდელი, მეტად ძნელია, რადგანაც ამი-  
სათვის წისქვილის შემოსავალის ცოდნა საჭირო. საზოგადოდ  
კი ამ ცნობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ გვათვალისწინები-

ნებს თუ რამდენად დიდი სასყიდელის გამოლება შეიძლებოდა რუს გასაყვანად ადგილის დათმობისათვინ. აქ ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ რომ ორშაბათობით, როგორც უქმე დღის შემდგომ მუშაობა მეტი იქნებოდა და მინდიც უფრო ბევრი შემოვიდოდა.

IV

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა ჩვენამდის ნაზარალისანის სიგელმა მოაღწია, რომელიც მან პაპუა ორბელიანს და მის ძმებს უბოძა: „ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ვითარცა ნახიდუქის რუზედა ჩვენის ბრძანებით ბევრი სარჯი გექნათ და სოფელზე ბევრს გარჯილიერებით და მის სანუფქოდ ჩვენ შეგიწყალეთ, გიბოძეთ გამოლმა ნახილურისა და ქალგარის, ყარმალას თაბუთის მოურავობა“. შეიძლება აღამიანშა იფიქროს, რომ პაპუა ორბელიანი ნახიდურის რუს გასაყვანად ზედამდგომად იყო დანიშნული. და ხარჯიც მის გაყვანაზე გასწია, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ნახილურის რუ ხუნანამდე ყახტანგ VI გაიყვნა, სიგელი კი ეკუთვნის ნაზარალისანს. ამიტომ ცხალია, რომ პაპუა ორბელიანი გაყვანის დროს დანიშნული ზედამდგომი კი არ ყოფილა, არამედ რუს მეთვალყურე, ანუ მერაბი იქნებოდა. რაც შეეხება ზემომოყვანილ ცნობას, ის მხოლოდ იმ მხრით არის საგულისხმიერო, რომ ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ რუს გამოლება და მერმე შენახვაც სამეფო საზრუნავ საქმეს. შეადგენდა და მისტომ შეფერის მაყურებელი არ რჩებოდა და მხერგალე მონაწილეობას დაუქმდა მის გამოლებაში და შენახვაშიაც. წინააღმდეგ შემთხვევაში არ დასჭირდებოდა მეფე ნაზარალი-ხანს ნახილურის რუს მერაბისათვის დასაჯილდოებლად ასეთი ალაგის მიცემა.

რუს მეფებაჯურე, ე. ი. მერაბი, ინაშნება მეფის მიერ, ამ იმ შინისაგან, რომელსაც მეფე მიანდობს. „მაგ. ბატონიშვილი, როგორც გვიჩვენებს 1781 წლის მეფე ერეკლე II ბრძანება: „მერაბს დანიშნავს ჩვენი შეიძლი იულონი“. ეს საბუთები გვი-

მტკიცებენ, რომ რუს ზედამდგომი არსებობდა, მაგრამ, სამწუხაოდ, რა იყო მის ხელთ—რა ექვემდებარებოდა მას—ნაჩვენები არ არის, ყოველ შემთხვევაში შეიძლება თამამად უსთვევათ, რომ სამოსამართლო უფლება მათ არა ჰქონდათ, რადგანაც ყოველი წყლის მფლობელობით გამოწვეული დავა-ქიშპობა ირჩევა მეფისა და სასამართლოს მიერ.

მეფე, რასაკეირველია, არის საბოლოო საფეხური სასამართლოსი და მისი დადგენილება სავალდებულოა ყველასათვის. საქმის გარჩევის დროს მეფე მისდევს ჩვეულებას და უმეტეს შემთხვევაში განაჩენი ადასტურებს წყლით სარგებლობის უფლების, აი რას ამბობს განაჩენი მეფე ერეკლე II: „ჩვენ გავარჩიეთ სოფლების ნახილურის, ნასიბლელის და აღბაბლოს დავა სარწყავი წყლის შესახებ. გამოირკვა რომ წინათ მათ შორის შემდეგი რიგი არსებობდა... და ჩვენც ეგრეგიავთ“.

მეორე განჩინება ეკუთვნის თეიმურაზ II: „ჩვენ მეფეთ მეფემ თეიმურაზ გავარჩიეთ ტფილისის სოლოლაკის წყლის საქმე და გამოვარჩეთ რომ უძველეს დროიდან დადგენილი რეგიონ ამ წყლით ოთხშაბათ-ხუთშაბათობით სარგებლობდენ აბანოს და ციხის ქუჩები. ამავე რიგს ჩვენ ვაწესებთ და უუბრძანებთ ჩვენ მებაღეთ, რომ მათ ზემოაღნიშნულ დღეებს წყალი აბანოს და ციხის ქუჩებს მისცენ“. (Крест. Грам., გვ. 14, 1756 წელ.). ტფილისის წყლის გარიგების წიგნი, როგორც ამას დასტურლამალი გვიჩვენებს, ფარეშთავილდარს ეჭირა (დასტურლ. გვ. 14). იქედან ჩვენ ვხედავთ რომ ტფილისში წყალი აბარია მეფის მებაღეთ და თავილდარს, რომლებიც ყოველ საკითხზე უნდა მეფეს დაეკითხონ. არსებობდა ტფილისში რუს მეთვალყურე ანუ მერაბი თუ არა, არასფერია მოხსენებული.

რადგანაც წყლის საკითხი მეტად საჭირობოროტო საკითხი იყო, ამიტომ გასაკვირიც არა არის რა, რომ მოსამართლეთ წყლის მფლობელობით გამოწვეულ დავა-ქიშპობის გარ-

ჩევა ხშირად უხდებოდათ ხოლმე. ერთი ასეთის საქმის განაჩენი მეც შემხვდა და უნდა აღვინიშნო, რომ ის საყურადღებოა არა მარტო წყლის საკითხის გამოსარკვევად, არამედ თვით სამსჯავრო — სასამართლო საქმეების წარმოება-გარჩევის მხრითაც ეს განაჩენი შეეხება თუმანიშვილებს და თითქოს ემსახურება საზოგადოებრივ უფლებების გადიდებას. თუმანიშვილთ უჩივლიათ: მოსამართლეთა გადაწყვეტილებით განწესებული იყო წყლით სარგებლობის რიგი სოფელ თორჩელის მცხოვრებთა შორის; იმ წესრიგს ჩვენ ვემორჩილებოდით, მაგრამ რუს თვალყურს არავინ ადევნებდა, ამის გამო წყალმა იკლოდა ყოველი აღვილი აღარ ირწყვებოდა. ჩვენ შევატყობინეთ ამის შესახებ მოსამართლეთ და იმათ ჩვენ გვიპასუხეს: „თქვენ მანდ თვით ალაგზე ჩართ და როგორ უნდა ისარგებლოთ წყლით, თქვენ და სოფლებულებს უფრო ჭარბად გაგმგებათ. თუ შეერთება გნებავთ, შეერთდით და მათთან ერთად წყლით რიგ-რიგობით ისარგებლეთ. საზოგადოდ, როგორც უკეთესად სცნობთ ისე ჰქმენით და მორწყეთ თქვენი მინდვრებით“. (Крест. Грам. გვ. 15). როგორც ვხედავთ, მოსამართლენი გადამწყვეტ ხმას თვით მოსარგებლე მემამულეთ აძლევენ, რადგანაც საკუთარი საჭიროება მათ უკეთ ესმოდათ. ალპათ ამითვე აიხსნება, რომ ძალიან ხშირია ერთმანერთში მორიგების წიგნები.

წყლით სარგებლობის წესის დარღვევისათვის დაწესებული იყო სხვა-და-სხვა სასჯელები, უმეტეს შემთხვევაში—კი ჯარიმა. ტფილისში ჯარიმას იღებდენ შეფისა და მოქედლეთა სასარგებლოდ, სხვაგან კი ჯარიმის წილი ეკუთხნდა დაზარალებულად. ტფილისში ჯარიმა უდრიდა 12 მინალთუნს, ე. ი. ეხლანდელი ფულით 36 მანეთს (დასტურლ. გვ. 14). თუმანიშვილთა განაჩენით—კი სასჯელი ბევრად უფრო საგრძნობელია: „თუ ჩვენ წყალს გარეჯვარის მცხოვრებნი მოგვპარავენ ან წაიღებენ, ჩვენ წავართმევთ მათ საქონელს და დავახოცთ. თუ თორჩელნი თავისი ნაწილს არ დასჯერდებიან და

ძალას იხმარენ, ჩვენ ისინი სამართალში უნდა გამოვიწვიოთ და მისი გადაწყვეტილებით ვიხელმძღვანელოთ. ვინც თუმანიშვილთაგანი ან მათი გლეხი მოიპარავს წყალს, ის იხდის ჯარიმას წინანდელი სასამართლოს გადაწყვეტილებისდა გვარად, სახელდობრ 200 მარჩილს (ე. ი. 330 მანეთს ეხლანდელ ფულზე) და ვალდებულია მეფეს ერთი კომლი გლეხი მისცეს. გლეხი-კი, რომელიც წყალს მოიპარავს უნდა დაარბაონ და აიკლონ". უკანასკნელი განაჩენი, როგორც ვხედავთ, მეტად მეცაცრია და თუ მივიღებთ მხედველობაში ფულის სიძვირეს მაშინდელ დროში, პირველი განაჩენიც მეტად სამძიმო იქნებოდა.

სასამართლოს გარდაწყვეტილების სასრულეში მოსაყვანად და ჯარიმის ასაღებად რაიმე აღმასრულებელი ორგანო ან საგანგებო პირი არსებობდა თუ უბრალო იასაულები ასრულებდნენ მათ მოვალეობას, მოხსენებული არ არის.

საზოგადოლ-კი ჩვენ ვხედავთ რომ რუს, გარდა მერაბისა, რომელსაც მეფე ნიშნავდა ტფილისში კი მებალეთა და ფარეშთ ავილდარისა, სხვა ზედამხედველი არ უნდა ჰყავდეთ და ყოველივე ზრუნვა მის შესახებ მემამულეთ აწევს ვალად, თუ საგანგებოდ გამწერებულ ქუქანკებს ანუ წყლის მკაზმავებს არ ვიქონიებთ სახეში, მაგრამ ეს უკანასკნელი მხოლოდ შიომლვიმის საბუთში გვხვდება.

V

თუ წყლით სარგებლობის სურათის აღდგენა მოვისურვეთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ამ საკითხის ქვაკუთხედად ვახტანგ მეფის კანონების, მე-162 მუხლი არის ე. ი, რომ წყალი არავის არ დაეჭირების. მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ, რომ წყლის გულისათვის იყლებენ კიდევ და აღკრძალულ წყალს მცხოვრები ერთი მეორეს ჩუმად ჰპარავენ. ამის გასაგებად ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ ერთი მეორეს ჩუმანავენ, ჩვენ უნდა გავიხსენოთ,

მხოლოდ იმ წყალს, რომელიც აღამიანს თავისი შრომითა და ჯაფით ბუნებრივ კალაპოტიდან ამოულია და სასურველი მიმართულება მიუცია. ამასთანავე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ასეთ წყალსაც უკრძალავენ მხოლოდ მოსარწყავად, ე. ი. სადმე სხვა ალაგას წასალებად. საამშენებლოდ და დასალევად კი ვერც აღამიანს და ვერც საქონელს წყალს ვერავინ აუკრძალავედა არა თუ რუისას, არამედ ჭისას, ტბისას და წყაროსისაც.

ბებუთაშვილისა და მისი მეზობლების მორიგების წიგნში (Крест. Грам. გვ. 81) ნათქვამია, რომ „წყაროს წყალი ყოველ ჩვენგანს და ყოველ დროს. შეუძლია სასმელად წაილოს“<sup>1</sup>, მაშასადამე წელით სარგბლობის შესახებ საკითხი მხოლოდ მთსარწყავ წეალზე შეიძლება დაისვას და აქაც ბუნებრივ გაფართოში მიმდინარე წელის დაშლის უფლება არავის არ აქვს; თუ, რასაკვირველია, მდინარე ისე მცირე არ იუდ, როგორც საფლავის წეალი, ადგილი-კი ისე შეიძლოდ დასახლებული, როგორც ტუილისი. საზოგადოდ წყლით სარგებლობის მთავარ დებულებად უნდა ჩაითვალოს დასტურლამზი მოყვანილი ციხის ბალის გარიგების თავი: „უველანი დიდობით და ცოტა-ცოტაობის რასათით გაიყოფდენ და ისრე ადენდენ“. ეს დებულება არის სახელმძღვანელო წესი ქართლის ყოველ ალაგას სოფლისა და ქალაქისდა განურჩევლად. ვახტანგ მეფის კანონების მე-114 მუხლი სწორედ ამასვე ამბობს: „რუს სარწყავ წეალს, როგორც მამულს გაიყოფდენ ძმანი, ისე წეალი იძლენ ნაგადათ გაიყოფის“. თუ მემამულეს გლეხები ემატება, ემატება მათი საქმარი წეალიც (საქ. სიდ. ტ. II, გვ. 308.). როგორც კერძო სოფლები, ისე სოფლელნიც წყალს მეტნაკლების რასათით იყოფენ. შაგ, განჩინება მეფე ერეკლე II აძლევს წყლის 7 წილს ნახილურს, 6 წილს ორბელიანთ და აღბაბლოს და 3 წილს ნასიბლელს (Крест. Грам. გვ. 37). თუ წეალი მცირედი იუდ და მფლობელი კი ბეგრი, წეალს უფლები შეთვანი დროებით იღებდა: არუთინ ფაშამ და თამაზიშვილმა

უნდა ისარგებლონ წელით მხრიდად ერთი დღე“. (Крест: Грам. 83. 81).

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როგორც შრომა აძლევს უფლებას წყლით სარგებლობისას, ისე წელით მოსარგებლესათვის სავალებულო სდება რუზე მუშაობა. „ყოველს ჩვენგანს,—ამბობს თუმანიშვილთა განახენი,— რომლებიც მოისურვებენ მთელი წილის წალებას, შეუძლიან წაიღოს, მაგრამ ის ვალდებულია გასწიოს მისი წილისდა გვარად ხარჯი. ისინი ვინც  $\frac{1}{2}$ ,  $\frac{1}{3}$  ან  $\frac{1}{4}$  წილით ისარგებლებენ, ვალდებული არიან შრომაც ამისდა გვარად გასწიონ“. ჩვენ შეგვიძლიან დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ  $\frac{1}{2}$ ,  $\frac{1}{3}$  და  $\frac{1}{4}$  წილით წელისა აუცილებლად წელის განახევრებას ან გამეოთხედებას კი არ ნიშნავდა, არამედ წელით სარგებლობის დროს შემცირებას. ისე რომ შესაძლებელია  $\frac{1}{4}$  წილის შატრონს წელით მხრიდად 6 საათი ესარგებლა. თვით მორწყვაც, როგორც სჩანს, განსაზღვრული წესებით უნდა მომხდარიყო. განჩინება მეფე ბაქარისა ამ მხრით მეტად საყურადღებოა და ამბობს, რომ მფლობელებმა ჯერ უნდა რიგ-რიგობით მორწეონ გენაზი და მერშე ისეგე რიგით ხდებაზენბი. არსებობდა წყლის დათმობა ურიგოდ იმათვის ნაც, ვისაც უფრო ესაჭიროებოდა, როგორც ეხლა „გირდავია“ თუ არა ნაჩვენები არ არის.

## VI

მართალია თვით ქართლიც და კახეთიც წინედ მრავალი რუთი და აჩხებით იყო დაღარული, მაგრამ ჩვენ ჯერავერობით უფრო დანამდვილებით მხოლოდ მცირედი რიცხვის მდებარეობის გავება შეგვიძლია. ყველაზე მეტ და საყურადღებო ცნობებს ამ მხრივ იძლევა თავის გეოგრაფიაში. ბატონიშვილი ვახუშტი და თავის რუკებზე აქვს კიდევ აღნიშნული უმეტესი მათგანი. მართალია მის მიერ მოხსენებულ რუკებში სულ-ყველასი მდებარეობა ზედმიწევნით. არ არის

გამორკვეული, მაგრამ, დაახლოებით მაინც აღნიშნულია და ადგილობრივ დათვალიერებამ შეიძლება ნარუალები აღმოაჩინოს. აქვს აგრედვე ორიოდე არხი აღნიშნული ისტორიკოსს სეხნია ჩეხიდესაც, უძველეს არხად უნდა ჩაითვალოს ვახტანგ გორგასარის მიერ გაყვანილი რუ, რომელიც შემდგომ ვახტანგ VI შეაკეთა და განაახლა. რუთა მდებარეობის გამორკვევის დროს ჩენ გავცვებით ბატონიშვილი ვახტანგის რიგს. იქ აღნიშნულია რუნი:

1) ბერდუჯის (ეხლანდელი დეპეზაჩი) მიდამოებში (ზორჩალოს მაზრა) „აღმოიღებენ რუთა და ირწყვიან იმიერ და ამიერ არენი“. (ვახტანგ ბატ. გეოგრაფია გვ. 40).

ასევე გამოურკვეველია იორის ნაპირთა რუების მდებარეობა:

2) „ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინათვან აღმოვლენან რუნი და ირწყვიან ველნი და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი.“ (იქვე გვ. 133).

როგორც ვხედავთ, ამ ორ მდინარეზე ბევრი რუ ყოფილა ამიერ და იმიერ ნაპირებზე აღმოღებულნი, მაგრამ რამდენი, სად იღებდენ და მათი მიმართულება გამორკვეული არ არის და მხოლოდ ადგილობრივ შეიძლება გამოირკვეს.

მეტად დიდ ყურადღებას აქცევდნენ, როგორც სჩანს, მორწყვის საქმეს საბარათიანო—საორბელოში, სადაც მრავალი რუ ყოფილა გამოღებული. გარდა ზემომყვანილ ბერდუჯის რუთა, იქ მოხსანებულია ქციის ველის რუ.

3) „ქციის (ეხლანდელი ხრამი) სამხრით ველი იყო უწყლო, გაიღო ჟდ მეფებან ვახტანგ ჭელი რუ და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად“. (გეოგრაფია გვ. 46).

ქციაზევე მოიპოვება დიდი რუ, გამოღებული მეფე ვახტანგ VI მიერ ხუნანის ველის მოსარწყავად.

4) „ხუნანის ველსა შინა არა იყო ნაყოფი უწყლობით ჟდ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციისა ნახიღურის ბოლოდან და აღაშენა დაბნები და ნაყოფიერებს ფრიად“ (იქვე 59):

თხსენიებს ამ არხს ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძეც: „განილო რუ ნახიდურიდან ვიდრე ყისყალამდის (=ხუნანს=მტკვრის ციხეს. სეხნია ჩხეიძის ისტ. გამოც. ჭიჭინაძისა გვ. 25). ნახიდური მდებარეობს ქვიისა და მაშავერის შესართავთან და რუც მაშასადამე იწყებოდა აქედან და რწყავდა მარცხენა ნაპირის ველსა.

5) ტფილისის ქვემოდ, მტკვრის მარცხენა ნაპირი ყარაიაზის დიდი ველი ირწყებოდა დიდი რუთი (ეხლანდელი მარიინის არხი). როგორც ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, ეს რუ გაყვანილია ვახტანგ VI მიერ: „ნაგებიდან (=რუსთავი= ბოსტან ქალაქი) გაიღო უდ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისა-გან და მიერ უამითგან ნაყოფიერებს ჰალებს ქვეითი მინდო-რი (გეოგრაფია გვ. 67). ამასვე ამბობს სეხნია ჩხეიძე: „განილო რუ ნაგებიდან ბოლოსა ყარაიასასა“ (სეხნ. ჩხეიძე ისტ. გვ. 25). მაგრამ ჩვენ უნდა ვიფიქროთ, რომ ვახტანგ მეგებსეს ძველი დანგრეული რუ განუახლებია და ვაუყვანია. თვით სა-ხელი ქალაქისა რუსთავი გვიჩვენებს, რომ აქ წინათ რუ არ-სებობდა. მართლაც ფურცელაძეს „ცერკოვნია გრამოტი“ ში ამ-ბობს: „რუ რუსთავთან გატანილია ვახტანგ გორგასარისა-გან და ერქვა მეფის არხი, შემდგომ ამ რუთი ისარგებლეს მა-რიინის არხის ვასაყვანად“ ო. ცხადია, რომ რუ აქ წინათაც ყოფილა.

6) ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია აშუქებს, სხვათა შორის, ტფილისის ერთეული მიდამოს უნაყოფობის მიზეზს: „...სამხრით არის ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ ვერიდან მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს“ (გეოგრ. 75).

7) უფლის ციხის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე არის მინდორი დოესისა, რომელიც ირწყებოდა თემმიდან გამოყვანილი რუთი, რუ ეს ეხლაც არსებობს.

8) დოესის მინდვრის ზემოდ გორიჯვარის მიდამოებში უდ დედოფალს რუსუდანს (ვახტანგ VI შეუღლეს) მოუტანია

ბურეთის მთიდან რუ (იქვე 81), რუ ეს მალე გაფუჭებულა  
და ერქვლე მეორის დროს განუახლებია ოთარ ამილახორს.  
(იქვე შენიშვნა 155, გვ. 81)

9) წრომის მონასტრის ქვემოდ მდებარე მინდორს რწყავს  
რუ ძამიდან გამოლებული: „...ხოლო ამას ქვეით მინდორს  
რწყავს რუ ძამისა“ (იქვე 82).

10) ვახუშტის გეოგრაფიაშივე არის მოყვანილი შემდე-  
გი ძნელად დასაჯერებელი ცნობა ნარიანის შესახებ: იტყვი-  
ან ტბის ყურისას: „თამარ მეფემ ჰყო ტბათ ვინათვან სჩანს  
ნარუალი, რომელი გაიტანათ ქციითვან“ და აწ უქმი არს“  
(იქვე 84), მაგრამ ტბის ყურის მიღამოები იმდენად მთიანია,  
რომ შეუძლებელია ქციიდან აქ რუ ყოფილიყოს გამოლე-  
ბული.

11) იქვე მოიპოვება შემდეგი სასწაულთმომქმედებით ისო  
წილკნელის მიერ გამოლებული რუ: „...ტყვილიანიდამ წილ-  
კანელმან იგ მამათაგანმან წარმოილო ყავარჯის თრევით რუ,  
რომელსაც მოსდევდა უმუშაკოდ წყალი და მოილო წილკანს  
და დის დღემდე“ (იქვე 90). ეს ცნობა საინტერესოა მით,  
რომ გვიჩვენებს თუ ამგვარი რუს არსებობას.

12) ქსნის ხეობაზედ მოხსენებულია ქსოვრისის რუ:  
„...ქსორის... მუნ არს აღებული რუ და რწყავს ორთა ამათ  
მთათა შორისთა მინდორთა სარკინეთისა და ციხე ბოდავის  
მთათა შორისსა და ნაყოფიერებს მით ფრიად“.

13) „...მურვალეთიდან დასავლეთისაკენ მეჯუდამდე  
და ვიდრე დიდ ლიახვამდე და კვერნაქის მთის შორისი მინ-  
დორი დიდი და უტყეო გარნა დაბნებთა არს წალკოტნი  
ნიგვზარნი და ვენახნი შრავალნი და ირწყვის მინდორი ესჭ-  
მეჯვდის აღმოსავლეთისა, მეჯვდის რუთი (იქვე 106).


14) „...რუისის მთის სამხრეთი მინდორი ნიქოზამდე და  
ლიახვით დვინის წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი  
თამარ მეფის ქმნულითა და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლი-  
თავე შრავალნი, ხოლო სამთვისის რუ განაახლა უდ მეფე-

მან ვახტანგ ხოლო აშ უქმი იყო“ (იქვე 115). ეხლა ორივე რუ განახლებულია და რწყავს მთელ მინდორს:

15). მოხსენებულია შოლის რუ სურამის ხეობაში: „შოლის პირიდან გაიტანა უდ მეფემან ვახტანგ რუ“ (იქვე 121) რუ დის ბეკამდე.

ამითი თავდება ვახტანგი ბატონიშვილის გეოგრაფიაში ცნობები არხების მდებარეობის შესახებ და მე მოვიხსენებ კი-დევ მხოლოდ სამ რუს: ერთ მათგანს, ალაზანის ხეობის ნა-რუალს იხსენიებს არღუთინსკიც; კახეთის საზოგადოებას გადაუწყვეტია მისი განახლება. ამ რუს გამოლებას მიაწერენ თამარ მეფეს. დანარჩენი ორი ნარუალი არსებობს ტფილი-სის მახლობლად, ისინი იწყებიან არავიდან და მოღიან ტფი-ლისისაკენ. ამ რუთა გამოლებასაც მიაწერენ თამარ მეფეს. დასასრულ, თუ თვალს გადავავლებთ ყველა ზემო ჩამოთვლილ რუს და მათ გამომლებთა პიროვნებას მხედველობაში მივი-ღებთ, მივხვდებით რომ მე-IV.—V საუკ. მოყოლებული, ეს საკითხი მჭიდროდ შეკავშირებული ყოფილა ქვეყნის აშენე-ბასთან და ყოველ მეფეს დაუხარჯავს შრომა ამ საჭირბო-როტო საკითხის გასაუმჯობესებლად, ამიტომ იშვიათად მოი-პოვება ქართლ-კახეთში ალაგი, სადაც არ იყოს საოცარი სიმტკიცის დუღაბის მილები. ეს მილების სიმრავლე და სიმ-ტკიცე გვარწმუნებენ, რომ მთელი ქვეყანა წყალსადენებით იყო მოცული. საკმარისია ქართველებმა ამ ნარუალთა მდე-ბარეობა გამოარკვიონ და განაახლონ ისინი, რაშიაც მთა-ვრობა კანონების მიხედვით მოვალეა მათ დაეხმაროს. ამის წყალობითქართლ-კახეთის მოსავალი აიწევს და ცოტათი მაინც შემსუბუქდება გამწვავებული მიწის საკითხი.

თოსებ ანთაძე.



## მოქალაქეობრივი ჰანგები იღია ჭავჭავაძის ნაწარმოებებში.

ჩ ლეს ყველასათვის ცხადია, რომ მწერლის მოღვაწეობის რიგიანი დაფასებისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის პირადობასთან ღრმად დაკავშირებულ ცნობების გათვალისწინებას. ცხადია, რომ იმ წრის და საზოგადოებრივი აზრისა შესწავლა, რომელშიაც მწერალი აღიზარდა და მოქმედებდა, მწერლის მსოფლ-მხედველობისა და ერთობ მის ფსიხიურ განცდათა, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ამ მწერლის ნაღვაწი მკვლევარისა და დამფასებლისთვის. ლიტერატურის ისტორიაში ხშირი მოვლენაა, რომ ლიტერატურის ისტორიის მკვლევარი და კრიტიკოსი მწერლის ნაშრომის ძირითად ჰანგს მიზეზობრივად აკავშირებს გავლენებთან, რომელიც მწერალმა გამოიარა: ბუნების მშვენიერების, წრისა და საზოგადოების, იდეალთა, კერძო ცხოვრების და პირად განცდების და სხ...

საგანს თუ ამ მხრით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ჩვენი მწერლობის მკვლევარს წინ ერთი დიდი დაბრკოლება ელობება: მას ხელთ არა აქვს ეს ცნობები და ხშირად შრომის დაწყებისას მწერლის ბიოგრაფიულ ცნობათა ძებნა სჭირდება ხოლმე; ჩვენ ხშირად არა გვაქვს ხეირიანი ბიოგრაფია ისეთ მწერლებისაც-კი, რომლის თანამედროვენი და თან-შეზრდილნიც ცოცხალნი არიან.

ეს დაბრკოლება კიდევ უფრო ღრმავდება მისთვის, ვინც დიდი მწერლისა და მოაზრის ლიტერატურულ განძის გან-

ხილვას შეუდგება. და ვინც ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ ნაღვაწის შესწავლას შეეცდება, უპირველეს ყოვლისა ამ გა-ლრმავებულ დაბრკოლებას. წააწყდება. ჩვენ არა გვაქვს ილიას ხეირიანი ბიოგრაფია, რომლის სახელთან მჭიდროდ არის და-კავშირებული ჩვენი მწერლობის, საზოგადოებრივობის და ჩვე-ნი ინტელიგენციის სულიერი ზრდა გასულ საუკუნის მეორე ნახევრიდგან მოკიდებული. მეტად საინტერესო დროდ ილიას ცხოვრებაში უნდა ჩაითვალოს სტუდენტობის ხანა, როცა, მწიფდებოდა და ღონიერდებოდა მწერლის ნიჭი, როცა მუ-შავდებოდა მისი ფართო მსოფლმხელველობა. ეს საგულის-ხმიერო ხანა ბურუსით მოცულია ჩვენთვის; ამ ხანის მნიშ-ვნელობას აღრმავებს ილიას იმ დროინდელი ნაწარმოებთა განხილვა.

მე 19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში რუსეთის მოწინავე საზოგადოების და საზოგა-დოებრივ აზრის გავლენით ერთი დიდი ცვლილება მოხდა. ეს ის დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იყო, როცა ჩვენი ქვეყანა, რუსეთთან დაახლოებული, ევროპის კულტურულ განვითარების გზას დაადგა. ამ ხანებში იყო, რომ რუსეთის საზოგადოებრივმა აზრმა განვლილ სასტიკ რეაქციის შემდეგ ფრთა გაშალა და თავისუფლად ამოისუნთქა. ეს დიდი იმედე-ბის ხანა იყო, ბრძოლის და მომმისათვის თავდადების ხანა, „გმირული ხანა“ რუსეთის მოწინავე ინტელიგენციისა, რო-მელმაც ბრძოლა ბატონ-ყმობის კიცვით დაიწყო და სოცია-ლისტურ იდეალების ქადაგებამდის მივიდა. რუსეთის განა-ხლების გავლენას, თქმა არ უნდა, ვერ ასცდებოდა რუსეთში მყოფი, ქართველი ახალგაზღიბი და მართლაც, ამ გავლენის მატარებელი, ჩვენი გამოფხილების პირველი მერცხალი, მე-60 წლების ინტელიგენცია იყო. რუსეთში აღზრდილი ახალგაზღიბი ჩვენი ცხოვრების ჩეფორმატორი შეიქნა. მან პირველმა შემოიტანა საქართველოში: ა) იდეა სამშობ-ლოსა და საზოგადოების მსახურების, რომელიც ნამდვილ

ინტელიგენტისაგან თავდადებულ მუშაობას მოითხოვდა. ბ) რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის სოციალური იდეალები, გამანადგურებელი კრიტიკა და სიძულვილი ბატონ-ყმობის და გლეხთა აღამინურ უფლებათა დადასტურება. გ) მწერლობის მნიშვნელობის განმტკიცება და მწერლობისთვის მიმართულების მიუწვდომელობის მიუწვდომელობის მისამართი.

თუ ამას ზედ დავუმატებთ ჩვენი ინტელიგენციის ეროვნულ მისწრაფებას, რომელსაც ჩვენი წარსულისა და აწმოს შევნება და დაფასება ჰქონდა სარჩულად, ჩვენ გავითვალისწინებთ იმ კითხვებს, რომელიც მე 60 წ. წ. ჩვენმა ინტელიგენციამ წამოაყენა. ეჭვი არ არის, ჩვენი ინტელიგენციის ისტორიის მკვლევარი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს იდეალების მემკვიდრეობით ხასიათს, „კეისრისას კეისარს მიუზღდავს“. მე კი, როგორც ზევით ვსთქვი, არ შემიძლია ამ მეტად საინტერესო ხანას ჯეროვანი ყურადღება მივაქციო, არ შემიძლია, სამწუხაროთ, განვიხილოთ მწერლის ნიჭის თანდათანობითი განვითარება, რაც ჩემს მცირე მოხსენებას ერთგვარ სპორადიულ ხასიათს აძლევს.

ძირითადი თვისებები ილიას სტუდენტურ დროის ნაწარმოებთა იმის საუკეთესო მაჩვენებელია, რომ სტუდენტურ ხანას მისთვის უქმად არ ჩაუვლია.

„უანგაროდ მივალთ წინა,  
 „მარტო ის გვაქს გულში ფიქრად,  
 „რომ წინანი უკანასთვის,  
 „უნდა იქმნენ გზად და ხილად.  
 „მამულისა შვილნი ჩვენც ვართ  
 „და მიტომ ვზრდით ჭაბუკ გულსა,  
 „რომ ყოველგან გამოვალგეთ  
 „ჩვენს საყვარელსა მამულსა“ რ.

ამბობს ილია ერთს თავის იმ დროინდელ ლექსში „სტუდენტების სიმღერა“.

მოძმისათვის „გზად და ხიდად“ ყოფნა, მამულის — სამ-  
შობლოს სამსახური, დაჩაგრულ მოძმის სიყვარული, სამ-  
შობლოში არსებულ უსამართლობის მოსპობა — აი ის კით-  
ხვები, რომლებიც აფიქრებდა ახალგაზდა ილიას.

ცხოვრების სინამდვიონეს მისი ახალგაზდური აღტაცები-  
სათვის ფრთა ჯერ კიდევ არ შეეკვეცა, და მას იმედი ჯერ  
კიდევ არ დაეკარგა, რომ უსამართლობა და ბოროტება სა-  
მართლიანობას დაუთმობდა ადგილს.

„მესმის, მესმის სანატრელი  
 „ხალხთ ბორკილის ხმა მტკრევისა!  
 „სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუსს  
 „დასათრგუნვათ მონებისა.  
 „აღმიტაცებს ხოლმე ეგ ხმა  
 „და აღმინთებს იმედს გულში,  
 „ღმერთო, ღმერთო ეგ ხმა ტკბილი,  
 „გამაგონე ჩემს მამულში“.

ამ აღტაცებულის გამოძახილით შეხვდა უცხოეთში  
მყოფი ილია ვლეხთა განთავისუფლებაზე რუსეთში მოარულ  
ხმებს. ილიას შეგნებული ჰქონდა ბატონ-ყმობის გამათახსირე-  
ბელი გავლენა საზოგადოებაზე და ამ ბოროტებასთან საბრ-  
ძოლველად ემზადებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, გო-  
ნებრივ და, ზნეობრივ მომწიფების ხანამ — სტუდენტობის  
დრომ აი რა შესძინა ილიას:

ა) შეგნება იმისა, რომ აღამიანის საზომი მისი საზოგა-  
დოებრივი ღირებულებაა და მიზანი მისი ცოდნისა და მომ-  
ზადებისა — საზოგადოებრივი სამსახური უნდა იყოს, რომ ჭინა  
თაობა „გზა და ხიდი“ უნდა იყოს მომავალი თაობისათვის.

ბ) ღრმად დაარწმუნა ილია, რომ ვინც უნდა იყოს  
ადამიანი, მისი სიცოცხლე ღირებულებას წარმოადგენს. რომ  
სიცოცხლე — „ღვთიური ნიჭია“, ღრმა აზრი და მიზანი აქვს  
თაყვანის ცემის ღირსია, და ამიტომ მისი ამაოებად ჩათვლა  
მიუტევებელი ცოდვაა..

„როდემდის უნდა ჩვენ არა ვგრძნობდეთ სიცოცხლის  
ფასსა?“

„როდემდის არ ვცემთ ღვთიურ ნიჭისა ღირსა თაყვანსა?“

„მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ეხარჯავთ  
„და მის აქ ყოფნას ამაოებათ რისთვისა ესახავთ?“

ასე იწყებს ილია ერთს თავის იმ დროინდელ ლექსს—  
„როდემდის“.

გ) ამავე დროს შეისისხლ-ხორცა ილიამ რწმენა, რომ  
ბატონ-ყმობა დიდი უმრავლესობის ბორკილია, ამ ბორკილის  
მსხვრევას ის სიხარულით ეგებება და გაიძახის „ღმერთო ღმერ-  
თო ეგ ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიო“. ცხადია, რომ  
ილია—მოქალაქე უკვე რუსეთში მომწიფდა.

ბეღნიირ დროს შეხვდათ რუსეთში ყოფნა ჩვენი კულ-  
ტურულ გამოღვიძების პირველ მერცხლებს; ეს დრო დღე-  
საც სიამოგნებით მოსაგონია. ეს ის დრო იყო, რომელსაც  
ს. ვენგროვის აზრით „რუსეთის ლიტერატურის გმირული  
ხანა და რუსეთის ინტელიგენციის მიერ მოძმხისათვის თავდა-  
დების დრო ეწოდება“. ამ დროს იყო, რომ რუსულმა მწერ-  
ლობამ პუშკინის და გოგოლის მეოხებით რეალიზმის გზა  
აირჩია და მწერლობამ საზოგადოებრივი სამსახური თავს  
იდგა, იგი სარკედ შეიქმნა ცხოვრებისა და მასწავლებლადაც.  
ამ დროს იყო, რომ ჯერ ბელინსკის, მერმე კი დობროლიუ-  
ბოვ—პისარევის შეხედულებამ გაიმარჯვა მწერლობაში იმ  
მიმართულებაზე, რომელიც გაიძახოდა, ხელოვნებას მიზნათ  
მხოლოდ თავისივე თავი—ხელოვნება უნდა ჰქონდესო. მწერ-  
ლობამ მფარველობის ფრთა გადააფარა ამ ქვეყნის მაშერალთ  
და საუკეთესო მომავლის ხატვა დაიწყო. დასასრულ, ეს ის  
დრო იყო, როცა ნეკრისოვის ნალვიანი ხმა გაისმოდა:

„Укажи мнѣ такую обитель,

„Я такого угла не видалъ,

„Гдѣ бы сѣятель твой и хранитель,

„Гдѣ бы русскій мужикъ не стоналъ..“.

და როცა დობროლიუბოვ-ჩერნიშევსკის სოციალურ იდეალებზე აღზრდილი ახალგაზდობა პირად სიამოვნებასა და ბედნიერებას მსხვერპლად სწირავდა საზოგადო და სახალხო ინტერესებს.

აღვილი მისახვედრია, თუ რანაირად გაუჭირდებოდა ამ იდეალებზე აღზრდილი ილიას, ბუნებით გრძნობიერ ახალგაზდას, ჩვენში არსებულ მწარე სინამდვილესთან შეგუება. თავი აღემალ-ლებინა უსამართლობას, ერთისაგან მეორის ჩაგვრა—წამებას თავის ნაყოფი გამოეღო: გლეხობაში—მონა-მორჩილ წოდებაში—დაეხში პროტესტის ხმა და თავის ღირსების შეგნება; მუდმივ მორჩილებას და გონებრივ სიღატაკეს პირუტყვის ბაგამდის მიეყვანა იგი. მაგრამ ეს ერთი მხარე იყო მხოლოდ გლეხობის უბედურობისა. საგრძნობელი უბედურება გლეხობის კიდევ ის იყო, რომ პატიოსანი, უმწივლო გლეხები, როგორც იყო ხალხური არსენა, ვერ შეტვებოდენ უსამართლობას, და ძალიან ხშირად ასეთები ხელიდან ეცლებოდნენ გლეხობას. გონება—ჩლუნგი ქრიაშვილები, გაპირუტყვიბული მოთავოსანი, პატიოსანი, მაგრამ ცხვარივით საწყალნი და უხმო მორჩილნი პეტრეები, ან სინდისზე ხელალებულნი, ყოველ მდგომარეობას იოლად შემგუებელნი ლუარსაბის მოურავისებური პიროვნებები კი მასთან რჩებოდნენ. არა, ეს წოდება სახალისოს არას წარმოადგენდა; გლეხობა დაბრიყვებული და გაბრუებული იყო!!

არც თავად-აზნაურობა წარმოადგენდა მიშჩიდველ სურათს: გულ-ცივი, სხეის გაჭირვების არარად ჩამგლები, როგორც ზაქროს ღილი ბატონი, სინდისზე ხელ-აღებული ქვენა გრძნობების მონა-მორჩილი დათიკო, ან უსიცოცხლო, უმოქმედო, უგუნური და ცრუხალ-მკვდარი ლეში—ლუარსაბი,— აი რა ტიპებს ვხედავთ მაშინდელ თავად-აზნაურობის ცხოვრებაში. უსამართლობას ორივე წოდება სიკედილის კარზე მიეყვანა. საზოგადოებრივ აზრსა და სინიდისს ღრმად ეძინა და ძლიერი, მედგარი გამოძახილი იყო საჭირო მათ გასა-

ღვიძებლად, ეს პირველი გამოძახილი ბეღმა „თერგდალეულებს“ და მათ ღირსეულს მებაირალტრეს ილიას არგუნა. ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა გვარ უკულმართობას მწერლის მაღლიანი ხელი ეჭირვებოდა გამოსამზეურებლად და ეს მიზანი დაისახეს „თერგდალეულებმა“, ილიამ, აკაკიმ, ბ. ლო-ლობერიძემ, კ. ლორთქიფანიძემ, ნ. ნიკოლაძემ, გ. წერე-თელმა, პ. უმიკაშვილმა და სხ. და აი—ხმა სიმართლისა შე-უპოვრათ გაისმა“.

„ტყემ მოისხა ფოთოლი,  
„აგერ მერცხალიც ჰქიყივის;  
„ბალში ვაზი ობოლი  
„მეტის ლხენითა სტირის.

„აყვავებულა მდელო,  
„აყვავებულა მთები,  
„მამულო საყვარელო,  
„შენ როდის აყვავდები“?ო

ეკითხებოდა ილია სამშობლოს უცხოეთიდან დაბრუნებული; და „მამულის აყვავებას“, „გაზაფხულის დაღვომას“ მან მტლად დაუდო თავისი ძლიერი მარჯვენა და მახვილი კალა-მი. ეს ზრუნვა „სამშობლოს აყვავების“, „ბორკილების დამ-ტვრევის“, არსებობა იმ „ციურ ხმათა“, რომელნიც ჩასა-ხოდენ პოეტს „კაცი გიყვარდესო“, წყურვილი, რომ მამულს როგორმე გამოვადგეთ, ეს სოციალურ—ზნეობრივი ელემენტი ახალი ხილი იყო ჩვენს ლიტერატურაში; მაგრამ ისეთი ელემენტი იყო იგი, რომლის საჭიროება აშკარად ჩვენს სპარსულ ლიტერატურის გავლენის ქვეშ მყოფს. მწერ-ლობას მე XIX საუკუნეშიაც ეტყობოდა. მამულიშვილობაზე საღმა შეხედულობამ და ზემოთ დასახელებულმა საზოგადოე-ბრივ-ეთიურმა ელემენტმა ახალი, ჯერეთ უცნობი, დაღი

დაასვა ჩვენს მწერლობას და ამ ჰანგების შემტანი ჩვენს მწერლობაში, ილია ჩვენი ლიტერატურის ახალი ხანის შემქმნელი გახდა. მწერლობა ცხოვრებას დაუხლოვდა, ჰსურდა ცხოვრების მკურნალად ქცეულიყო; უძმედო პესიმიზმა, კეთილ სურვილებზე დამყარებულმა, მაგრამ მტკიცე ნიადაგს მოკლებულმა რომანტიზმა და უდარდელმა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, განცხრომა და მხიარულების მოტრფიალე დარღიმანდურმა მიმართულებამ მე XIX საუკ. ჩვენი პოეზიის სამ ვარსკვლავთა; ადგილი დაუთმო. ახალ მიმართულებას ჩვენს ლიტერატურაში. მიმართულება, რომელსაც არღაზიანმა ალლო აუღო, ჩვენს მწერლობაში ილიამ განამტკიცა; ეს მიმართულება რეალისტური მიმართულება იყო. „ამ მოთხრობასთ, მიმართავს ილია მკითხველს „კაცია-ადამიანი“ს წინასიტყვაობაში, მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხდავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზე ურიგობა რამ გატყვია? ეს სარკე იყოს და მე, თუ გინდა, მთველი ვიქწები. დააკვირდი, იქნებ გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზე რომ ურიგობა ნახოს, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერტხვე“.

ან აი კიდევ რას ეუბნება ილია თავის კალამს:

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში? „რასაც ემსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,  
„ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში  
„ბოროტო საკლავად, — მათ სულთხომის სეირს ვუყუროთ.  
„თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა, —  
„რომ წმინდა არის განზრახვა. და სურვილი ჩვენი:  
„აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართვლის ბეღმა  
„დაე დაგვძრახონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიოთ დღენი.  
„ჩემზე ამბობენ: „ის სიავეს ქართვლისას ამბობს,

„ჩვენს ცუდს არ მალავს,—ეგ ხომ ცხადი სიძულვილია! „ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე გრძნობს „ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია“.

ამ ორი მაგალითიდანაცნათლად სჩანს, თუ რა ლიტერატურული მიმართულება განამტკიცა ილიამ ან როგორი იყო მისი აზრი. მწერლობაზე. „ქართველის ბედი“, ქართველი საზოგადოებრივობა—აი რა გაიხსადა მან ქერპად და რას დაუწეულ სამზადე შესრულებული მწერლობის საგნად შეუფერებელი ცხოვრება შეიქნა და ამაში ილიას ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღვის. ის პირველი იყო, რომელმაც ჩვენი მწერლობა ევროპის მწერლობის გზაზე დააუქნა. ამ მწერლის თხზულებებზე ორი თაობა აღიზარდა და ჯერაც მის შემდეგ მწერლებს მისგან გაყვლეულ გზისაგან არ გადაუხვევიათ. მაგრამ განა მარტო ლიტერატურის რეფორმატორი იყო ილია? განა მარტო ამ გზით ემსახურებოდა იგი სახალხო საქმეს, მარტო ამით მონაცადა მან მოქალაქის ვალი? არა, ყველა ჩვენ საზოგადო, სახალხო საქმეს ილიას მადლიინი მარჯვენა ატყვია და თუ დოსტოევსკი ამბობდა: „ჩვენ (რუსეთის მწერლები პუშკინის და გოგოლის სკოლის მიმდევრები) ყველა გოგოლის „შინელიდან“ გამოვედითო, მე XIX ს. მეორე ნახევრის თითქმის ყველა ჩვენს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს შეუძლია სთქვას: „ილიას დაწყებულ საქმეს ვემსახურებიო“.

ილია ჭავჭავაძემ რომ ჩვენს მწერლობაში ფეხი შემოსდგა, თავისი სამწერლო მრწამსი ასე გამოარკვია ლექს „პოეტში“:

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,  
„ვით ფრინველმა გარევანმა;  
„არა მარტო ტკბილ ხმათათვის.  
„გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

„მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის  
 „მიწაერი ზეციერსა;  
 „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,  
 „რომ წარუძღვე წინა ერსა.

„დიდის ღმერთის საკურთხევლის  
 „მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
 „რომ ერისა მოძმედ ვიყო  
 „ქმუნვასა და სიხარულში.

„ერის წყლული მიჩნდეს წყლულად,  
 „მეწოდეს მის ტანჯვით სული,  
 „მის ბედით და უბედობით  
 „დამედაგოს მტკიცე გული

„მაშინ ციდან ნაპერწკალი  
 „თუ აღმინთებს გულში ცეცხლსა,  
 „მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ,  
 „მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა“.

ეს ლექსი ილიას პოეტური მრწამსია და მისი მოქალაქეობრივ მოვალეობის შეგნების საუკეთესო გამომხატველია. პოეტი ღვიძლი შვილია ერისა, მას, როგორც უფრო მგრძნობიარე პიროვნებას, სხვაზე უკეთ უნდა ესმოდეს. ერის ტანჯვა—მწუხარება; და პოეტის უბირველესი მისწრაფება მოძმეთა კაეშნის შემსუბუქება უნდა იყოს. ზეგარდამო ჩანასახი ნიჭი მხოლოდ საშუალებაა ერის წინამძღვალად, წინასწარმეტყველად ქცევისათვის; პოეტის გული მოძმეთა ჭირით იწვის, მას არას დროს არ ავიწყვება, რომ მას „ერი ზრდის“ და ეს მოვალეობის გრძნობა მშობელის და აღმზრდელისადმი მუდამ თანა სდევს მას. პოეტის ცხოვრება მუდმივი ბრძოლაა

Да миси სიმღერაც მოძმეთა ტანჯვის ცრემლის მოსაწმენდი საშუალებაა. ლექსი „პოეტი“ ილიას საზოგადოებრივ მსოფლ მხედველობის კლიტე-გასაღებია. მართლაც, როცა ილია გო-ნებრივად და მორიალურად მომწიფდა, როცა პოეტი საზო-გადოებრივ საკითხებით დაინტერესდა, პუშკინის შეხედულო-ბა პოეტზე ახალგაზღობას არ აკაყოფილებდა.

პუშკინი ამბობდა:

„Не для житейского волненья,  
„Не для корысти, не для битвъ,  
„Мы рождены для вдохновенья,  
„Для звуковъ сладкихъ и молитвъ“.

ილიას და მის დროინდელ რუსთის ახალგაზღობის აზ-რით კი „ტკბილი ხმები“ მხოლოდ საშუალება იყო საზოგა-დოებრივ სამსახურისათვის. მაშინდელი ახალგაზღობა ლრმად იკეშმარიტებდა იმ აზრს, რომ:

„Не можетъ сынъ глядѣть спокойно,  
„На горе матери родной“.

ჩვენი პოეტიც ლრმად ინტერესდა გულში „მოქალაქეო-ბრივ კაეჭნის მგოსნის“ ნეკრასოვის სიტუაციას:

„Иди въ огонь за честь отчизны,  
„За убѣжденья, за любовь,  
„Иди и гибни безупречно,  
„Умрешь не даромъ.  
„Будь гражданиномъ, служа искусству,  
„Для блага ближняго живи,  
„Свой гений подчиняя чувству  
„Всеобнимающей любви“.

ასეთი ატმოსფერა ეხვია გარს პოეტს და ამ რიგად გა-მოსთქვა მან თავის აზრი პოეტის დანიშნულებაზე. ახალგა-

ზღურის ალფროვანებით, საუკეთესო იდეალებით მოქმედი ბოლო ის სამშობლოსკენ; ენერგიით საფსე მოიწყევდა იგი სამუშაოდ და მისი სადარდელი მხოლოდ ის იყო:

„როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას, ან როგორ შემცირება მე იგი. რას ვეტყვი მე მას ახალს და ან რას მეტყვის ის მე. მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის ამბავი და მე კი, მის ენის გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ქნა, მისი სიტყვა“.

საბედნიეროდ პოეტის შიში უსაფუძვლო გამოდგა: მისმა ორმოცდა ათი წლის მოღვაწეობამ ნათლად გვაჩვენა, რომ მას თავის ქვეყნის ვარამი ყველაზე კარგად ესმოდა. ლექსს „პოეტზე“ ამდევ ხანს იმიტომ გავჩერდი, რომ აქ მგოსანი თვითონ არკვევს დამოკიდებულებას პირად ნიჭისა და საზოგადოებრივ მოვალეობის შორის და ზაზს უსვამს პოეზიის უდიდეს ჰანგს საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივს. მოძმეთათვის ტანჯვის ცრემლის მოწმენდა—ი რა დაისახა მან მიზნად.

უდიდესი სენი, რომელიც ამ დროს ჩვენში მძვინვარებდა და პოეტის მოძმეთ მართლაც ტანჯვის ცრემლს ადენდა, ბატონ-ყმობა იყო და რა თქმა უნდა, რომ ილია, რომელმაც სიტყვა დასდო „წმინდა სიტყვა უშიშრად მოპფინოს ხალხში ბოროტთ საკლავად“, ამ ბოროტების დაუძინებელი მტერი შეიქნა. და სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რომ არც ერთი სხვა ჩვენი მწერლის ნაწარმოებში ბატონ-ყმობა ისე მკვეთრად არ არის გაყიცხული და უარყოფილი სამართლიანობის და განვითარების მოსაზრებით ისე, როგორც ილიას მხატვრულ ნაწერებში. ეს ნაწერები არასოდეს არ დაკარგავს ისტორიულ მნიშვნელობას და საუკეთესო ნიმუში იქნება ჩვენში არსებულ წოდებრივ უფანასწორობის გასათვალისწინებლად.

ჩვენი ლიტერატურის მკვლევარი ან ისტორიკოსი ვერა-სოდეს ვერ აუვლის გვერდს ისეთ ნათელ პიროვნებას, როგორიც დანიელ ჭონქაძეა, და რომელიც ბატონ-ყმობის საზარელი

სურათის დახატვაში ილიას ღირსეულ წინამორბედად ითვლება; მისმა ნათელმა, კაცთ-მოყვარულმა აზრებმა პირველი გაანათა ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ფურცლები. ვერ დაივიწყებს მას ჩვენი ლიტერატურის და საზოგადოებრივ აზრის მკვლევარი, როგორც არ დაუვიწყია რუსეთს რაღიშევი, რომელმაც რუსულ მწერლობაში პირველმა დაპგმო ბატონ-ყმობა თავის შესანიშნავ „მოგზაურობაში“. მაგრამ, ვიმეორებ, ყველაზე ძლიერად დაჩაგრულ წოდებას ჩვენში ილია ჭავჭავაძე გამოქომაგება; ეს გამოქომაგება არ იყო მხოლოდ პლატონიური სურვილი და ან მხოლოდ სიავის გრძნობა: ეს იყო მედგარი ხმა სამართლიანობის და კულტურულ წინსვლის დასაცავად. ეს გამოქომაგება გამოწვეული იყო მშრომელი მოძმის ღრმა სიყვარულით, მიზანი კი მისი — პროტესტი იყო ბატონ-ყმობისადმი. გუთნის დედა, ლაბასთან ერთ ბედში მყოფი, რომელიც გულში იკლავს ნაღველს და ბრაზს, რადგან „რათ უნდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დაუჩილუნგდება“, აი ეს გუთნის დედა და მრავალი ამისთანები შეყვარებია მგოსანს და მათ დასაცავად ზოუმართავს თავის მახვილი კალამი. ყველა ეს გრძნობები ისეთი გასაგები და მკვეთრი ფორმით იყო გამოთქმული, როგორიც ნიკოლაძე ამბობს, რომ ისინი საზოგადოების გრძნობებამდის გზას იკაფავდენ და იქ თავის დაღსა სტოვებდენ. ეს გრძნობები, ეს შეხედულებანი ფეხს იკიდებდნენ ჩვენს საზოგადოებაში და ბრმა უნდა იყოს ადამიანი, რომ ჩვენს საზოგადოებრივ აზრის განვითარებაში ამათი დიდი გავლენა ვერ შეიძნიოს. თუ რამდენად საჭირო და დროული იყო ილიას მედგარი გამოძახილი, მშვენიერად დაგვიხატა ჩვენშა პოეტმა თ. რაზიკაშვილმა ერთს თავის საინტერესო ლექსში, რომელიც პოეტმა ილიას ხსოვნას უძღვნა:

„იმ შავ-ბნელ დროს საქართველოს  
„აყრუებდა ბორკილთ ულერა.“

„ბաტონ-ყმობის მძიმე ტვირთი  
„აწვა ბედკრულთ როგორც ქერა.

„ვით ოდესმე კლდეზე მიბმულს  
„გულს უჭამდა ამირანსა,  
„ისე მაშინ აწამებდენ,  
„საქართველოს მშრომელ ხალხსა.

„შიწა კვნესდა გლეხის ცოდვით,  
„თვით უსულო მოლბა ქვაცა,  
„მაგრამ ბატონს არ ესმოდა,  
„დაევიწყნა ღმერთი, ცაცა.

„მაშინ აღსდგა დიდებული  
„ზეციერი აღმაფრენა,  
„ხელთ აიღო წმინდა ჩანგი,  
„დაპკრა სიმებს, ააუღერა.

„ზედ დაპკვნესა ლაბას ბედი  
„გუთნის ბედის გულის ძერა  
„მუშა კაცის მწარე ხვედრი,  
„საქართველოს ბედის წერა“.

პოეტმა მიზნად ბატონ-ყმობის ამ უსამართლობაზე აშენებდულ ინსტიტუტის კილვა-ძაგება და მთელის თავისის სიმშვენიერით მისი გამომზეურება დაისახა. საშუალება კი, ამ მიზნის მისაღწევად მგოსნის ხელში სხვა და სხვანაირია. ხელოვანი—მგოსანი ხან გულის სიღრმემდის მისაღწევ თანაგრძნობით გვიამბობს გუთნის დედის უმწეო მღვმარეობას,

ხან იმის სურათს გადაგვიშლის ხოლმე, თუ როგორ გამოუტვინებია და გამოუჩერჩეტებია გლეხი აუტანელ, მონობას.— მაგ. გლახა ჭრიაშვილი, მონავარლისა და დათო „კაცია ადამიანიდან“ გაუბინძურებია და პირუტყვის სახე მიუცია მათ-თვის, ან ფლიდ და გაიძევრა მელროვედ გარდაუქმნია. მგო-სანი გვაჩერენებს, თუ ბატონობას და ყოველ გვარი ქინის და-ქმაყოფილებას რა უზნეობამდის შეუძლიან მიიყვანოს კაცი, ბუნებით არც ავი და არც უზნეო, მაგ. დათიკო „გლახის ნაამბობიდან“. ან კიდევ მკვეთრ, მიწასთან გამასწორებელ დაცინებით შეიარაღებული პოეტი თვალშინ გვიშლის ფუფუ-ნებაში მყოფ მებატონის სურათს: ცოცხალი, მმოძრავ ადა-მიანის წილ მკვდარი, ლეში, მოქმედების მაგიერ მხოლოდ ჭამა და ძილი, ტვინის მაგიერ ქონი—აი მებატონე—ლუარ-საბი. ხშირად კიდევ მგოსანი აი რით იწვევდა მკითხველი სა-ზოგადოების თანაგრძნობას დაჩაგრულ და დაბეჩავებულ გლე-ხობისადმი: უკუნით მოცულ სამეფოდან მგოსანი გამოაშუ-ქებინებდა ნათელ, უმწიკვლო გლეხის შვილს, რომელშიაც მონობას კიდევ ვერ მოესპო პიროტესტის სული, და რომე-ლიც გრძნობითაც და გონებითაც გაცილებით უკეთესი ბე-დის ლირისი იყო. ასეთები არიან მისი გაბო და გიორგი, კა-კო და ზაქრო. ამათი ჩვენებით ილიას თითქოს უნდოდა ეთ-ქვა,—რომ ამ მძიმე ულლის ტარების დროსაც კი გლეხობას შეუძლია ასეთ პიროვნებათა წარმოშობა, მოაცილეთ კისრი-ლან მას ეგ სამარცხვინო ულელი და მაშინ ნახავთ, მომავა-ლი ვის ეკუთნისო. გლეხობა სალი და გაუხრმნელია, მას მხოლოდ მონობა და სიბნელე ახრჩობს, ჩამოაცილეთ მას სამარცხვინო ლაქა, „მიეცით ნიჭია გზა ფართო“ და მომა-ვალი მისიაო, თითქოს გვეუბნება ილია.

ლექს „მუშა“—ში ილიამ დაგვიხატა ის უმწეო მდგომა-რება, რომელსაც, სოფლიდან ქალაქში ლუკმა პურის საშო-ვრად ჩამოსული, გლეხი გამოივლის ხოლმე. ხშირად უნახავს მგოსანს მუშა—მეკურტნე გვალვიან დღეში კედელთან მწო-

ლი და პოეტის მგრძნობიარე გულს მის პირველ ხმაზედვე უგრძენია გლეხის უნუგეშო ბედი:

„ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,  
„ლუკმა პურისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება—“,

ეუბნება მუშას პოეტი. მას არ მოსწონს ქალაჭი, საღაც ფული ბატონობს, სინიდისის ხმა კი მიყუჩებულია, საღაც მშიერ მუშას ლუკმას უყოფენ, მდიდარს კი მეტსაც აძლევენ. როგორც სხვაგან, აქაც ილიას სიმპატია სოფლის მშრომელ გლეხის მხარეზეა და ის ნაღვლიანად ეკითხება მუშას:

„მოშორებიხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,  
„მინდორს, მამულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?  
„აქ რად მოსულხარ?.. რაც დაკარგე და რაც დასტოვე  
„მის მაგიერი ტფილისშია აბა რა პპოვე?!“

ოფლს ლერის მშრომელი, ტომრით ზურგზე ის ქალაჭის ქუჩაზე მოხვენეშის, მაგრამ მოსწვდება მას მდიდრის ეტლი და გადააყირავებს; აუტანელ ტკიფილთან ქუჩის დაცინვაც უნდა აიტანოს საბრალომ, მდიდარი კი ღირებულსაც არ აძლევს მას,—

„ნუ მიტებ ლუკმას, ეუბნები, ღმერთსაც შეხედე,  
„მე ეგე ლუკმა პირუტყვსავით ზიდვით ვიყიდე“,

გვაცნობს ილია მუშის მუდარას მდიდრისადმი, მაგრამ ულონოს აბა ვინ გაუგონებს, და ყოველ ნაირათ შეურაც-ყოფილი ბრუნდება ის უკან.

„შენს სიცოცხლესა დააღამებ ესრეთს შრომაში,  
„კაცი კაცურათ ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...  
„შერე ვინ იცის რომელ ქოში; რომელ სარდაფში  
„დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოთ მოსულსა სენსა“  
„მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოკვდები!“

„ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა,  
„ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები  
„ამაოთ მათკენ სიკვდილის უამს გაიწვდი ხელსა“.

ასეთ ბოლოს უქადის პოეტი მუშას, რომლის მწარე  
ხვედრს ნალვლით და კაეშნით მოუცავს მისი სული. დამა-  
ლონებელი და დამაფიქრებელია პოეტის მიერ დახატული  
სურათი, რომელიც მოწმობს ადამიანის კაცურ ღირსების  
დამცირებას, ფეხ ქვეშ გათელვას; ცოლ-შვილის ცრემლს  
მოკლებული, უცხოთა შორის კვდება საბრალო შშრომელი,  
რომელსაც შეიძლება ერთი საათი, სანატრელათ მოსაგონა-  
რი, მთელს ცხოვრებაში არ ჰქონოდეს; საზარელი ამბავის  
მოთხრობილი მდიდრისგან ღარიბის ჩაგვრის და დიდია მისი  
ღვაწლი, ვინც ეს ტანჯვა თვითონაც ცხოვლად იგრძნო და  
მკითხველ საზოგადოებასაც აგრძნობინა, ვინც ასე დაალონა  
შშრომლის ბედმა.

კაკო და ზაქრო, ორი უმთავრესი გმირი ილიას „სურა-  
თები ყაჩალის ცხოვრებიდან“, გამომხატველნი არიან პოე-  
ტის აზრის. კაკო გაჰქიცევია უსამართლობას, მას ვერ აუტა-  
ნია ბატონის მრისხანება, აულია ხელში თოფი და სამოქმე-  
დო ასპარეზად შარა-გზა გაუხდია. ისეთი ცხოვრება, სადაც  
ერთს მეორის გრძნობა არ ესმის და არც უნდა გაიგოს, სა-  
დაც „რაც ერთს უყვარდა ნახავს დაცემულს, ნამუს წართმე-  
ულს და შეგინებულს, ტყედ გაჰქირის გლეხს, რომელშიაც არ  
მომკვდარა აღამიანური თავ-მოყვარეობა და სამაგიეროს გა-  
დასახდელად იარალით ხელში ამხედრებს. განა ყაჩალად და-  
ბადებულან ან კაკო და ან ზაქრო? არა, ისინი გლეხის შვი-  
ლები არიან, გლეხურ თვლის საღვრელად გაჩენილნი და  
მხოლოდ აუტანელ უსამართლობას მოუცილებია ისინი გუ-  
თნისათვის. განა თვითონ კაკო არ ხედავს ყაჩალის ცხოვრე-  
ბის ნაკლს, როცა შემდეგი სიტყვებით აუწერს მას ზაქროს?

„უსაზღაურობა, შიში, შიშიშილი,  
„მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,

„ყურდლელსავით ფხიზელი ძილი, —  
 „და იარაღი დღე და ღამ ხელში, —  
 „მართალია ძმავ, კაცს მოსწყინდება  
 „ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი,  
 „მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,  
 „საღაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“.

ეს „ძუნწი ქვეყანა“ კი შევების სამეფოდ გადაქცეულა ზაქროსთვის, რომელიც კაკოსავით ერთი ბედისგან განამწარები, ყაჩაღის ცხოვრებაშივე ექცებს ნავთსაყუდელს. ის ნეტარებით მხოლოდ ბავშობას იგონებს, როცა მას არ ესმოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა. რაც კი ჭკუაში მოვიდა, შეიგნო უკულმართი ცხოვრების ზე, ის თავისუფლების მოტრფიალე შეიქნა, ისეთი ყოფნის მოსურნე, როცა არ არის ბატონი და ბრძანებელი. მისი შუქურ ვარსკვლავი არსენა შეიქნა, ის ხალხური გმირი — გლეხის შვილი არსენა, რომელიც გაექცა ბატონს და უსამართლობას, მაგრამ ღარიბ გლეხს არასოდეს არ იყიწყებდა. „მდიდარს ართმევ, ღარიბს აძლევ, ღმერთი როგორ წაგახდენსაო?“?! ეუბნება ხალხი არსენას და, მართლაც, მთელი ცხოვრება ამ შარავანდედით მოცულ ხალხის შვილის საესეა მაშვრალთ მოყვარულ მოქმედებით. არსენას ცხოვრება ხიბლავდა ზაქროს და, როცა გაიგო კაკოს არსებობა, რომლის ცხოვრება ბევრით წააგავდა არსენასას, მიეურნება მისევნ და აი რა სიტყვებით ესალმება ბედისგან განამწარები გლეხის შვილი ცნობილ ყაჩაღს.

„შენზე ამბობენ, რომ ხარ მამაცი,  
 „გამოქცევიხარ უსამართლობას,  
 „ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხ-კაცი,  
 „ბარაქალა მაგ გულ-კეთილობას...  
 „რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,  
 „ეგ ვერაფერი სიყვარულია,  
 „სიტყვა ის არის, რომ კაცს უყვარდეს,

„ვინც რომ ბედისგან დაჩაგრულია.  
 „მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,  
 „გლეხკაცი როგორც ძმა ყვარებია,  
 „გლეხ-კაცის ბედი, ჭირი და ლხენა  
 „შვილსავით კალთით უტარებია“.

ზაქრო აუწერს კაკოს თავის შინაურ ცხოვრების სურათს, მოხუცი მამის უმწეო მღვმარეობას, მის ვეღრებას ბატონისაღმი და ბატონისა და ყმის შორის არსებულ „მა-შვილურ“ დამოკიდებულებას. ფარდასა ხდის.

სასტიკი ბატონი ქანც-გამოლეულ მოხუცს შვილს არ ანებებს, თუმცა ყმა კულუხის, კოდის პურის და სხვა ბეგრისას ერთი ორად გადახდას ჰპირდება. ნაღვლიანად ასწერს ამ სურათს ზაქრო და დასძენს:

„ჩვენი წალილი ჩვენი იმედი  
 „ყოველთვის არის ძმაო საფრთხეში,  
 „გლეხ-კაცის და ყმის ლიტონი ბედი  
 „ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში“.

ზაქრო და კაკო უკვე მისულან იმ დასკვნამდის, რომ გლეხკაცის ბედი ვერ გასძლებს ბატონის ხელში, მაგრამ სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ასეთები მხოლოდ კვიმატი ვარსკვლავივით გამოჩნდებიან გლეხკაცობის წყვდიადით მოცულს ცაზე და ისინიც იძულებულნი არიან უსამართლობას გაექცენ, მგლური ცხოვრების ყოველივე სიმწარე აიტანონ, ოღონდ კი თვითონვე იყვნენ თავიანთ თავის ბატონი.

ბატონის და ზაქროს მამის საუბარმა იმდენად ცხარე ხასიათი მიიღო, რომ ბატონი ხელით შეეხო მოხუცს და როდესაც ბრაზ მოსულმა გლეხმა ხელი შეუბრუნა, ბატონმა იმ წუთსავე ბიჭებს დაუძახა და შვილის თვალწინ სამარის კარზე მისული მოხუცი გაწერებლინა. ამ საზარელ სურათს სიძლიერით ჩვენს ლიტერატურაში მხოლოდ ერთი სურათი თუ შეეღრება, — დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხიდან“, ბატონი

რომ დედასა და შვილს კევრში გააბამს და ძნას ალეშინებს. მართლაც რა უნდა იყოს იმაზე მეტი ზნეობრივი შეურაც-ყოფა, რაც არის მშრომელი, პატიოსან, გალახვას შეუჩვეველ გლეხისთვის წკეპლა. მოხუცი, რომელსაც მხოლოდ ეს ერთი ნათელი ხსოვნა-ლა მიჰყვება სამარეში, რომ წამებული ცხოვრება სხვისგან უცემრად გაუტარებია, და ღონით სავსე შვილის წინ წამოაქციეს და წკეპლა დაარტყეს; არ მოუთმინა გულმა მამის მოყვარულ შვილს, რომელმაც იცის, თუ რა შეურაცყოფა ეს მამისთვის, ვერ აიტანა მან ამ სურათის ცქენა და იქვე ანგარიში გაუსწორა „თავის თავის და სხვის წამ-წყმედელ ბატონს“.

აქ სწყდება კავშირი ზაქროსა და სოფელს შორის; მას იქ არც ედგომება და არც უნდა დადგეს: მონობის სი-ძულვილმა და თავისუფლების სურვილმა პატიოსანი მშრომელი სოფლიდან შარა-გზისა და ტყე-ლრისაკენ გაისტუმრა. ის გაეშურება მასავით ობოლ, მასავით ბედისგან განამწარებ კაკოსაკენ და თან მიაქცის ლრმა სიყვარული გლეხკაცობისად-მი; ვერ იტანა წვალება და მზად არის სამაგიერო გადაუხა-დოს იმათ, ვინც ის სწორისა და მეგობარს მოაცილა. იჯაძე დავწლიც ამ შემთხვევაში სწორედ იმაშია, რომ მან სრული სურათი დაგვისატა საზარელ სანის დაშასიათებელი, როცა ბატონის ალვირ წახსნილი თვითნებობა გლეხის მხრით არა-ვითარ წინაღმდეგობას არ ხვდებოდა, როცა უსამართლობას სავსებით. ჩაეკლა სინდისის და სამართლიანობის ხმა; და თუ, ათასში ერთხელ, გაბოროტებული გლეხის შვილი იგრძნობდა და შეიგნებდა უსამართლობას, ისიც იძულებული იყო გასცლოდა სოფელს და გლეხობის უფერული ცხოვრება კი კიდევ უფრო უფერულდებოდა.

„გლახის ნამბობი“ იმავე ღრიოს და წოდებათა იმგვა-რივე ურთიერთობის გამომხატველი მოთხოვაა, როგორც „სურათები ყაჩაღის ცხოვრებიდან“. აქაც იგივე უსამართ-ლობის სურათია მწერლისგან დახატული და მწერალი ჩვეუ-

ლებრივის გამედულებით ფარდას ხდის ამ უსამართლობას. აქ კიდევ უფრო შეტად გაუშლია ფრთა უზნეობას, კიდევ უფრო აშკარა ხდება, რომ „რაც ერთს უყვარდა ნახავს დაცემულს, ნამს წართმეულს და შეგინებულს“. აქ პოეტის სიმპატია უფრო გადახრილა გლეხისაკენ და როგორც ბ. ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, გლეხობით გატაცებული მგლანი გლეხობის აწერილობაში სიმართლეს ცოტად კიდევ სცოდავს, მაგრამ იმავე ნ. ნიკოლაძის აზრით იო რა მხარეები ახასიათებს ამ შესანიშნავ ნაწარმოებს და მის უკვდავ ავტორს:

„პატიოსანი თანაგრძნობა ყოველისადმი, რაც ჩვენს უხეირო ცხოვრებას დაუჩაგრავს, ან ობლად დაუტოვებია, მაღალი მისწრაფებას ყველაფრისადმი, რაც საზოგადოებას ამაღლებს, რაც ხალხს აბედნიერებს და მამულს სარგებლობას აძლევს, ან უკეთეს მომავალს უმზადებს,—იი რა ცეცხლი ულვივის გულში ი. ჭავჭავაძეს; მისი ყოველი სიტყვა მკითხველის გულში ისაბუღრებს და ნეტავი იმ მწერალს, რომლის შრომას ამნაირი გავლენა აქვსო“.

ამ მოთხრობის ერთი უმთავრესი გმირი, ბატონის შვილი დათიკო იმდენად დამთავრებული ტიპია, მისი სულიერი სახე იმდენათ დაკავშირებულია აღზრდასთან, წრესთან, მამაკაპათა გონიერივ და ზნეობრივ ავლადიდებასთან, რომ მან ჩვენს მწერლობაში, როგორც სამართლიანად აღნიშნული აქვს ბ. კიტა აბაშიძეს, მთელი გალერეია შექმნა ამგვარივე ტიპების. გ. წერეთლის ერემია წარჩა და მელანიას კნიაზ შაქრო, ნინოშვილის ტარიელ მკლავაძე და ტიტიკო, განა ყველა ამათ არ აერთებს თავშეუკავებელი ჯიუტობა, უსინდისობის წინაშეც კი უკან დაუხეველო რაღაც კერპობა, უზნეობა, გარყვნილობა, უმიზნო და უაზრო დროს ტარება, უძღვრისა ფეხით გასრესა, ყოველ-გვარ ზნეობრივ კანონის უარყოფა, მაგრამ ამასთან ბუნებრივ გულკეთილობა, სანამ ეს გულკეთილობა მათ პირად სიამოვნებას არას უშლის? ამ მხარეებით ისინი ერთი მეორეს წააგვანან და და-

თიკოს ერთგვარ ვარიაციას წარმოადგენენ. უზნეობის დაღი  
მათთვის წრესა და უხეირო აღზრდას დაუსვამს; უმიზნო,  
უშინაარსო ცხოვრებამ, ფუქსავატმა, უსაქმო წრემ, ხმის  
ამოულებლივ ბავშის ყოველგვარ ჯიუტობის ასრულებამ,  
უზნეობის და უხასიათობის ბეჭედი დასვა მათ. „დათიკო“ო,  
ეუბნება მონადირეს სიკვდილის კარზე მისული გლახა, „ერთი  
ამაყი, თვითრჯული ბავში იყო, რასაც იტყოდა, მოკვდებო-  
და და თავის ქეითზე კი გაივლიდათ“. ცხადია, თუ რანა-  
რად უფუქებს ხასიათს ბავშს ყოველი მისი ჯიუტობის ას-  
რულება, როგორ ათვითნებებს მას ყოველგვარი სურვილის  
დაკმაყოფილება. უხეირო აღზრდამ და წრემ წარმოშვა ის  
დათიკო, რომელმაც გაბროც დალუპა და თავის თავიც დაი-  
ლუპა. ამ ყმაწვილთან გაატარა გაბრომ თავის საუკეთესო  
დრო, ამაზე გადაიტანა მან მშობლიური სიყვარული, მზად  
იყო დათიკოსთვის თავი გაეწირა; ვითომ დათიკოსაც უყვარ-  
და იგი, მართლაც არ შეიძლებოდა არ ჰყვარებოდა ბავშო-  
ბიდან თან შეზრდილი ერთგული გაბრო, მაგრამ ეს მხოლოდ  
მანამდის, სანამ ეს სიყვარული მსხვერპლს არ მოითხოვდა  
მის პირად სიამოვნებისაგან; და როცა დათიკოში ქვენა ინ-  
სტიკტმა გაიღვიძა, მან საყვარელი არსებაც კი არ დაუტო-  
ვა გაბროს ნამუს აუხდელი და პატიოსან, მშრომელ ადამია-  
ნად გაჩენილს გლეხს თავზე ხელი აალებინა. ქალაქში ყო-  
ფნის დროს გაბრო ეცნობა მღვდელს, რომლის ჰუმანურმა  
მოპყრობამ და მადლიანმა სიტყვამ სიკვდილამდის წაუშლე-  
ლი ბეჭედი დაასვა გაბროს პიროვნებას. ეს მღვდელი, რო-  
მელსაც სამწუხაროთ ძალიან ნაკლებად წააგავდა ჩვენი სუ-  
ლიერი მამები, რაღაც მიუწდომელი ნათელი პიროვნებაა,  
რომელსაც ყოველივე პირადი მოძმეთათვის უნაცვალებია,  
ცოცხალი მაგალითია ქრისტეს მცნების მატარებელი, მოძმე-  
თათვის თავდადებული, მათი გზის გამკაფავი, გამამხნევებელი,  
კეთილი გრძნობის გამლვიძებელი. ასეთი ბრწყინვალე მოძ-  
ლვარი ძვირია ჩვენს ბედშავ ცხოვრებაში და ისიც ვით ობო-

ლი მარგალიტი, რაღაც შარავანდედით გაბრწყინვებული ანათებს ჩვენს ლიტერატურაში. მან აუხილა თვალი გაბროს, და ბევრს გაბროსთანას, და ეს თვალ ახილულობა თან სდევ-და გაბროს შემდეგ მის განაწამებ ცხოვრებაში. სოფელში დაბრუნებულ გაბროს მეზობელი გლეხის, პეტრეს, ქალი შეუყვარდა, და მის ბედნიერებას ხელის შემშლელი არავინ ყავდა, თუ თვითნება და თავის სურვილების მონა დათიკოს თავისთვის არ მოენდომებია ქალი თავის უზნეო წალილის დასაკმაყოფილებელად, — ნამუსის ასახდელად.

არ გაუმართდა გაბროს იმედი: მაზე მეტად საყვარელმა ბატონმაც კი არ დაინდო იგი, არ შეისმინა მისი ველრება-მუდარა და წუთიერ სიამოვნებას ერთგული, თანშეზრდილი ყმის მთელი ბედნიერება ანაცვალა. მართლაც რომ ამ ორ სხვა და სხვა წრის შვილს ერთი მეორის გრძნობები არ ესმოდათ. ბატონის წალილი კანონი იყო და მის წინაშე ყველას ქედი უნდა მოეხარა, თუნდ ეს ერთგული და საყვარელი გაბრო ყოფილიყო. საბრალოს, ვინც შერმადინობას ცდილობდა, მას შესაფერი აეთანდილი არ ბატონობდა! და თიკომ გაბრო და პეტრე თავიდან მოიცილა და ციმბირისკენ გაისტუმრა; ხელის შემშლელნი რაკი მოიცილა, თავის სურვილი აისრულა და ქალს ნამუსი ახალა; ნამუს-ახდილი, თავისიანებს მოწყვეტილი ქალი აიძულა საროსკიპოდ წასულიყო. ქვეყანაზე ობლად მოარულ გაბროს მხოლოდ ორი სიყვარელი არსება ჰყავდა: დათიკო და თამრო. დათიკომ თამროს ნამუსი ახალა და აით გასწყვიტა გაბროს გულში ის ძარღვი, რომელიც გაბროს ბატონთან აკავშირებდა. ვერ იხსნა გაბრო მღვდლისგან ჩაგონებულმა კეთილმა სიტყვამ, ქრისტეს მცნებამ: სასოწარკვეთილს და შეურაცყოფილს ერთი შურის ძიება და დარჩენოდა და კიდევ აისრულა საწადელი. ყაჩალად გავარღნილი გაბრო ტყეში შეხვდა განებივრებულს დათიკოს და გულზეიადი მებატონე ძალივით ჩაჰკლა. თვითონ კი უცხო მხარეში გადავარდნილმა,

და დაგლახაკებულმა, უზიარებლივ დალია სული. ასეთია ეს მო-  
თხრობა, რომელიც იმის მაჩვენებელია, თუ მებატონის თავ-  
გასულობა სანამდის აღწევდა, რომ ამ შავს დროს ყმის გრძნობა  
აბუჩად იყო აგდებული, როცა ბატონის უზნეობას საზღვარი  
არ ჰქონდა და ყმის სულიერ შეურაცყოფას კაცი ანგარიშს  
არ უწევდა. ადამიანის ლირსებას რომ ფასი დაეკარგება, რო-  
ცა მის წმინდათა წმინდას ტალახში სათრევად გახდიან, რო-  
ცა ძლიერნი ბნელსა და უკუნში ამყოფებენ უძლურთ, მა-  
შინ სამართლიანობას ძლიერი მოსარჩევ უნდა. როცა პირა-  
დი სიამოვნება და უზნეო, უშინაარსო დროს ტარება მთე-  
ლი წილდების ან კლასის ცხოვრების შინაარსია, როცა არც  
ძლიერი, არც უძლური არავითარ კულტურულ-საზოგადო-  
ებრივ ლირებულებას არ წარმოადგენს, მაშინ კულტურულ  
წინსვლას თუ ძლიერი დამცველი არ გამოუჩნდა, ეს წინ-  
სვლა შეჩერდება და საზოგადოებრივ აზრის განვითარება  
ერთს წერტილზე გაიყინება. ორივე ეს დანიშნულება იღია ჭავ-  
ჭავაძემ ჰითნათლად შეასრულა: ყმებიცა და ბატონებიც უვი-  
ცობის და უზნეობის მორევში ტივტივებდნენ, უსამართლო-  
ბას და უზნეობას ფრთა გაეშალათ, საზოგადოებრივ სინდი-  
სის ხმა მიყუჩებულიყო და უძლიერესი ხმა, რომელმაც სა-  
ზოგადოება შეანძრია, ილია ჭავჭავაძეს ხმა იყო. მარტო  
გაბრო კი არ იღუპებოდა უსამართლობისგან, მარტო და-  
თიკო კი არ წარმოადგენდა საზოგადოების ჩირქასა და ხორც-  
მეტს, არამედ მთელი საზოგადოება ადგა გახრწნის გზას და  
მას ძლიერი გამკურნავი საშუალება ესაკიროებოდა. იღია მაც  
სწორეთ ეს საშინელი მდგრადი ამთაღდ შიზანში და რასაც  
შეკრედი და ბასრი ხმადი გერ იზამდა, ის თავის შადლიან კა-  
ლამს შეაძლებინა.

„კაცია-ადამიანი“ ილია ჭავჭავაძის ყოველი შხრით და-  
თავრებული მოთხრობაა. პირველ თვალის გადავლებაზედვე  
თვალში გეცემა მწერლის განსხვავებული კილო. აქ, ამ  
ნაწარმოებში სჩანს, თომ ჰაეტის ნიჭმა სატარიული ხასია-

თი შიდა და საშინელი შეუბრალებლობით გაშოლტა ის ატმოსფერა, რომელიც ლუარსაბ თათქარიძისებურ პიროვნებებს ჰქონდს. ილიამ სავსებით გამოიჩინა თავის სატირიული ნიკი, და როცა ის თავის შთაბეჭდილებას გვაცნობს, შეუბრალებლად დასკინის და აძაგებს ჩვენს უკუღმართ ცხოვრებას. ამ მოთხერობის მეორე საყურადღებო თვისება ის არის, რაც, თუ არ ეს ცდები, ამ ხუთი-ექვები წლის წინეთ ბ. კიტა აბა-შიძემ აღნიშნა: ლუარსაბ თათქარიძე წარმომადგენელია არა ერთი რომელიმე წოდებისა, ის მატარებელია არა მარტო ფუფუნებასა და ბატონობას შეჩვეულ წოდებისა, არამედ ჩვენი ეროვნული სიზარმაცის და დაუდევრობის მაჩვენებელიც არის. მართლაც რომ დაკვირდე ქართველს დარწმუნდებით, რომ ზოგი თავის თვისებით წოდებისა და განურჩევლად, მას დაუჯილდოებია ლუარსაბი. და ამ შესანიშნავ ნაწარმოების, სხვა მხარეს რომ თავი დავანებოთ მარტო ამ მხრითაც კი, ის არასდროს მნიშვნელობას არ დაკარგავს. მაგრამ მე ნაწარმოების ამ მხარეზე სიტყვას არ გავაგრძელებ, მხოლოდ შევეცდები ამ ნაწარმოების მეოხებრო ბატონ-უმობის დროის ჩვენი მებატონების ზნეობრივ და გონებრივ ავლადიდების განხილვას, და რაც უფრო საჭიროა ჩემი მოხსენებისათვის, იმის ხაზის გასმას, თუ როგორ მიუახლოვდა ილია ამ ნაწარმოების შემწეობით თავის ერთს უმთავრეს მიზანს, დაჩაგრულ, დამონებულ წოდების გამოქმადებას და მთელი ერის დამავალებელ წესწყობილების კილვა-ძაგებას.

ჭავჭავაძე, როგორც საზოგადოდ მეტად დაკვირვებული და კერძოდ ჩვენი ცხოვრების კარგი მცოდნე, მშვენიერად ხედავდა, რომ ყოველგვარი მონობა და კერძოდ ბატონყმობა რყენის არა მარტო დაჩაგრულ ელემენტს, არა შედ მჩაგვრელსაც, გან იცოდა, რომ ბატონყმობა ორპირი იარაღია, რომელიც ყმებს აძაბუნებს, სულით სცემს, მონობას აჩვევს და სულს პროტესტისას მათში კლავს, ბა-

ტონებს კი ანებივრებს, ფუფუნებას აჩვევს და ამით აძლევბს შრომას, უკარგავს მათ თვითმოქმედებას, ინიციატივას და ხა-სიათის სიმტკიცეს.

ბატონყმობა— აი ჩაა მიზეზი, რომ ლუარსაბს და დარე-ჯანს აღიმანობის ნიშან-წყალი უაუკარგავი! ლუარსაბი დარწმუნებულია, რომ მას სუკი, თაროთ და კახური გამოუ-ლეველად გქნება, ის მიჩვევულია სხვისი შრომით მუქთად ცხოვრებას და ამ გვარ პირობებში აღზრდილ მებატონებს ვერ წარმოუდგენია, რომ მებატონებაც კი შექმურის მუშაობა. სიზარმაცე და მუქთა ხორაობა, თაოქარიძეების ორი უდიდესი სენი, სხვა ცუდ ზე ესა და ჩვეულებას ბადებს.

„საღილობამდის ძილი, მერე საღილი, საღილს შემდეგ ისევ ძილი, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი და ბოლოს ისევ სატრუიალო ძილი—ასე ტკბილად და აუმღვრვლით მიღიო-და ამ ორ უმანკო არსებათა უბოროტო ცხოვრება“, და-ცინვით მოგვითხრ ობს ილია და ამით მთელს მათ ცხოვრებას გვაცნობს. ჩვენ თვალწინ დგანან ლუარსაბი და დარეჯანი, რომელთაც ღვთის სახეც და მზგავსებაც დაუკარგავთ, რომელ-ნიც მთელს დროს სმა, ჭამას, ძილა და ჭერში ბუზების თვლას ანდობებენ.

ერთი შეხედეთ, რა ქაქანით და საქმიანობით ეძლევა ეს ორი ხორცმეტი საღილ-ვახშმის თაღარიგს, დავობენ იმის შესა-ხებ ჩიხირამა სჯობია, თუ ბოზბაში! ჭამა-სმაზე ფიქრი და ძილი—ესაა მათი საფიქროებელი საგანი.

თავადიშვილისათვის შრომა იმათ დიდ სამარცხვინო საქმედ მიაჩინია; შრომა მხოლოდ გლეხების საქმე ჰგონიათ. გაიგეს, რომ თავადიშვილს ლევანს ქირაზე ურეში დაჰყავს და იმ ამ-ბის გაგებამ ერთი აურ-ზაური გამოიწვია თაოქარიძეებში.

„შეირი რომ მოვცდე, მე მაგას არ ვიზამო“, იკვეხის ლუარ-საბა. საბრალოს ჰელია, რომ თუ საქმეს ხელი მოჰკიდა, ამით მის ბრწყინვალებას ბევრი რამ მოაკლდება. რით განსხვავდება მარცა-და-მაინც პირულყვესაგან ეს ორი არსება, რომელთაც ხასიათის სიმტკიცის მაგიერ რაღაც ბრუყვული თავმოყვარეობა განვითარიშიათ. ყმებს ისწინ თავის სრულ საკუთრებად უსულო საგნებად წიგლიან. წინანდელი დრო ბედნიერ დროდ მხოლოდ იმეტომ მიაწინიათ. რომ რაც მაშინ ბატონის სასახლეში საზი-ზორაობა და უსინდისობა ხდებოდა, ყავვლივე იფარებოდა; აწყვი არ მოსწონთ, რადგან ეს საზიზლობა ხშირად მხეუ-

რდება. აი მათი შეხედულობა და მათი უნარი აწმყოს და-  
ფასებრისა! არც ერთი ჰუმანური გრძნობა, არც ერთი სალი  
აზრი, აღამანის ტვინის ვარჯიშობის ნაყოფი, მათ არ მოექებ-  
ნებათ; არც ერთი ნათელი სხივი ამ ბნელეთის სამეფოში  
არ ანათებს. ლუარსაბმა სრულიად ირ იცის კითხვა, დარეჯა-  
ნი კი კითხულობს, მავრამ მისი ერთად ერთი საკითხავი წი-  
გნი—კარაბადინია. „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა  
ქვიან... მე, ვიცი, შიმშილით კუჭი მიღნება, დიალ, მიღნება!  
ზედაც ემჩნევა ჩემს სტომაქსო“, ყყუოჩობს ლუარსაბი. ამ  
გონებრივ სილატაკემდის მისულს ადამიანს ჰეონია, რომ სწა-  
ვლა-განათლება მხოლოდ კუჭის გასაძლომი საშუალებაა,  
და რადგანაც მას კუჭი უიმისოდაც მაძღარი აქვს, განათლე-  
ბა სრულიად არ ესაჭიროება. თუ რა ბნელეთში იმყოფე-  
ბიან თაქარიძეები ამას ის ცრუმორწმუნოებაც გვიჩვენებს,  
რომელიც მათ ძვალია და რბილში გასჯდომიათ: ლუარსაბმა  
სამი კენჭი ჩაყლაპა პირველად ქალაქში ჩასვლაზე; დარწმუ-  
ნებული არიან, რომ შეუძლებელია გლოხთა განთავისუფა-  
ბა, მხოლოდ იმიტომ, რომ ასე უთქვაშს გარეჯელ მყითხავს.  
იხრჩობა ეს ორი ცოცხალი ლეში უვიცობის მორევში, მა-  
გრამ თავის განდიდების მანიოთ იმდენათ არიან შეპყრობილ-  
ნი, რომ თავის ბადლად მთელს საქართველოში არიას  
სთვლიან. ლუარსაბს თავის თავი შეუდარებელი ჰეონია, რა-  
დგან კახურს ხარივით სვამს; „ვერაცვალე კახურს, ამბობს  
იგი, ის რომ არა, ჩემს განთქმულს სახელს ვინ მოიხსენებდათ“.

რომ აკვირდები კაცი ამათ ცხოვრებას და ამჩნევ,  
რა უნიჭობას და უვიცობას იჩენენ ისინი ცხოვრების სხვა  
და სხვა მოვლენათა ახსნა-განმარტებაში და ოჯახურ საქ-  
მეების გაძლოლაში, თავს ეკითხები: ნუ თუ ისინი ასე უნი-  
ჭონი გაჩდენ ქვეყანაზე? არა, ასე ღმერთი როგორ მოიძუ-  
ლებდა თავის გაჩენილ ადამიანს, მაგრამ უხეირო აღზრდამ და  
ფუფუნებით უმოქმედოდ ცხოვრებამ ჩაჰკლა მათში ყოველივე  
თანდაყოლილი ნიჭი და პრაკტიკული მოსაზრება, დაუკარგა  
მათ შოქმედების სურვილი და ხასიათის სიმტკიცე. ესაა მიზე-  
ზი, რომ ყოველ მათ მოქმედებაში მათი კეთილშეძენილი  
ფრენიობა გამოსცვივის; ბუნების ავტომატებად გადაქცეუ-  
ლან, ცოცხალ ლეშებად, ან ილიას მოსწრებული დახასია-  
თება რომ ვისმართ, ისინი არიან: „არც გიუი, არც ჭივიანი,  
არც ფლავი, არც ჩლავი“.

ეს მყუდრო ოჯახი სავსებით მოკლებულია თავოსნობას, თავისუფალ მოქმედებას. ისინი უზომოდ კმაყოფილნი არიან თავის ბედის და უკულმართობის გამასწორებელ ბრძოლის, მოქმედების სურვილს მათში დიოგენის ფარნითაც ვერ იპოვი. სამწუხარო და თან სასაცილოა მოთხოვის იმის, თუ როგორ შემოატყუილეს ცოლად ლუარსაბს საზამთროსავით ჩამრგვალებული, უშნო დარეჯანი! თუ ასეთი უსინიდისო თაღლითობა და შეურაცყოფა კაცს არ გაამწარებს და სამოქმედოდ ხელს არ გამოაღებინებს, მისი საშველი ამ ქვეყნად არა არის რა. ყველაფრის ამტანმა ლუარსაბმა კი ეს შეურაცყოფაც აიტანა და „შეიჩრგო ვითა კანური“. ყველაფრით დაკმაყოფილებას მიწვეულ ლუარსაბს კმაყოფილება დიდ ბეჭნიერებად მიაჩნია, ის კი არ იცის, რომ ამაზე ცუდი სენი ძალიან ცოტაა ქვეყნაზე, რადგან ასეთი კმაყოფილება უარს ჭყოფს საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლას, უამისოთ კი მართლაც კაცია ადამიანი?!

შური, მტრობა და ძმებს შორის დავა—ეს ჩვენი ისტორიული სენი, არც ლუარსაბს აკლია. ცეცხლი ეკიდება ლუარსაბს, როცა გაიხსენებს, რომ მისი უშვილობის გამო მემკვიდრეობა დავითს, მის უფროსს ძმას უნდა დარჩეს. უნდა როგორმე უმტროს, შური იძიოს წინდაწინვე და უნდა უყუროთ, რა ამბოთ აბეზლებს ის დავითს სიზმარში ღმერთთან. გულლვარძლიანიც კი ყოფილა ეს მჩვარი ადამიანი.

სხვა სიკეთესთან ერთად რაღაც ბრიყვული ეგოიზმიც ამკობს ლუარსაბს. ხედავს ლუარსაბი ძილში, რომ ის მოკვდა და დარეჯანმა დამარხული ქმარი სამარეში მარტო მიატოვა და შინ დაბრუნდა. ჩვეულებრივ ტვინის და გრძნობის ადამიანისთვის აქ არა ჩვეულებრივი და საწყენი არა არის რა. მაგრამ ლუარსაბი რის ლუარსაბი იქნება აქაც თუ არ გაგვაკვირვა თავის საქციელით: ის ცხადში ესაყველურება დარეჯანს, რატომ სამარეში მარტო მიმატოვე და მიწაში არ ჩამყევიო.

გულადობა, გამბედაობა, წინაპართა ეს სამაყო თვისებებიც კი დაუკარგავს ლუარსაბს. სასაცილოა, რანაირად იკაკვება ის, როცა მკითხავი ეტყვის მას, ეზოში დაგდებული ძონები მოჯადოებულია. თვითონ ოთაში იმალება და დარეჯანს ეხვეწება, ბიჭებს დაუძახე და დაწვევინეო.

ასეთი იყო მებატონეების ცხოვრების სურათი, რომელიც ილიამ წარმოგვიდგინა თავის უკვდავ „კაცია-აღმიანში“.

ეს შუქთა შრომაზე დამყარებული ცხოვრება იყო, რომ მიზანში ამოილო ილიამ და თავისი მკვეთრი სატირა სწორედ ამ მხრისაკენ მომართა. ილია კარგად უდიდესა, თუ რა საზოგადოებრივი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა ამ სატირულ მოთხოვნას; იცოდა რომ მისი შემოქმედების პანგი ისევ ის იყო, რაც წინეთ, თუმცა ფორმა, საშუალება შესცვალა. ის აქაც საზოგადოებრივ-მოქალაქეობრივ ვალს იხდიდა. უნუგეშო მდგომარეობაზე მითითება საუკეთესო საშუალებაა მოყვრი-სთვის თვალის ასახილველად. სწორედ ის ჰქონდა აზრიად ილია ასაც როცა ამბობდა: „მე თუ შენ მიუვარსარ, შეითხვეჭთ, მის-თვის მიუვარსარ, რომ იმედი ჩაქეს, ეგ განიწითების ჩიჩანი შენი დღეს არა, ხეად გააიღებუას. მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ შენ-თვის დაშენახებ. ნა შენი ცუდი, შენი აფი, რომ გცოდნოდა, რა ბაგესწირებინა“.

გლეხის შრომით მუქთად ცხოვრება, სიზარმაცე, მხო-ლოდ სმა-ჭმაზე და ძილზე ფიქრი, ცწავლა განათლების სი-ძულვილი, ცხოვრების მიზნის შეუვნებლობა და ბეჭით სრუ-ლი კმაყოფილება, ქიუპობა და გულლვარძლიანობა, პრიყ-ვული ეგოიზმი—ი იმ დროინდელ მებატონეების რა ცუდი შხარები გიხადა ილიამ სატირის საგნად და რა დაპგმო საჯა-როდ. ეს გოგოლისებური რბილი და ობილი პუმორი არ იყო, ეს შეუბრალებელი სატირა იყო, რომელსაც ყველა თვალ-ხილულისთვის უნდა დაწახვებია, რომ კვდება და გადაგვა-რების გზაზე დამდგარი ის წოდება: „რომელიც ცხოვრობ-და, რომ ესვა და ეჭია და არა იმრტომ სჭამდა და სვამდა, რომ ცხოვრა და ებრძოლა“.

„გლახის ნაავბობში“ ერთს ადგილის, სალაც გაბრო და-თიკოსგან მასს გაუტანლობაზე ლაპარაკობს, ის ამბობს: „მა-შინ რა ვიცოდი მე სულელმა, რომ უფროს—უმცროსობაში სიყვარული სიძმარია? რა ვიცოდი, რომ ბატონყმობის შუა სიყვარულის ხილი არ გაიდება? ეგრე ყოფილა. ქვეყანაზედა, რომ ცალი თურმე ცალმა უნდა უცალოს“.

სწორედ ამ სიტყვებით შეიძლება მოკლედ ილიას მრა-ვალის მხრივ შესანიშნავ მოთხრობის „ოთარაანთ ქვრივის“ დედა აზრის გამოთქმა. სწორედ ამ ხილის გადების შეუძლებ-ლობა ღუპავს ოთარაანთ ქვრივის ღირსეულ შვილს, საღსა და შეურყვნელ ძალის, გიორგის. ილია, თითქოს იმის აღსანი-შნავად, თუ რამდენი საღი ძალა დამარხული გლებობაში,

გვიხატავს ძლიერს და ნათელ პიროვნებას გლეხის გიორგისას. ის შვილია ოთარაანთ ქვრივის, კლდის ხასიათის პატ-რონის, რომელსაც თითქმის ყველა თავის დადებითი მხარე, ხასიათის სიმტკიცე, ჰუა, გონება, ხერხიანობა, შრომა და მუყაითობა შვილისთვის მემკვიდრეობით გადაუცია. ოჯახი თითოთ საჩვენებელი აქცის, თვალიად და ტანად უნაკლულოა გიორგი, ბატონი მას ვერ დაუძახებს, მაღალს და ტოლს თავს არ დააჩაგვრინებს. ყოველითვე შემკულია, რაც კი ფერსა და ლაზათს აძლევს გლეხის ცხოვრებას. და ამისდა მიუხედავად ის იღუპება. ის რაც არ იცოდა ახალგაზრდობაში გაბრომ კარგად ესმოდა ჭიკიან გიორგის და სხვის კარზე დალია სული ისე, რომ თავის გრძნობაზე არავისთვის არა უთქვაშს არა.

გიორგის შეუყვარდა თავადის ქალი, ახალგაზრდა ჭესო, რომელმაც რუსეთიდან დაბრუნებულ თავის უფროს ძმა არჩილსავით რუსეთის მოწინავე ახალგაზრდობის აზრები იცის და თვითონაც ლიბერალობს. გიორგის კარგად ესმოდა რომ მის გრძნობას ვერ გაიგებდენ, ლირსეულად ვერ დააფასებდენ, მაგრამ საყვარელი არსებისთვის რომ ეყურებია მაინც, მოჯამა-გირედ სდგება არჩილთან. ადვილი წარმოსადგენია, რასულიერი ტანჯვა გამოიარა ამაყმა, თავისუფალმა გლეხის შვილმა, როცა მოჯამაგირეობა გადასწყვიტა, მაგრამ სიყვარული თავმოყვარე-ობაზე ძლიერი გამოდგა. ისიც იცოდა გიორგიმ, თუ რა სა-ტანჯველი იქნებოდა ოთარაანთ ქვრივისათვის ამ გადაშუცე-ტილების დადასტურება, მაგრამ გრძნობამ ესეც სძლია და ოთარაანთ ქვრივი ერთად ერთ შვილს სხვის კარზე ისტუ-მრებს. აქ ყველასგან შეუმჩნეველად ილევა შეუყვარებული გიორგის გული. კესოს სიყვარულმა ხელოვანად გადააჭირა იგი, მაგრამ კესოს თვალში ის მხოლოდ მუყაითი, ძლიერი, პირდაპირი და პატიოსანი მოჯამაგირეა. ჭველ ტრადიციებზე აღრზდილს კესოს, რომელიც ვერ ივიწყებს ვერასოდეს, რომ ისა და გიორგი სხვადასხვა საზოგადოებრივ საფეხურზე სდგანან, არც ერთხელ არ უფიქრია იმაზე, თუ რა გრძნობა ასულდებულებდა გიორგის. აქვე დალია სული, შემთხვევით სათივედან ჩამავარდნილმა გიორგიმ. დალია სული, სადაც ვერ მიუხედენ მის წმინდა გრძნობას და თან სამარეში საყვარელი არსების ერთი ობოლი ცრემლი-ღა ჩატანა; მხოლოდ სიკვ-დილი სწინ გაბედა და თავის გულის ნადები კესოს გაუმჯღავნა.

თვითონ ილიამ ორი წოდების შორის არსებულ ამ ფსი-

ხიურ სიშორეს მეტად მოსწრებულად „ჩატეხილი ხიდი“ და-  
არქვა. ბატონ — ყმურმა დამოკიდულებამ, ერთი მხრით გრძა-  
ნებამ და მეორე მხრით ყოველ გვარ ბრძანების მონურად  
შესრულებამ ისე დააცილა ეს ორი წოდება ერთი მეორეს,  
რომ ერთმანეთის გულის ძეგრას ვერ გრძნობენ, სიყვარუ-  
ლიც კი მათ შორის ვერ შეუამავლობს. და კეშმარიტად  
მართალია ბ. გ. ჯავახშვილი როცა ამბობს, ორ წოდებას  
შორის არსებულმა სოციალურმა უთანასწორობამ ფისიური  
გაუგებრობა შექმნაონ და გაუგებრობას გიორგისა და მრავალ  
მისთანების დაღუპვის მიზეზად ასახელებს.

იდან ჭავჭავაძე არასოდეს არ ლალატობს თავისს მრწამს:  
„ერის მოძმეთ ყოფნა კმუნვასა და სიხარულში“, აი რას მის-  
დევს ის ყოველთვის, როცა რომელიმე საზოგადოებრივ სა-  
კითხს ეხება. ის პაჟტი მოქალაქეა, როცა ებრძვეს ბატონ-  
ყმობას, მონობის უსაზიზლრეს ნაშთს, ის პოეტი მოქალაქეა,  
როცა უდიდეს ადამიანურ გრძნობით გამსჭვალული ნალვლი-  
ანად უწინასწარმეტყველებს მუშას:

„მარტო იცოცხლებ და მარტოცა ძმაო მოკვდები,  
„ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა,  
„ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები,  
„ამაოდ მათკენ სიკვდილის უამს გაიწვდი ხელსა.

ის პოეტი მოქალაქეა. როცა ქართველ დედას ნამდვილ  
მოქალაქის აღზრდას უჩიევს, როცა ის ნატრობს ახალთაობის-  
აღზრდას საერთო, საკაცობრიო იღეალებზე:

„აღზარდე შვილი, მიეც ძალა სული,  
„საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,  
„შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,  
„ძმობას, ერთობას, თავისუფლებას;  
„რომ სიკეთისთვის გული უთრდოდეს  
„და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს;  
„მენდე, მიიღებს ნერგს შენგან დარგულს  
„და მოგცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.“.

ილიას სიმღერა იყო, სიმღერა თავისუფლებისა და ხალ-  
ხის ძლიერების; მისი მოწოდება იყო „მომავლისთვის ბედთან  
საბრძოლველად“, და ბოროტების დასამხობად; ეს ხმა თა-  
ვისუფალ პიროვნებას დიად მისიის — საზოგადოებრივ მოღა-

წეობას უკარნახებდა. ილია ეკუთნოდა იმათ რიცხვს, რო-  
მელთაც, როგორც ის ამბობდა, „სწამდათ ღმერთი კაცთა  
მოყვარეობისა, ღმერთი მჩაგრელთა დამსჯელი, ხოლო არ  
სწამდათ ღმერთი მონობისა და მზაკვრობისა“. ილია ჩვენში  
სიზოგადოებრივგადის მებაირადტქე. იყო და ისეთ პიროვნე-  
ბის ცხოვრებას, რომელსაც საზოგადოებაში კვალი არ და  
უტოვებია „უსულფერულო ცხოვრებას“ ეძახდა იგი. ჩვენს  
მხატვრულ ლიტერატურაში არც ერთს ჩვენს მწერალს ისე  
გარკვეულად არ აღნიშვნავს ზნეობრივ და სოციალურ პრინ-  
ციპთა საჭიროება, როგორც იდიას და მწერლის სიმპატია  
გვვედოვის „ტეირთ შიძიშვია და მაშერალთ“ მხატვებე იყო.  
სწორედ ამ მოვლენით აიხსნება, სხვათა შორის, ლექსი „პა-  
რიზიც“, რომლითაც ილია იგლოვა დამარცხებული პარი-  
ზის კომუნა. მშრომელთა საერთაშორისო საქმეს პატარა სა-  
ქართველოში დიდი ქომაგი აღმოუჩნდა:

„ტეირთ შიძიშვი და მაშერალთ მხსნელი  
„დიდი დროშა დაიშალა...  
„პვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალაშ  
„იგი დროშა დასცა დაბლა“ო,

ასე იწყებდა ილია თავის შესანიშნავ ლექსს „პარიზს“,  
სადაც ის „დიდ საქმეს ყოვლად მხსნელის სიყვარულისას“  
გულწრფელად და მეგრად გამოიხარჩა.

„აჩრდილი“, ილია ჭავჭავაძის ლირიული პოემა. ღირს-  
შესანიშნავი ეს პოემა მით არის, რომ ილიას შემოქმედების  
ძარითად ჰანგებს თითქოს აქ მოუყრია თავი. მთელი პოემა  
აჩრდილის, რომლის პარიზითაც ილია გველაპარაკება, კართვის  
გამომხატველია. ქართველი ერის დაძაბუნება, გლეხის და შრო-  
მის შევლის—მუშის უმწეო მდგომარეობა—აი რა იწვევს აჩრ-  
დილში კაეშანს. აქაც ილია არამც თუ არ ღალატობს თავის  
რწმენას, პირიქით ის გვიზატავს აქ ისეთ სოციალურ იდე-  
ალს—„შრომის სუფეცს“, რომელსაც ვერც ერთი ჩვენი მწე-  
რალი ვერ გასცილებია დღემდისაც. მგოსანს. არ გამოჰარვია ის  
უსამართლობა, რომ შრომის მძიმე უღელი საზოგადოების მხო-  
ლოდ ერთ ნაწილს აწევს კისერზე, რომ შრომა საზოგადოებას  
მხოლოდ ერთი ნაწილისთვის არის სავალ დებულო, რომ იგი  
„ტყვეთ პყრობილია“, მაგრამ ამასთანავე პოეტი ხედავს, თუ  
როგორ ირლვევა ეგ ბორკილი შდომის ასახსნელად და მო-

მავალს მგოსანი მხოლოდ მშრომელს ჯქადის:


„შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი  
„ძლევა მოსილის ამ საუკუნის,  
„კაცთა ღელვისა დიადი ზეირთი


„მაგ ახსნისათვის მედგრადა იპრძვის“ — ო, ამბობს ილია.  
მას სწამს, რომ ეს ბრძოლა, „განახლების გრიგალის ქრო-  
ლა“; მშრომელის გამარჯვებით დასრულდება, ამ ბრძოლის  
შექმარის ის, რადგან პოეტს სწამს, რომ დამყარდება ნე-  
ტარი დრო — „შრომის სუფევა“ და ამ იმედიანის სიტყვებით  
მიმართავს მშრომელს:

„მაშინ მაშვრალო შენც განკაცდები,  
„წართმეულ ნეჭთა კვლავ მოიპოვებ,  
„სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმაღლდები,  
„არც ვის ემონვი, არც სხვას იმონებ“.

აი სწორედ ეგ იმედია, რომ ალფროვნებს აჩრდილი —  
პოეტს, რომ გულს არ უტეხს პოეტს მოქალაქეს. ეს იმედი  
ის ჯილდუა, რომელსაც პოეტი თავის საზოგადოებრივ-მო-  
ქალ აქეობრივ მოვალეობის მოხუსისათვის იღებს და რომ აპ-  
გირდებათ იდიას ლიტერატურულ მოღვაწეობას რწეულებათ,  
რომ იდია ისეთი მწერალი იყო, რამელაც ჩაგრუდი შოთიქ უქ-  
ვარდა შის ტანჯვას რომ უეურებდა, თვითაც იტანჯებდა და აშ-  
ტანჯვის ტრუშლის მოსწერებად იყო მოძროული ბორის შეგვით-  
რი კალაბი, უშროესების ბეჭი გულს უწეულებდა, შაგრამ შემ-  
თესი მომავალი სწამდა და გულს არ იტეხდა.

გ. ჭუბაბრია





## ქართული კილოგები მთაში \*).

შვესაგალი.

ქართული სამწერლო ენა, როგორც ყველა სხვა საღი-  
ტერატურო ენა, კელონწურია: ის არ არის ერთგვარი ზა-  
სალისაგან აგებული შენობა, არამედ შემდგარია სხვა-და-სხვა  
მასალისაგან.

ის კილო, რომელიც საფუძვლად დაედო ძველ სალიტე-  
რატურო ქართულს, შემდეგში რთულდებოდა და მდიდრდე-  
ბოდა სხვა-და-სხვა კილოებიდან შემოტანილ სიტყვებითა და  
ფორმებით.

დაბეჯითებით არ შეგვიძლია ჯერ ვთქვათ, თუ რომე-  
ლია ეს კილო, მაგრამ ის კი ცხალია, მის საბოლოოდ შე-  
მუშავებაში და გარკვეულ სახეებად ჩამოსხმაში უდიდესი  
ღვაწლი პოლიტიკურად ძლიერ ქართლს მიუძღვის.

არც ის შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, თუ როდის  
დაიწყო ლიტერატურა ქართულ ენაზე, მხოლოდ გადატრით  
უნდა აღვიაროთ რომ ქრისტიანობის გავრცელებას საქართვე-  
ლოში და საღმრთო წერილის თარგმნას უდიდესი მნიშვნე-  
ლობა აქვს ჩვენთვის. ყოველ შემთხვევაში მერვე საუკუნეში  
სამწერლო ენა შემუშავებულია და მეათე საუკუნეში უკვე  
უმწვერვალესად განვითარებული. ის უკვე გაფხავებული იარა-  
ღია სასულიერო მწერლების კელში და ჰილამობს გაბატონდეს  
ყველგან და ყოველ დარგში, ჩანთქას და მოსპოს კილოები.  
მაგრამ ამას ორი რამ გარემოება უშლის კელს: საერთო პოე-

\*) იბეჭდება შემოყლებით.

ზის წარმოშობა მეთერთმეტესა და მისი საუცხოოდ აყვავება მეთორმეტე საუკუნეში ერთის მკრით და მონლოლთა შემოსევა მეცამეტე საუკუნეში მეორეს მკრით. საერთ პოეზიის აღორძინებას ქართულ მწერლობაში კელი შეუწყო, მართალია, სპარსეთის გავლენამ, მაგრამ ნიადაგი მას ხალხურ პოეზიაში, და მაშასადამე ხალხურ კილოებში, ჰქონდა. მონლოლთა შემოსევამ შეაჩერა ძლევა-მოსილი მსკლელობა სასულიერო მწერლობის ენისა, ისედაც შეფერკებული საერთ პოეზიის მიერ. დაირღვა მტკიცე ტრადიცია და ფართო ასპარეზი დაეთმო ხალხურ კილოებს ცხოვრებასა და ლიტერატურაშიც. ეს მოვლენა უფრო ძლიერდება მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში და თუმცა ამასთანავე ცდილობენ. დაუბრუნდენ ძველ ფორმებს, მიჩაბარ კლასიკურ მწერლებს და განაახლონ ენა, მაგრამ პროვინციალური ფორმები თანდათან საპატიო ადგილს იქერს ლიტერატურაში და განსაკუთრებით პოეზიაში. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევარი ამ ორი მიმართულების (ძველისა და ახლის) ბრძოლაში ილევა და მესამოცე წლებში უკვე გამარჯვება ხალხურ კილოებს პრჩება. წყდება თითქმის ყოველივე კავშირი ძველ სამწერლო ენასთან, მაგრამ, რადგანაც ეროვნული მაჯის-ცემა მიმქრალია, საერთო სამწერლო ენის ჩამოსხმა გვიანდება და ეს პროცესი დღესაც არ დასრულებულა. ასეთია მოკლედ ქართული სამწერლო ენის ისტორია.

დღეს სალიტერატურო ქართული მეტად დაქვეითებულია; მას აღორძინება უნდა. ამისათვის კი აუცილებლად საჭიროა ქართულის ცოდნა ისტორიულად და გეოგრაფიულად, სხვანაირად რომ ვთქვათ, საჭიროა წიგნების ფურცლებზე უკვე გაქვავებული ენის შესწავლა და მასთან ერთად ცოცხალი, მოძრავი ენის (ე. ი. კილოების) გამოკვლევა. ეს ორი პროცესი კელი-კელ ჩაკიდებული უნდა მიმდინარეობდეს.

ისტორიულად ქართულის შესწავლისთვის აუარებელი მასალა გვაქვს: სიტყვიერების ნაშთები, დაცული შინ თუ

გარედ, დაუშრეტელი წყაროა მეცნიერული კვლევა-ძიებისა-თვის; მეორეს მკრით, დღევანდელი ქართული არც ისე ლა-რიბია კილოებით, როგორც ერთი შეხედვით ეგონება კაცს, ასე რომ მკვლევარს არაფერი არ ეთქმის მასალების უქონ-ლობაზე ორსავე დარგში, ე. ი. ქართულის შესასწავლად დროსა და სივრცეში, ისტორიულ გრამატიკასა და დიალექტოლო-გიაში.

აქ არ გამოუდგები ქართული კილოების შესწავლის ისტორიას, რადგანაც მალე დაიბეჭდება ჩემი შრომა უფრო ვრცლად და იქ მექმნება ალნიშვნული რაც კი გაკეთებულა აქამდე ამ დარგში; იქვე იქმნება მოყვანილი ტექსტები, რო-მელსაც დართული ექმნება ვრცელი ლექსიკონი.

აქ მსურს მხოლოდ მოკლედ გავაცნო მკითხველს მთაში შენახული კილოების განსაკუთრებული თვისებანი.

§ 1. საქართველოს სამკედლო გზას რომ აჲყვეთ, ანა-ნურს ზემოდ, არაგვის ორთავნაპირებზე, მთიულეთი იწყება. ფა-სანაურში არაგვს მარცხნიდან რომ წყალი ერთვის, იმის კეობაში გუდამაყარია მოთავსებული. გუდამაყარიც ჩვეულებრივ მთიუ-ლეოს ეკუთვნის, მაგრამ საკუთრივ მთიულეთი ფასანაურს ზემოდ მლეთამდის არაგვის ნაპირებზე მდებარე სოფლებს ეწო-დება. მლეთამდან რომ ჯერის უდელტებილი გადაიაროთ და კავ-კასიონის უმთავრესი ქედი გადაჭლაკოთ, პირ-იქით დაეშვებით და კევში ჩახვალოთ, რომელიც მდებარეობს თერგის (ანუ, როგორც მოკევენი უწმოდებენ: არაგვის) ნაპირებზე კობიდან დარიალომდის. ყაზბეგს (ანუ სტეფან წმინდას) ზემოდ თერგს (=არაგვს) რომ სნოს წყალი ჩამოუდის, იმაზედაც მოკევენი ცხოვრობენ. სნოს კეობაში შეიძლება უფრო მოკლედაც გაღასვლა: გუდამაყრიდან ბურსაჭილის უდელტებილზე.

ანანურს ქვემოდ, უინგანში, მთიულეთის არაგვს ფშავის არაგვი ერთვის მარცხნიდან და რომ აჲყვეთ ახლა იმასაც, ასე ოცდა თხუთმეტი ვერსის სიგრძეზე სულ ფშავს პნახავთ (ქვემო ფშავი) ორ-წყლამდი, შემდეგ-კი, მარცხენა შემდინარეს

აჰყვებით, ისევ ფშავია (ზემო ფშავი) და მარჯვენას აჰყვებით-კევსურეთი. ზემო ფშავი ბუდეა მთელი ფშავისა: თორმეტივე თემი ანუ გვარი ფშავლებისა უწინ აქ სახლებულან და შემდეგ ჩამოუცვლიათ ქვევით, გადასულან აგრეთვე იორზე და დაუჭერიათ მთელი კეობა თიანეთამდი. კევსურებიც ვერ მო-თავსებულან თავის აღგილზე და გადაულაკავთ ირგვლივ შე-მორტყმული მთები: ორი სოფელი მათ გუდამაყარში დაუარ-სებიათ, ორიც კევში (სნოს კეობაში), ჩაჭრილან პირ-იქით ქისტეთში და სოფლები აუშენებიათ ასისა და არღუნის სა-თავეებში.. ფშავ-კევსურეთის აღმოსავლეთით, მთავარ მთა-გრეხილს გადაღმა, კახეთისა, ქისტეთისა და დიდოეთის მთებს შეუა მომწყვდეულია თუშეთი, ორს წყალზე, რომელნიც თუ-შეთის ბოლოს ერთდებიან. თუშეთში გადასვლა შეიძლება კახეთიდანაც (თუშეთი სწორედ თელავის პირდაპირ მდება-რეობს, მთას იქით), ფშავიდანაც და კევსურეთიდანაც.

ამ გვარად, ზემოდ ჩამოთვლილი კუთხეები იმყოფება მთავარი ქედის გადაღმ-გაღმოლმა, მთების კალთებზე. პირ-იქად ცხოვრებენ: მოკავეები, კევსურების ნაწილი და თუ-შები; პირ-აქად არიან: მთიულ-გუდამაყრელნი, კევსურები (უმთავრესი ნაწილი) და ფშაველნი. ესლანდელი აღმინისტრა-ტიული დანაწილებით ყველა ქსენი იმყოფებიან დუშეთისა (კევი, მთიულეთ-გუდამარი) და თიანეთის (კევსურეთი, ფშა-ვი, თუშეთი) მაზრებში.

ამ ტომებს მიწა-წყალიც მცირე უკირავთ და რიცხვითაც მცირენი არიან, ერთ-ურთის მეზობლადაც ცხოვრობენ, მაგ-რამ საუბარში დიდად განსხვავდებიან. ყველა მათგანს თავისი განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისება აქვს. დანარჩენ ქართულ კილოებისაგან მთის კილოები იმით განიჩევიან, რომ, შედარებით, კარგად შეუნახავთ ქართული ენის თვისე-ბანი ფონეტიკას, მორთოლოგიასა და სინტაქსშიც. მთიუ-ლური რომ ჩამოვაშოროთ, დანარჩენი კილოები: კევსურული, კევსური, თუშური და ფშაური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს

რომელსაც, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მოსახრების გამო, მე ფხოფხოს ვუწოდებ. ამ ჯგუფში ფშაურს ცოტა მოშორებული იდგილი უქირავს, რადგანაც დროთა განმავლობაში, ქართლ-კახეთის სიახლოვის გამო, მას მეტი გავლენა დასტურბია ბარისა. მთიულური განსაკუთრებითა დგას არა მარტო ფხოფხოს ჯგუფისაგან, არამედ სხვა ქართულ კილოებისაგანც, (გარდა ზემო რაჭულისა, უმთავრესად გლოლა-ჭიორა-ლების კილოისა) რადგანაც მასში დაცულია გრძელი კმოვანები. ახლა გადავიდეთ უფრო დაწვრილებით განხილვაზე <sup>\*\*</sup>).

### I ვოლეტიკა

წ 2. თუშურში<sup>\*\*</sup>) არის ერთი ბგერა, რომელიც გამოითქმის კმის ქორდების დახურვით ყელში. ვინც მეგრული იცის, ეს ბგერა თითქმის იგივეა, რაც მეგრულ სიტყვებში: უოროფა, უჯარ, უვალი. თუშურში ეს ბგერა ძალიან კშირად იკარება, ის თანა სდევს სიტყვის ბოლოში, თუ მას უკანასკნელად პნი უჩის: ჭილტაცი (კალია), დედალაცი (დედალი), პეპელაცი, თექაცი (ნაბდის პალტო); აგრეთვე: მეტაც (მეტაც), რა კარგაც რაციმეა (რა კარგი რამ არის) და სხვ. ეგვევე ბგერა იკარება აგრეთვე სიტყვის შუაშიც: გაცამწვაც (გააცხელა), გაცაგრილ (გააცივა) რაცად მინდა, დიუაცი, და სხვ.

წ 3. კარი, რომელიც დაიკარგა ბევრ ქართულ კილოში, მთაში დღესაც წმინდად არის დაცული. ის ძლიერ განიჩრჩევა გამოთქმით ხანისაგან და იკარება ზოგიერთ ძირის სიტყვებში, სწორედ იმ სიტყვებში, ძევლადაც რომ კარი იკარებოდა: კელი (კელადა, კელმწიფე, საკელი [ტანისამოსისა], მოვკელე [ვიპოვე] და სხვ.), ფეკი, (ფერპა: ფერკისა, საფერპა), მკარი (სამკრე, მიმკრობა), მუკლი, კმა, კარი (საკრე), მოკდა და სხვ.

\*) შემოკლებანი: კ.=კელსურული; ც.μ.=აეური, მოხეური; თ.=თუშური; ფშ.=ფშაური, მთ.=მთიულური; შატ.—მიღმაკ=შატილურ=მიღმაცეური (კევსურულის კილოუკავა).

\*\*) როცა თუშურში ვსაუტრობ, სახეში მაქვს მხოლოდ ქართულად მოუბარ თუშების ენა, ერთი სახოგადოება თუშებისა, სახელფობრ წაგა თუშები, ქისტების მოდგმისა არიან და თუმცა ქისტურად ლაპარაკობენ, მაგრამ შიგ ბევრ ქართულ სიტყვას ურევენ.

§ 4. კევსურულში (შატილ-მიღმაკეურს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) პინი ანის წინ სიტყვის თავში რბილად (უ) გამოითქმის და ხანდახან სულ იკარგება, ანი კი ონად იქცევა ხოლმე, მაგალ. [ტ]ორ (შატ.—მიღმა-კეურად ვარი), [კ]ორთ (შ.-მკ. ვართ), [ტ]ოკშამი, [ტ]ოჟაი, [ტ]ოხტანგ. და სხვ.

§ 5. მთიულურ-გუდამაყრულში და კევურში, ჩევულებრივ, ფშაურსა და თუშურში იშვიათად, (კევსურში კი არასოდეს) პინ-პნი (ვა) ონად (ო) იქცევა ხოლმე: ჯორი (ჯვარი) კ, ჭ, ღორი (ღვარი) მთ, ჭ, ღ, თრალი (თვალი) მთ, ჭ, ჭ, კოლი (კვალი) მთ, ჭ, ყოილი, (ყვავილი) ფშ., ალონი (ალვანი; სოფელია) თ, ცხო (სხვა) კ, ჭ, თ., ცხორი (ცხვარი) მთ, ჭ, გორი (გვარი) მთ. ჭ, და სხვ.

§ 6. მოკეურში ზოგიერთ სიტყვაში, სადაც ონია ქართულში ჩევულებრივ, ვინ-ანად (ვა) იქცევა ხოლმე: ეს, ალბათ, მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ქართულში თეორიულად გრძელი ონი (ა) უნდა იყოს, მაგალ. ვასი (ოსი, შდრ. ძველი ქართული და კევსურული ოვსი), სივანი (სიონი, სოფელია კევში), ვანისე (ონისე; სახელია), ივასები (იოსები) გივარგი (გიორგი) და სხვ..

§ 7. ქართულს უყვარს თანკემოვანთა შეჯგუფება სიტყვის დასაწყისში და კმოვანთა გადასრულა ბოლოსაკენ; ამის გამო ზოგ სიტყვაში დაიკარგა კ, გ და ჭ. მთაში კმოვანი თავის ადგილზე და ამიტომ თანკემოვანიც შენახულია: კირწყილი მთ., გირწყილი კ ([კ]რწყილი), კურკო თ, შვ., გირკო კ ([კ]რკო). კირცხილა კ., თ, ფშ., მთ. ([კ]რცხილა, შდრ. ქრცხინვალი), კირკალი ფშ.; მთ., გირქოლი კ ([კ]რკალი).

აქვე უნდა შეენიშნოთ, რომ კმოვანი შენახულა შემდეგ შემთხვევებშიაც: ჩივილი ([ჩ]ჩივილი), თვირთვილი (თრთვილი) და გურგალი თ. (მრგვალი), და სხვ.

§ 8. კბილის მიერ კმების წინ ქართულში სანი რაედ ქცეულა ზოგ სიტყვებში: რძე (<სძე), რძალი (<სძალი), დარჭობა (<დასჭობა), დარჩენა (დასჩენა), რთვა (სთვა).

რთველი (სთველი), და სხვ. მთაში კიდევ შენახულია ზოგი რაზ ცვლილებით უძველესი ფორმები: ზე თ., ზის-ცვარი კ (რძე) საზეური კ (=სარძეული), ზალი (რძალი), კ, ყ, თ. და შეკობა თ. დაშჩენა, დასჩენა თ, სთვა კ, ზდვა თ, სთველი კ ზღველით (შემოდგომა) და სხვ.

§ 9. კეცსურულსა და კეურში სან-ტარი (სტ) იქცევა შინ-ტარად (შტ): შტოლი კ, ყ, ჭიშტი ყ, უშტარი კ (ფშ. უსტარი=ბრძა, უსინათლო), კეურულში აგრეთვე სკ>ჟ: შკამი.

§ 10. ეა>ია (თითქმის ყველა კილოში) მია (მეა=მე?), მიამა (მეამა), გიამა (გეამა); აქედან უკვე მესამე პირი: უამა! (შდრ. მიყვარს, გიყვარს, უყვარს).

§ 11. თუშურში აი>ი (გამოითქმის გრძლად): იკიდ (აიკიდა) წრდ (მიიტანე, მიიღე), წრდ[ვ] (წაიღო) და სხვ.

§ 12. გრძელი კმოვანი დამახასიათებელია საზოგადოდ მფიულურისა (გუდამაყრულში, რომელიც კილოკავია მთიულურისა, ეს თვისება არ არის). ის თითქმის ყოველთვის მეორე მარცვალზეა ბოლოდან: შენ გენაცვალე, კეცსურები მოდირდეს და მეუბნებრდეს და სხვ.

## II მორფოლოგია.

§ 13. მთაში ძალიან გავრცელებულია კნინობითი ფორმები სახელებისა. კნინობითის მაჩვენებელია ანი (ა), რომელიც ბოლოში დაესმის სახელს; მაგალ, ჭობ-ი, კნინობითი ქობა-ი, კ, ფშ., მთ., კაც-ი, კნინ. კაცა-ი ცხენა-ი, ძალუა (<[ს]ძალო+ა) მთ, ფშ. და სხვ. დაკნინება შეიძლება რიცხვისაც: ორასძ-ნი ცხორუ-ნი, სამძ-ნი, მანეთანი და სხვ.

შენიშვნა: კეცსურულსა და თუშურში კნინობითი ფორმა იშვიათია, დანარჩენ კილოებში კი მეტჯდ გავრცელებულია.

ჩ 14. კევსურული დღესაც არჩევს წყვილობითის ფორმებს მხოლობითისა და მრავლობითისაგან. მაგრამ ეს გარჩევა მხოლოდ სახელებშია და ისიც შეტად ბუნდოვანია. წყვილობითის დაბოლოვებანია ...ნი...ნო და ...თა (ებ-ი კი მრავლობითის ნიშანია), რომელთაც შემდეგში, აგრეთვე მრავლობითის მნიშვნელობა მიუღიათ, მაგრამ შეთი პირვანდელი მნიშვნელობა წყვილობითისა არ დაუკარგავთ სრულიად. მაგალ. კელნი (ორი კელი, წყვილი; კელები—მრავალი კელი, 3, 4, 5, და შემდეგ), ლაშნი (ბაგეები, ტუჩქები, პირი, რას ლაშონრთხამ—რა პირს აღებ (ეტყვიან ერთ კაცს) ხოლო. რა ლაშებს ირთხამთ,—მრავალთ) და სხვ. კელნი უმთავრესად წყვილობითია, მაგრამ რადგანაც წყვილობითი გადავარდნის გზას დასდგომია და მისი ნიშანი მრავლობითის ნიშნად გამკდარა, ამიტომ კელნი შესაძლებელია მრავალ კელსაც აღნიშნავდეს. ერთად ერთი მაგალითი კი, რომელიც ყოველმა კევსურშა იცის რომ წყვილობითია და არა მრავლობითი, არის მისამ-მების. ფორმულა: აელ შოგიმართას (თ), [ტ]ოჟნო (ან: გა-მარჯობა [ტ]ოჟნო), რაიც მხოლოდ ორის მიმართ ითქმის, მრავალს კი ეტყვიან გამარჯვობა, [ტ]ოჟებო (ან: კელ მოგი-მართას (თ) ტოჟებო). წყვილობითის დაბოლოება ...ნი (თა) გაქვავებულა და ისე შენახულა ზოგიერთ სახელებში, რო-მელნიც წყვილი საგნისაგან შემდგარ ერთეულს აღნიშნავენ (ეს უკვე ფშაურშიაც არის): მშვილდისარანი კ (მშვილდი და ისარი=ცისარტყელა), სასწორ-ჩარექინი კ, ფშ. (სასწორი და ჩარექი=ეტლის სახელია ცაზედ), ყდანი, კ, ყ, თ. ფშ. (საქსოვი იარალი, რომელსაც გვერდზე ორი ლატანი, ორი ყდა აქცს), ყალნი კ, ფშ. (ერთგვარი ციგა, რომელსაც ქვეშ მარკილის ღუასავით ორი ფეეი, ანუ ორი ყალი აქვს გაგდებული), ხურჯინანი\*) კ („ხურჯინან აგებ მამცნა“ კ=ეგებ)

\* რადგან ხურჯინს ორი პირი აქცს; ორ ხურჯინს ოთხი პირი აქცს და ამიტომ ხურჯინე[ე]ბ. ამის და გვარად: ყდანი=ერთი საქსოვი იარალი, ერთი საფეექალ, ყდები—ორი, სამი და მეტი.

[ერთი] ხურჯინი მომცე; „ხურჯინე[ე]ბ აგებ მამცა“ = ეგებ ხურჯინები [ორი, სამი, ოთხი და მეტი] მომცე, რქანი ფშ. (ერთი საქონლისა) და სხვ.

§ 15. სახელობითის დაბოლოვება ინი (ი), კევსურულსა და თუშურში იშვიათად იყმარება: კაც მავიღ?

§ 16. თუშურში სიტყვა რომ ყარით (ც) თავდება, ისე იბრუნვის, როგორც სხვა თანკოვნით დაბოლოვებული (მაგალითად კაცი); მაგალ. ხაცუმაყ-ი (=ობობა) ხაცუმაყის, ხაცუმაყს, რაყის, რაყ-ს, რაყ-მ და სხვ.

§ 17. მთის კილოებში მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოვება (...ით) აღნიშნავს აგრეთვე მიმართულების რომელიმე ადგილიდან, საიდანაც რაიმე გამოდის: კახეთით (კახეთიდან), ქალაქით (თბილისიდან) კევსურეთით (კევსურეთიდან), აქით (აქიდან), იქით (იქიდან) და სხვ. ეს და ბოლოვება შეიძლება დაერთოს აგრეთვე თანდებულიან სიტყვას. ამ შემთხვევაში ადგილი, საიდანაც რაიმე გამოდის, შეტი სისწორითაა აღნიშნული: ქალაქჩიით კ., ქალაქჩიით, თ, ფშავ. (თბილისიდან, თბილისის შიგნითა ადგილიდან), ტყეჩიით კ., ცხვარშიით თ, ფშ. და სხვ. აგრეთვე ცხენზეით (ცხენიდან), ბანზეით (ბანიდან), ხეზეით (ხიდან) და სხვ.

§ 18. მთაში თვლიან: თოთხმეტი, ხუთმეტი, თექვსმეტი შვიდმეტი; ამას გარდა, ოცნბით თვლიან არა მარტო ასამდე, არამედ შემდეგაც: ოთხმეტი, ხუთმეტი, ექვსოცი, შვიდოცი რვაოცი და სხვ.

აგრეთვე იციან: თერთმეტასი, თორმეტასი და სხვ.

§ 19. ნაცვალ-სახელებში აღსანიშნავია: მენ (=მე) ფშ., მთ., ერთ-სხვა კ, ერთ-კვადი თ, ერთ-ურთი ფშ. (= ერთმანერთი), ვითა კ, რაერთი ფშ. (რამდენი), რაკელი კ. (როგორი), არც-რა კ, ფშ. (არაფერი):

§ 20. აშენ, თ., მახლი თ. (ახლა), ძოლიან (კუველა კილო-ში; ამას წინად), ზარუ კ. (ზარუან), უმზეგ კ. (მაზეგ); აქით კ., თ, ფშ. (იქიდან), იქით (იქიდან), ისრიკა ფშ. (იქითკენ), ასრიკა ფშ. (იქეთკენ) აქად კ. (აქეთკენ), იქად კ.; (იქეთკენ).

|             |          |                  |           |            |
|-------------|----------|------------------|-----------|------------|
| ყინჩიად ფშ. | ლამაზ ც. | (ძალიან კარგად), | სრუ კ.    | (სრულიად), |
| კუ          | კუ       | ქოლდ კ.          | ტიმად ფშ. |            |

იქვე კ. გარევ თ. { (ისევ, კიდევ, კელახლა).

თუკლაღ კ. (მგონია), ნიადაგ, ნიადეგ კ, ც, თ, ფშ, მთ. (რასაკვირველია). აპალე კ. (აპა!=წაილე), აბალე კ (აბა!=მო-მეცი), ჰოლე კ. (ჰო, კი). ახ-ჰად კ, ც, თ, ფშ. (რასაკვირვე-ლია), ...კე მთ..., ც (...ხოლმე). ...ჩი კ, ც (...ში), ეპუ ც, მთ. (არა გრუტვენია?) კევსურულსა, თუშურსა და ფშაურში კავშირი „და“ ჰკარგავს კმოვანს: მეღ, მეღირჩილა (მე და ხირჩლა). მეცხვარე მგელიდ მეცხვარე (მგელი და მეცხვარე) და სხვ.

§ 21. მეტად საყურადღებოა ზმნათა უღვლილება ფხოურ კილოებში (კევსურულსა, მოკეურსა თუშურსა და ფშაურში). ქართული ზმნის უმთავრესნი დამახასიათებელნი თვისებანი აქ. უფრო მკაფიოდ და ნათლად არის გამოხატული და უფრო სრულიად განვითარებული, რაიცა ნებას გვაძლევს შესწო-რებანი შევიტანოთ თანამედროვე ორთოგრაფიაში.

ა) განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მთაში შენახულია დღევანდლამდე ერთი დრო, რომელიც გამოჰატავს მრავალგზით მოქმედებას და რომელიც ნამყო სრულის თემისაგან წარმოებს. ამ დროის ფორმებს მხოლოდ ძველ ქართულსა და ქიზიყრუ ში ვპოებთ. ამავე დროის მეორე პირის ფორმა იკმარება ბრძანების ნაცვლად და შიგ გამოხა-ტულია უფრო თხოვნა, ვიდრე ბრძანება.

ბ) არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ მეორე პირს სუბიექტის აღმნიშვნელი პრეფიქსი დაუცავს ყველა დროში, ეს პრეფიქსია, იმისდა მიხედვით თუ რომელი კმით იწყება ზმნა, ანს (თუ ზმნას წინ უზის კბილის მიერი ბგერა: ტ, დ, თ, წ, ძ, ც, ჭ, ჯ, ჩ), ან ხ (თუ ზმნას მიუძღვის: პ, ფ, კ, ქ, ყ, კ) ან ლ (თუ ზმნის პირველი ბგერაა: ბ, ვ, მ, გ, ნ, ლ, რ). ასე რომ უღვლილების სქემა ასეთია:

1. 3—
2. ს\*)—(ან ხ—ან კიდევ ლ—)
3. —ს
- I 3—თ
- II ს\*)—თ (ან ხ—თ; ლ—თ)
- III —ენ, ეს.

ასე წარმოებს უღვლილება კევსურულსა, მოკეურსა და თუშურში.

გ) ფშაურში კი, იქ სადაც მოსალოდნელია ლ-ანი, მის მაგივრად ვჰოებთ ხ—ეს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მიუძღვის კმოვანით. დაბოლოვებული სიტყვა ან მარცვალი.

დ) ეგვევ ს, ხ, ლ (ფშაურში, ს, ხ) აღნიშნვენ არა მარტო მეორე პირის სუბიექტს, არამედ მესამე პირის ობიექტსაც, როცა მოქმედებით ზმნას დამატება მიცემით ბრუნვაში აქვს.

ე) მაგრამ რაღანაც ქართულში მყობალი ფორმალურად არ განირჩევა აწმყოსაგან, ამიტომ კევსურული ცდილობს გარეგნულად გაარჩიოს ეს ორი დრო და ამიტომ მას მხოლოდ მყობალის ფორმებში ჩაუსვამს ს, ხ, ანუ ლ.

\*) დონისა და ძილის წინ შეიძლება სანი ზენად შეიცვალოს ჭარისა და ჩინის წინ—შინად და ჯანის წინ—უინად,

ვ) თუშურსა და ფშაურში კი მიცემითი ობიექტის მა-  
ჩვენებელ ნაწილაკებს (ს, ხ, ლ თუშურში ს, ჰ, ჰ ფშაურში)  
ვხედავთ მოქმედებითი ზმნების აწმყოსა და ნამყო უსრულში-  
რაც.

ზ) ბრძანებითი კილო წმინდა თემაა, უპრეფიქსო.

ი) ნამყო უსრულს თუშურში ი(ნის) მაგივრად მ(ნი)  
აქვს;

თ) მესამე პირის მრავლობითის რიცხვის აღმნიშვნელი  
დაბოლოვება, აწმყოსა და მყობარს გარდა, არის ყოველგან  
და ყოველთვის ...ეს.

ი) დაბოლოვება ...ია (აულია, მიუცია და სხვ.) კევსუ-  
რულსა და ფშაურში შეცვლილია ასე: ...ავ, ავის (აულავ[ის],  
მიუცავ[ის]).

კ) კონიუნქტივის ნიშანი კევსურულსა და კევურში  
(კევურში მხოლოდ უმეტეს შემთხვევებში) ა(ნია): ვიყვა  
(ვიყო), გააკეთა (გააკეთო), აიღას (აიღოს), ვიდინათ (წავი-  
დეთ) და სხვ.

ლ) დამკმარე ზმნა კევსურულსა და თუშურში ასე იცვ-  
ლება:

კევსურში შატილ—მიღმაკევის კევსურულსა და თუშურში:

|           |   |
|-----------|---|
| 1. [ჭ]ორ, | ვარი  |
| 2. ხარ    | ხარი  |
| 3. ას     | არის (შატ-მიღმაკ), არს (თუშ.) <sup>*)</sup> |
| I. [ჭ]ორთ | ვართ  |
| II.       | ხართ  |
| III.      | არიან.                                      |

მ) მომყავს აქვე მაგალითად ზმნა ვლევ (კევსურულად  
ნიშნავს: ვაფუჭებ; სხვა კილოებში კი ჩვეულებრივი მნიშვნე-  
ლობა).

<sup>\*)</sup> აქედან მოსრულას კ. (მოსრულარის, შატ.—მიღმაკ); მინდ-არის  
(შატ.—მიღმაკ. და ფშაურს), გინდ-არის, უნდ-არის და სხვ.

სტმერ.

1. ვ-ლევ პ, ჭ, ('ვლლევ თ.)
2. ღ-ლევ (ფშ... ღ ლევ: არად ლევ, ნუდ ლევ)
3. ლევ-ს, ('ღლევს თ.)
- I. ვ-ლევ-თ (ვლლევთ, თ, ... ღ ლევს: ნუდ ლევს, არად ლევს ფშ.)
- II. ღ-ლევ-თ (... ღ ლევთ: ნუდ ლევთ, არად ლევთ, ფშ.)
- III. ლევენ (ღ-ლევენ თ, ... ღ ლევენ: ნუდ ლევენ, არად ლევენ ფშ.)

ნამეო უსრული.

1. ვ-ლევდი, პ, ჭ (ვლლევდე თ.)
2. ღ-ლევდი (ღლევდე თ, ... ღ ლევდი ფშ.: არად ლევდი)
3. ლევდ[ა] (ღლევდ[ა] თ, ... ღ ლევდა, ფშ.).
- I. ვლევდით (ვლლევდეთ თ,)
- II. ღლევდით (ღლევდეთ, თ, ... ღ ლევდით, ფშ.)
- III. ლევდეს პ, ჭ, (ღლევდეს თ, ... ღ ლევდეს, ფშ.).

მეობადი.

1. დავლლევ პ, თ., დავლევ ფშ.
2. დალლევ, პ, ჭ, თ, დაჯლევ ფშ.
3. დალლევს პ, თ, დაჯლევს, ფშ.
- I. დავლლევთ პ, თ, დავლევთ ფშ.
- II. დალლევთ პ, ჭ, თ, დაჯლევთ ფშ.
- III. დალლევენ პ, თ, დაჯლევენ ფშ.

ნამეო სრული.

1. დავლიე, (პ, ჭ, თ, ფშ.)
2. დალლიე (პ ჭ, თ, დაჯლიე ფშ.)
3. დალი[ვ]ა (პ, ჭ, თ, ფშ.)
- I. დავლიეთ (პ, ჭ, თ, ფშ.)
- II. დალლიეთ (პ, ჭ, თ, დაჯლიეთ ფშ.)
- III. დალიეს (პ, ჭ, თ, ფშ.)

მრავალგზითი მოქმედების სახე.

1. დავლი[ვ]იდი, კ, დავლიოდი ფშ.
2. დალლიიდი კ, დაჯლიოდი ფშ.
3. დალივის კ, ყ, თ, ფშ. (მან დალივის)
- I. დავლი[ვ]იდით კ, დავლიოდით, ფშ.
- II. დალლი[ვ]იდით კ, დაჯლიოდით ფშ
- III. დალივიან კ, ყ, თ, ფშ. (მათ დალივიან)

გონიუნქტივი.

1. დავლია კ, ყ, დავლიო თ, ფშ.
2. დალლია კ, ყ, დალლიო თ, დაჯლიო ფშ.
3. დალიას კ, ყ, დალიოს თ, ფშ.
- I. დავლიათ კ, ყ, დავლიოთ თ, ფშ.
- II. დალლიათ კ, ყ, დალლიოთ თ, დაჯლიოთ ფშ.
- III. დალიან კ, ყ, დალიონ თ, ფშ.

ბრძანებითი I (კატეგორიული):

დალიე კ, ყ, თ, ფშ.

დალიეთ „ „ „ „

ბრძანებითი II (თხოვნის კილოთი)

დალლი[ვ]იდით კ, თ, დაჯლიოდით ფშ.

ნ) ასეთოვე უდავლიოლება აქვს სხვა კატეგორიის ზმნებ-საც, იმ განსხვავებით, რომ ლ(ანის) მაგიერად მეორე პირის (სუბიექტის) მაჩვენებელი იქმნება ხ(ანი), ან ს(ანი), მაგალითად:

აწმუ. ვ-თიბ; ს-თიბ, თიბს და სხვ.

ნ. ფსრ. ვთიბლი (თ. ვთიბდე), სთიბლი (თ. სთიბდე),  
თიბდ(ა).

მყობ. გავთიბავ, გასთიბავ, გასთიბავს და სხვ..

ნ. სრ. გავთიბე, გასთიბე, გათიბა.

შრავალგზ. გავთიბიდი (ფშ. გავთიბოდი), გასთიბიდი  
(გასთიბოდი, ფშ.) მან გათიბის და სხვ.

**კონიუქტ.** გავთიბა კ, ყ, (გავთიბო, თ, ფშ.) გასთიბა კ, ყ  
(გასთიბო თ, ფშ.) გათიბას კ, ყ, (გათიბო თ. ფშ.)  
**ბრძან.** I გათიბე, გათიბეთ.

II გასთიბიდი (ფშ. გასთიბოდი), გასთიბიდით (ფშ.  
გასთიბოდით).

**ფორმები:** შპამ, (ბრძან. ჭამე), ზდებ, უჯავრობ, არსებითად  
იგივეა, რაც ზემოდ მოყვანილი ფორმები მეორე  
პირისა.

ა) რაღაც ზემოდ სრული ფორმებია ნაჩვენები, აქ უკვე  
საკმარისია მოვიყვანო ერთი-ორი მაგალითი მეორე პირის  
ფორმისა მხოლოდ კევსურულიდან:

ხქსოვ, ხქსოვდი, მახქსოვ; მახქსოვ (მაგრამ ბრძანებითია;  
მაქსოვ!), მახქსოიდი, მახქსოა;

ხფარავ, ხფარევდი, და სხვ. ბრძან. დაფარე.

ხკოცავ (პირველი პირი: ვკოცავ, მესამე—კოცავს),  
ამახევ[დ] (=ამოხვედი), მაგრამ: ამაკევ[დ] (=ამოდი, ბრძან.)

ო) ასეთია, ჩვეულებრივ, ზმნის ულვლილება ფხოურში.  
ნავრამ არის ზმნებიც, რომელნიც ასეთ მწყობრ სისტემას არ  
ემორჩილება, და მათ შესახებ ვრცელ გამოკვლევაში მექმნება  
მსჯელობა.

§ 21. სიტყვების წარმოების მკრივ უნდა ითქვას რომ  
აევსურულში სადაურობის აღმნიშვნელი სუფიქსია ...ონი:  
როშკიონი (როშკელი), ატაბიონი (ატაბელი), შატილიონი  
(შატილელი), არხოტიონი (არხოტელი) და სხვ. (როშკა, ატაბე  
და შატილი აევსურთ სოფლებია, არხოტი კი კეობაა).

§ 22. კევსურსა და მთიულურ-გუდაყრულში ზედ-სარ-  
თავ სახელების სუფიქსი ...იერი, ...იელი შეცვლილია ასე:  
...იარი, ...იალი, მაგ. ბედნიარი, გემრიალი, მიწრიალი (ეშ-  
მაკი, მავნე), სურიალი და სხვ.

### III სინთაქსი

§ 23. როცა სახელს ზედსართავი, რიცხვითი ანუ ნაცვალ-  
სახელი მიუძღვის წინ, მაშინ ბრუნვაში ორთავე აქვს დაბო-  
ლოვება:

კაი ყმა, კაის ყმის, კას ყმას, კაის ყმით; კას ყმალ; სა-  
მის თვის, ჩემის მამის, ორს წელს და სხვ. ეს თვისება თით-  
ქმის ყველა კილოშია.

§ 24. როცა ზმნას წყვილობით — მრავლობით დაბოლო-  
ვებიანი (...ნი) დამატება აქვს, მაშინ ზმნაშიაც უნდა იყოს  
ობიექტის აღმნიშვნელი ნ(არი); ეს მოვლენა ძალიან გავრცე-  
ლებულია კეცსურულსა და ფშაურში, დანარჩენებში კი ნაკ-  
ლებად. მაგ. მთანი დავლაკენ (მთანი დალლაკენ, მთანი და-  
ლაკნა), „თუ მკარნ ვერ გაგაყრეინენ, ეგ შენ ქუდის ჩამ-  
ხურე“ (ფშ), „ზოგნი ჭრნა, ზოგნი დაკუწნა“ კ., ლაშნი დაა-  
ყენენ და სხვ.

§ 25. კითხვის გამოსახატავად მთის კილოებში (კეცურს  
გარდა), სიტყვას ბოლოს ანი დაქსმის: არ მოგდისა (=არ გეს-  
მის? ასე მიმართავს ხოლმე მთაში ცოლი ქმარსა და ქმარი-  
ცოლს სახელის მაგივრად), მენა, მიძ (მე?), და სხვ.

მთიულურ-გულმაყრულსა და ხანდახან ფშაურშიაც თუ  
სიტყვა, რომელზედაც კითხვა არის, პ(ნით) თავდება, მაშინ  
ორ ან შეუ და ჩნდება:

მიწახა (მიწა?), წავიღახა (წავიღა?) და სხვ.

ა. შანიძე.

